

საექიმო საემ



B1+

2018

სახელმძღვანელო



მელიცინა

სახელმძღვანელო

B1+

თბილისი
2018

სახელმძღვანელოზე „მედიცინა“ – B1+ მუშაობდონი:

ჯგუფის ხელმძღვანელი და მეთოდისტი
თამარ შარაბიძე

დარგობრივი ექსპერტი:
ლევან გოფოძე

ავტორები:
თამარ შარაბიძე
ნანა გონილაშვილი
გიორგი უგულავა

რედაქტორები:
ნანა გონილაშვილი
გიორგი უგულავა

©(სსიპ) ზურაბ უვანიას სახელობის
სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა



საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების სამინისტრო



დაკაბადონდა და დაიბეჭდა
შპს «New and Grand»-ში

ISBN 978-9941-8-0872-2

სარჩევი:

I	თავი	მედიცინის ისტორია	
I	ნაწილი	რა არის მედიცინა	5
II	ნაწილი	მედიცინის სიმბოლოები	10
III	ნაწილი	მედიცინის ისტორია	15
II	თავი	სამედიცინო ინფრასტრუქტურა	
I	ნაწილი	ჯანდაცვა	22
II	ნაწილი	სამედიცინო დაწესებულებები	29
III	ნაწილი	მედიცინის მუშაკები	34
III	თავი	მედიცინის დარგები	
I	ნაწილი	მედიცინის დარგთა კლასიფიკაცია	41
II	ნაწილი	მედიცინის სამი ძირითადი დარგი	46
III	ნაწილი	პალიატიური მკურნალობა	52
IV	თავი	მედიცინის მთავარი მიმართულებები	
I	ნაწილი	შემაჯამებელი გაკვეთილი	59
II	ნაწილი	შუალედური შემოწმების ტექსტი	63
V	თავი	პირველადი სამედიცინო დახმარება	
I	ნაწილი	რა არის პირველადი სამედიცინო დახმარება?	64
II	ნაწილი	სისხლდენ	69
III	ნაწილი	დამწერლობა და მოყინვა	76
VI	თავი	რეანიმაციის ზოგადი საკითხები	
I	ნაწილი	გულის გაჩერება და გულის დახურული მასაჟი	83
II	ნაწილი	ხელოვნური სუნთქვა	89
III	ნაწილი	ავადმყოფის მოვლა რეანიმაციაში	95
VII	თავი	ავადმყოფის გამოკვლევა. კურორტები	
I	ნაწილი	გამოკვლევის მეთოდები	103
II	ნაწილი	სამედიცინო აპარატურა	109
III	ნაწილი	სამკურნალო კურორტები, სამკურნალო პროცედურები	115
VIII	თავი		
I	ნაწილი	შემაჯამებელი გაკვეთილი	122
II	ნაწილი	შუალედური შემოწმების ტესტი	126
		მოსასმენი დიალოგები	127
		შუალედური შემოწმების ტესტები	

I თავი მედიცინის მნიშვნელობა

I ნაწილი რა არის მედიცინა

1.1. მოსამზადებელი სამუშაო:



• უპასუხეთ შემდეგ კითხვებს!

1. რას ვხედავთ ილუსტრაციებზე?
2. რა გახსენდებათ, ამ ემბლემას რომ უყურებთ?
3. როგორ დაუკავშირებთ ილუსტრაციებზე გამოსახულ სურათებს სიტყვა „მედიცინას“?
4. თქვენი პირადი გამოცდილებიდან მოიყვანეთ მაგალითი, როგორ მოგარჩინათ ექიმმა?

1.2. ტექსტი:

სიტყვა „მედიცინა“ ჩვენს წარმოდგენაში ექიმს უკავშირდება. მასთან დახმარებისთვის მიღის პაციენტი, რომელიც ავადაა. ექიმმა სწორი უნდა განკურნოს.

რა არის მედიცინა? მედიცინა მეცნიერული ცოდნისა და პრაქტიკული საქმიანობის ერთობლიობაა. მისი მიზნებია: ადამიანის ჯანმრთელობის შენარჩუნება, შრომისუნარიანობის ამაღლება, სიცოცხლის გახანგრძლივება, დაავადებათა დიაგნოსტიკა, განკურნება და პროფილაქტიკა. ასეთია ტრადიციული მედიცინის განმარტება. არსებობს არატრადიციული მედიცინაც. მას მიეკუთვნება ხალხური მედიცინა, აკოპუნქტურა, ტიბეტური მედიცინა, ჰიმეოპათია და სხვა. ხალხური მედიცინა არის საუკუნეების მანძილზე ხალხის გამოცდილებით დაგროვილი ცოდნა. აკოპუნქტურა ჩინური მედიცინის მიმართულებაა. ის დაავადებას კურნავს მექანიკური ზემოქმედებით — სხეულის განსაზღვრულ წერტილებში ნემსების ჩხვლეტით. ტიბეტური მედიცინა სამკურნალოდ იყენებს ბუნებრივი ინგრედიენტებით დამზადებულ წამლებს, რომელთა რეცეპტები თაობიდან თაობას გადაეცემა. ჰიმეოპათია მედიცინის ალტერნატიული სისტემა. ის მცირე ოდენობით და ხშირად ხმარიბს იმ პრეპარატებს, რომელთა დიდი დოზა ჯანმრთელ ადამიანს ავად გახდის.

„მედიცინა“ ლათინური სიტყვა და ნიშნავს „საექიმოს“. ის პირველად ძველ რომში გაჩნდა და გავრცელდა. მიუხედავად ამისა, თანამედროვე ტრადიციული მედიცინის სამშობლოდ ძველი საბერძნებით ითვლება.

- არჩენს განსხვავებული მეთოდით.
- სამკურნალოდ იყენებს ბუნებრივ საშუალებებს.

1.3. ლექსიკა:

პაციენტი — პირი, რომელიც სარგებლობს ექიმის მომსახურებით.

განკურნოს — მოარჩინოს, გამოაჯანმრთელოს.

მეცნიერული ცოდნა — ცოდნა, რომელიც ემყარება მეცნიერულ მეთოდებს.

პრაქტიკული საქმიანობა — აქ: კლინიკაში სამედიცინო პირის მიერ ჩატარებული სხვადასხვა მანიპულაცია. მაგ., ავადმყოფის გასინჯვა, ანალიზების აღება, ექოსკოპის გადაღება, ოპერაცია და სხვ.

ჯანმრთელობა — ორგანიზმის ნორმალური მდგომარეობა, როდესაც ყველა ორგანო თავის ფუნქციას ასრულებს.

შენარჩუნება — შენახვა, დაცვა; იმ მდგომარეობის დატოვება, რაც უკვე აქვს.

შრომისუნარიანობა — პიროვნების შესაძლებლობა, იშრომოს.

ამაღლება — აქ: მომატება, გაძლიერება.

გახანგრძლივება — დროის მონაკვეთის გაზრდა.

დიაგნოსტიკა — დიაგნოზის დასმა, დაავადების გამოვლინება.

პროფილაქტიკა — ღონისძიება, მოქმედება, რომლის მიზანია დაავადების თავიდან აცილება.

ტრადიციული — ძველ წეს-ჩვეულებებზე დამყარებული

თაობა — ერთსა და იმავე პერიოდში დაბადებული ადამიანების ერთობლიობა (მაგ., ბებია-ბაბუების თაობა, ჩვენი თაობა).

დოზა — აქ: ერთ ჯერზე მისაღები წამლის გარკვეული რაოდენობა.

1.4. ტექსტის გააზრება:

- რა არის მედიცინა?
- რა მიზნები აქვს მედიცინას?
- რა და რა სახის მედიცინა არსებობს?
- განკურნების რა მეთოდს იყენებს აკოპუნქტურა?

სინონიმები	ანტონიმები
<p>ექიმი — მედიკოსი სწეული — ავადმყოფი — დაავადებული გახანგრძლივება — გაზრდა (დროის) განკურნება — მორჩენა — გაფანსაღება დაავადება — სწეულება — ავადმყოფობა ალტერნატიული — შემცვლელი დოზა — პორცია — ულუფა ხმარობს — იყენებს გაჩნდა — დაიბადა პრეპარატი — მედიკამენტი — წამალი</p>	<p>ამაღლება — დამდაბლება პრაქტიკული — არაპრაქტიკული ტრადიციული — არატრადიციული ბუნებრივი — ხელოვნური მცირე — დიდი ხშირად — იშვიათად ჯანმრთელი — ავადმყოფი</p>

ცხოვრების გახანგრძლივება **შვილის გაზრდა**
შვებულების გახანგრძლივება **ხელფასის გაზრდა**
 მაგ., ცხოვრების გახანგრძლივება დაისახეს მიზნად.
 ხის გაზრდას დიდი დრო სჭირდება.



დაიმახსოვრეთ!

ა.

რა?

ჯანმრთელობა
გახანგრძლივება

ბ.

მრავლობითი რიცხვი:

ნათ. დაავადებების დიაგნოსტიკა = დაავადებათა დიაგნოსტიკა
სისხლძარღვების ქირურგია = სისხლძარღვთა ქირურგია



დაიმახსოვრეთ!

თანიანი მრავლობითი დღეს, ძირითადად, ნათესაობითი
ბრუნვის ფუნქციით გამოიყენება.
მაგ., ექიმთა გაერთიანება; პომეოპატთა შეკრება;
დაავადებათა სია...

1.5. წაიკითხეთ დიალოგი. ააგეთ ასეთივე დიალოგი თქვენი გამოცდილების მიხედვით:

თამარი: ნანა, იყავი ექიმთან?

ნანა: კი, მაგრამ ცოტათი შეწუხებული ვარ.

თამარი: მართლა? რატომ?

ნანა: ვმკურნალობდი ხალხური მედიცინით, დიაგნოსტიკის გარეშე.

თამარი: მერე?

ნანა: აღმოჩენდა, რომ არასწორად ვმკურნალობდი.

1.6. უპასუხეთ კითხვებს. პასუხებში გამოიყენეთ წყვილები:

პრაქტიკული საქმიანობა მეცნიერული ცოდნა

შრომისუნარიანობის ამაღლება პროფილაქტიკური ღონისძიება

- რა სჭირდება ექიმს მეცნიერულ ცოდნასთან ერთად?
- რას მიმართავს პაციენტი დაავადების თავიდან ასაცილებლად?
- რას ითხოვს ავადმყოფი გაჭანსაღებასთან ერთად?
- რას არ იყენებს ხალხური მედიცინა ტრადიციულისაგან განსხვავებით?

1.7. წაიკითხეთ დიალოგი და დაასრულეთ იგი:

თამარი: პომეოპატთან დავიწყე სიარული.

ნანა: ექიმებმა ვერ გიშველეს?

თამარი: დავიღალე ამდენი წამლის სმით.

მედიცინა

ნანა: ჰომეოპათმა წამალი არ დაგინიშნა?

თამარი: დამინიშნა, მაგრამ მცირე რაოდენობით, ისიც მხოლოდ წვეთები.

ნანა: გიშველა რამე?

თამარი: ორი დღეა, რაც მიღება დავიწყე.

ნანა: ამისსენი, საერთოდ რა არის ეს ჰომეოპათია?

თამარი:

1.8. ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

დიაგნოსტიკა, დოზა, გახანგრძლივება, ტიპეტური მედიცინა, აკობუნქტურა!

- ა. ნერვულ დაბოლოებებზე ნემსების ჩხვლეტით კურნავს
- ბ. დღეს დაავადებათა საკმაოდ ზუსტია.
- გ. ექიმის დანიშნულებაში ბუსტად არის მითითებული წამლის
- დ. სამკურნალოდ იყენებს ბუნებრივ საშუალებებს.
- ე. თანამედროვე მედიცინის მიზანია სიცოცხლის

1.9. მოცემული გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:

N	გუშინ	დღეს	ხვალ
1	უკავშირდებოდა	უკავშირდება	დაუკავშირდება
2	მიეკუთვნებოდა	მიეკუთვნება	მიეკუთვნება
3	განკურნა	კურნავს	განკურნავს
4	გამოიყენა	იყენებს	გამოიყენებს



1.10. მოსმენა:

დიალოგი: სკოლაში

სამედიცინო გაბარება — სამედიცინო ინსტიტუტში გაბარება გამოცდებს.

1.11. დიალოგის მიხედვით აარჩიეთ სწორი პასუხები:

სად აბარებს ნიკა?

- ა. იურიდიულზე;
- ბ. ტურიზმზე;
- გ. სამედიცინოზე?

ვინ არიან დიალოგის მონაწილენი?

- ა. მოსწავლეები;
- ბ. მეგობრები;
- გ. მოსწავლე და მასწავლებელი;

რა არის მედიცინის მიზანი?

- ა. ჯანმრთელობაზე ზრუნვა;
- ბ. წესრიგის დაცვა;
- გ. საავადმყოფოების აშენება;

სად შეისწავლიდნენ მედიცინას?

- ა. ძველ ეგვიპტეში;
- ბ. ძველ საბერძნეთში;
- გ. ევროპაში;


1.12. საპრეზენტაციო თემა:

რატომ არის რთული მედიცინის შესწავლა?

1.13. კიდევ ერთხელ მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ ტექსტში გამოტოვებული ადგილები:

- ა. სამედიცინოს სტუდენტები სწავლობენ.
- ბ. ჯერ ბოგადი საგნები უნდა ვისწავლო. მერე უნდა გადავწყვიტო,
- გ. ადამიანმა უპირველესად ის უნდა გაარკვიოს,

1.14. შეარჩიეთ 2 მოსაუბრე, გაანაწილეთ როლები და გაიმეორეთ დიალოგი:



1.15. წერა:

იმსჯელეთ საკითხზე: როგორ დავძლიე ავადმყოფობა.

1.16. ქართული ანდაზები:

- „სადაც მზე არ შემოდის, იქ ექიმი შედისო“.
- „ავადმყოფის პატრონი ავადმყოფზე უარესიაო“.

უპასუხეთ კითხვებს:

- როგორ გესმით მოცემული ანდაზები?
- რა შემთხვევაში გამოიყენებთ ამ ანდაზებს?


1.17. ბრძნული გამონათქვამი:

„რა აქიმი დასწეულდეს, რაზომ გინდა საქებარი, მან სხვა უხმოს მკურნალი და მაჯაშისა შემტყობარი“
(შოთა რუსთაველი).

გადმოეცით ამ სიტყვების შინაარსი!

II ნაწილი მედიცინის სიმბოლოები

2.1. მოსამზადებელი სამუშაო:



• უპასუხეთ შემდეგ კითხვებს!

- რას ვხედავთ ილუსტრაციებზე?
- რომელი სიმბოლო გეცნობათ და სად გინახავთ იგი?

2.2. ტექსტი

ილუსტრაციებზე გამოსახულია მედიცინის **სიმბოლოები**. პირველი სიმბოლო მედიცინის ომერთს – ესკულაპს (ასკლეპიოსს) უკავშირდება. ძველბერძნული **მითოლოგიით**, ესკულაპი აპოლონისა და მიწიერი ქალის შვილი იყო, თავადაც დედასავით მოკვდავი. დიდი **დამსახურებების გამო** პანთეონის

ღმერთებმა მას **უკვდავება** მიანიჭეს. **მითების** თანახმად, ესკულაპს გზაზე გველი შეხვდა, რომელიც იქვე მოკლა. იმავე წამს მეორე გველი გამოჩნდა. ქვეწარმავალს პირით ბალახი მოჰქონდა, რითაც მოკლული გველი გააცოცხლა. ესკულაპმა იპოვნა ეს მცენარე და მისი საშუალებით მრავალ ადამიანს დაუბრუნა სიცოცხლე. სწორედ ამიტომ **კვერთხზე შემოხვეული** გველი (სურათი 1) მედიცინის ერთ-ერთი პირველი სიმბოლოა.

მესამე სურათზე გამოსახულია ჰიგეას **თასზე შემოხვეული** გველი. ჰიგეა ესკულაპის ქალიშვილი იყო, რომელმაც ადამიანების მკურნალობით **გაითქვა სახელი**. ეს სიმბოლო მედიცინაში **დაამკვიდრა** შუასაუკუნეებში **სახელგანთქმულმა** არაბმა ექიმმა ავიცენაშ.

მეოთხე სურათზე ჩანს წითელი ჯვარი და წითელი ნახევარმთვარე, საერთაშორისო ჰუმანიტარული **მოძრაობის** სიმბოლოები. ეს ორგანიზაცია დაარსდა 1863 წელს და დღეს 100 მილიონ **აქტივისტს** აერთიანებს. **ფასდაუდებელია** მისი **წვლილი** ომების დროს დაჭრილი მებრძოლების გადარჩენაში. მოძრაობა **უბრუნველყოფს** ოკუპირებული ტერიტორიიდან მოსახლეობის მშვიდობიან გამოყვანასაც.

„**სიცოცხლის ვარსკვლავი**“ (სურათი 4) მე-20 საუკუნის ბოლოს დამკვიდრდა მედიცინაში. ის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სიმბოლოა და ხშირადაა გამოსახული „**სასწრაფოს**“ მანქანებზე.

2.3. ლექსიკა:

სიმბოლო — ნიშანი; რაიმე ცნების, იდეის პირობითი აღნიშვნა.

მითოლოგია — მითების ერთობლიობა, მათი შემსწავლელი მეცნიერება.

მითი — ხალხური თქმულება ქვეყნის განვითარებისა და გმირების შესახებ.

დამსახურება — გაწეული ღვაწლის, ჩადენილი სიკეთის აღიარება.

პანთეონი — აქ: ღმერთების ერთობლიობა.

უკვდავება — სიკვდილის უარყოფა, მარადიულობა, მუდმივი სიცოცხლე.

შემოხვეული — რგოლივით დახვეული, შემოკრული.

თასი — სასმელი ჭურჭელი, ჭამი. დიდებულები თასით მიირთმევდნენ ღვინოს.

გაითქვა სახელი — ცნობილი, პოპულარული გახდა.

დაამკვიდრა — დააწესა, საფუძველი ჩაუყარა.

მოძრაობა — რაიმე სახის მოქმედება (აქ: ერთი იდეით გაერთიანებულ ადამიანთა ქმედებები).

აქტივისტი — საზოგადოების, კოლექტივის, ორგანიზაციის აქტიური წევრი.

ფასდაუდებელია — ძალიან მნიშვნელოვანია, უძვირფასესია.

ექიმმა ოპერაციებით გაითქვა სახელი.
მეცნიერმა ტერმინის მნიშვნელობა დაამკვიდრა.

2.4. ტექსტის გააზრება:

- ვინ იყო ესკულაპი?
- მედიცინის რომელი სიმბოლო უკავშირდება ესკულაპს?
- ვინ იყო ჰიგეა? მედიცინის რომელი სიმბოლო უკავშირდება მას?
- რა სახის ორგანიზაციაა საერთაშორისო ჰუმანიტარული მოძრაობა? რა არის მისი სიმბოლო?
- რა სიმბოლოა გამოსახული სასწრაფო დახმარების მანქანებზე?

სინონიმები	ანტონიმები
თავად — თვითონ	მოკვდავი — უკვდავი
მიწიერი — ამქვეყნიური	ნახევარი — მთელი
თანახმად — მიხედვით	ომი — შშვიდობა
მიანიჭეს — უბოძეს — მისცეს	გადარჩენა — დაღუპვა
ბალახი — მცენარე	მოძრაობა — უძრაობა
სახელგანთქმული — ცნობილი	
დაარსდა — დაფუძნდა	
ოკუპირებული — დაპყრობილი	
წვლილი — დამსახურება — ამაგი	

ა.

სახ.	სახელგანთქმული ექიმი
მოთხოვ.	სახელგანთქმულმა ექიმმა
მიც.	სახელგანთქმულ ექიმს
ნათ.	სახელგანთქმული ექიმის და სხვ.
მაგ.,	სახელგანთქმულმა ექიმმა ჯილდო მიიღო.

ბ.

ახლანდელი			
მე	უბრუნველვყოფ	ჩვენ	უბრუნველვყოფთ
შენ	უბრუნველყოფთქვენ	უბრუნველყოფთ	
ის	უბრუნველყოფს	ისინი	უბრუნველყოფენ
წარსული			
მე	უბრუნველვყავი	ჩვენ	უბრუნველვყავით
შენ	უბრუნველყავითქვენ	უბრუნველყავით	
მან	უბრუნველყო	მათ	უბრუნველყვეს

რას შვრება?	უბრუნველყოფს
რა?	უბრუნველყოფა
ასეთივე გმნებია:	ცხადყოფს — გაარკვევს ნათელყოფს — ნათელს გახდის

გ.

მე	გავაცოცხლე	ჩვენ	გავაცოცხლეთ
შენ	გააცოცხლე	თქვენ	გააცოცხლეთ
[მან]	გააცოცხლა	[მათ]	გააცოცხლეს

მაგ., ექიმმა ავადმყოფი მოარჩინა. ავადმყოფმა კატამ თაგვი ვერ დაიჭირა. მკურნალმა ადამიანს სიცოცხლე დაუბრუნა. ჰუმანიტარულმა მოძრაობამ ოკუპირებული ტერიტორიიდან ავადმყოფები გამოიყვანა.

2.5. წაიკითხეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს: რომელ მანქანასთან უნდა მივიღეს გია? მედიცინის რომელ სიმბოლოზეა საუბარი?

გიას ძმა ავად გახდა. სიცხემ აუწია და კანკალი დააწყებინა. დედამ წამალი დაალევინა, მაგრამ არ უშველა. ავადმყოფს ოფლი მოსდომიდა და ტიროდა. დედამ ტელეფონზე რაღაც ნომერი აკრიფა და სასწრაფო დახმარება გამოიძახა. გია ეზოში გააგზავნეს, რომ ექიმები სახლში ამოეყვანა. ეზოში ორი მანქანა შემოვიდა. ერთს ფუნთუშები ეხატა, მეორეს — ვარსკვლავი კვერთხზე შემოხვეული გველით.

2.6. შეარჩიეთ და გამოტოვებულ ადგილას ჩასვით სიტყვები:

წვლილი, მოძრაობის, მემკვიდრეობით, შემოხვეული,
ფასდაუდებელია, გაითქვა სახელი, უკვდავება!

- ნინო ექიმს დიდი მიუძღვის ჩვენი ბავშვების გაზრდაში.
- დემეტრემ ბალახეული წამლებით
- ექიმ იუნგის ღვაწლი ფსიქოანალიზის მეცნიერულ განვითარებაში.
- ჰემანიტარული სიმბოლოა წითელი ჯვარი და წითელი ნახევარმთვარე.
- მედიცინის ემბლემაა თასჩე გველი.
- სახალხო მედიცინის გამოცდილება ახალ თაობას გადაეცემა.
- ღმერთებმა გმირს მიანიჭეს.

2.7. მოცემული გმირის გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:

N	გუშინ	დღეს	ხვალ
1	გააცოცხლა	აცოცხლებს	გააცოცხლებს
2	იპოგნა	პოულობს	იპოვის
3	დაუბრუნა	უბრუნებს	დაუბრუნებს
4	დაამკვიდრა	ამკვიდრებს	დაამკვიდრებს



2.8. მოსმენა:

დიალოგი: მეგობრების შეხვედრა

2.9. მოისმინეთ ჩანაწერი, სწორი პასუხი აღნიშნეთ ✓ სიმბოლოთი:

ჰუმანიტარული ორგანიზაციების მიზანი აღამიანების დახმარებაა.	
ჰუმანიტარულ ორგანიზაციებს ყველაზე მეტი საქმე ევროპაში აქვთ.	
წითელი ჯვრის გარდა სხვა ჰუმანიტარული ორგანიზაციებიც არსებობს.	
გაჭირვებულ ქვეყნებში კარგი საავადმყოფოებია.	

2.10. მოსმენილი დიალოგის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს:

1. სად მუშაობს ანა?
2. რამდენი ხანია, რაც ანა ამ ორგანიზაციაში მუშაობს?
3. რამდენი ხანი გაატარა ანამ აფრიკაში?
4. რომელ ქვეყნებს ეხმარებიან ჰუმანიტარული ორგანიზაციები?
5. როდის ჩამოვა ანა თბილისში?

2.11. მოსმენილი მასალის მიხედვით დაასახელეთ სამი მნიშვნელოვანი ინფორმაცია:

- 1) _____
2) _____
3) _____

გაიხსენეთ!
ის ექიმი, რომელიც....

ისწავლეთ!
ის ექიმები, რომლებიც...

ისწავლეთ!
სახ. რომლებიც
მოთხრ. რომლებმაც
მიც. რომლებსაც და სხვ.



დაიმახსოვრეთ!

შესახებ გამოიყენება მაშინ, როცა მოქმედება იმ საგანს შეეხება,
რომელსაც დაერთვის.
გამო გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა რაიმე მიზეზი აღინიშნება.
მაგ., შენ შესახებ ექიმს მოვუყევი.
თქვენ გამო მეც დამიბარეს.

წემ შესახებ წვენ შესახებ
შენ შესახებ თქვენ შესახებ
[ი]მის შესახებ [ი]მათ შესახებ
მაგრამ: პაციენტის შესახებ.....

წემ გამო წვენ გამო
შენ გამო თქვენ გამო
[ი]მის გამო [ი]მათ გამო
მაგრამ: ავადმყოფის გამო.....

2.12. საპრეზეტაციო თემა:

ჰუმანიტარული ორგანიზაციების მნიშვნელობა

2.13. წერა:

იმსჯელეთ საკითხებები: მე რომ ჰუმანიტარული მოძრაობის აქტივისტი ვიყო!




ეს საინტერესოა!

შესაბამის გენიალურმა სპარსმა ფილოსოფოსმა და ექიმმა — ავიცენამ წამოაყენა ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ მრავალ დაავადებას იწვევდა უარყოფითი ემოციები. ის ასე მიმართავდა პაციენტებს: „ჩვენ სამნი ვართ: მე, თქვენ და თქვენი დაავადება. რომელ მხარესაც დადგებით, ის მხარე გაიმარჯვებს“.

უპასუხეთ კითხვას: რომელ მხარეს უნდა დადგეს პაციენტი, რომ განიკურნოს?

III ნაწილი მაღისის ისტორია

3.1. მოსამზადებელი სამუშაო:



- დააკვირდით სურათებს!

3.2. ტექსტი:

პირველ სურათზე გამოსახულია **მითური** მედეა. ის იყო უძველესი კოლხეთის მეფის, აიეტის, ქალიშვილი, მზის ღმერთ ჰელიოსის შვილიშვილი. მედეას **სახელს** ანტიკურ და **წინაანტიკურ**

სამყაროში ბევრი რამ უკავშირდება. მის სახელზე აგებდნენ ტაძრებს. ძველ ხალხს ის ქალღმერთად მიაჩნდა. ანტიკური საბოგადოება და ბევრი თანამედროვე მეცნიერიც მედიცინის განვითარებას მას უკავშირდებს. თვით ტერმინი „მედიცინაც“ მისი სახელიდან მომდინარეობს. მედეას მკურნალობის საოცარი ნიჭი და ცოდნა ჰქონდა. ლეგენდის მიხედვით, ის ბალახისაგან ამზადებდა წამლებს და კურნავდა ადგილობრივ მოსახლეობას, მოხუცებს სიჭაბუკეს უბრუნებდა, ახალგარდაცვლილსაც კი აცოცხლებდა.

მეორე სურათზე გამოსახულია პიპოკრატე. თუ მედეა მითოლოგიური პერსონაჟია, პიპოკრატე ისტორიული პიროვნებაა. ის ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ძველ საბერძნეთში, ათენში, ძველი წელთაღრიცხვით V–IV საუკუნეებში. პიპოკრატეს მშობლებიც ექიმები იყვნენ. პიპოკრატემშეისწავლა იმდროინდელი მსოფლიო მედიცინის მიღწევები. მან და მისმა მოსწავლეებმა დიდი სიბუსტით აღწერეს მრავალი დაავადება და მათი მკურნალობის წესები. დღესაც მთელ მსოფლიოში ექიმები დებენ „პიპოკრატეს ფიცს“, რომელიც მის მიერ შემუშავებულ მორალურ-ეთიკურ პრინციპებს ემყარება. სწორედ ამიტომ პიპოკრატე თანამედროვე ტრადიციული მედიცინის მამამთავრად ითვლება.

3.3. ლექსიკა:

მითური — მითებთან დაკავშირებული, ლეგენდარული, გამოგონილი.

ანტიკური სამყარო — ძველი ბერძნული და რომაული კულტურები (ძვ.წ. VII–V საუკუნეები).

წინაანტიკური სამყარო — ანტიკურის წინა, ადრეული პერიოდი

[**მის**] სახელს უკავშირდება — მას მიაკუთვნებენ, მის სახელს მიაწერენ.

პერსონაჟი — მხატვრული ნაწარმოების (პიესის, რომანის, კინოს) მოქმედი პირი.

ისტორიული პიროვნება — რეალურად არსებული ადამიანი.

ძველი წელთაღრიცხვით — დრო ქრისტეს შობამდე.

მედიცინის მიღწევები — მედიცინის წარმატებები. მაგალითად, იმ მედიკამენტის შექმნა, რომელიც დაავადებას კურნავს.

დებენ ფიცს — დებენ პირობას (რომ ასე იმოქმედებენ და არა სხვაგვარად).

მორალურ-ეთიკური — ზნეობრივი.

პრინციპები — გარკვეული წრის, პროფესიის ადამიანთა ქცევის წესები, ნორმები.

შემუშავებული — დაკვირვების შედეგად მიღებული.

მამამთავრი — ფუძემდებელი, დამწეული.

3.4. ტექსტის გააზრება:

1. საიდან მომდინარეობს ტერმინი „მედიცინა“?
2. ვინ იყო მითური მედეა?
3. ვინ იყო პიპოკრატე?
4. როდის ცხოვრობდა და მოღვაწეობდა პიპოკრატე?
5. რატომ არის დაკავშირებული ექიმის ფიცი პიპოკრატეს სახელთან?

სინონიმები	ანტონიმები
აგებდნენ — აშენებდნენ	ძველი — ახალი
მომდინარეობს — მოდის	უძველესი — უახლესი
სიჭაბუკე — ახალგაზრდობა	ბევრი — ცოტა
ნიჭი — აქ: უნარი	მოხუცი — ახალგაზრდა
ემყარება — ეფუძნება	დიდი — პატარა
მამამთავარი — დამაარსებელი	მრავალი — ერთი
მორალური — ეთიკური — ზნეობრივი	

მომდინარეობს ტერმინი, აზრი
 მაგ., „მითი“ მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან „მითოს“, რაც ნიშნავს
 მოთხერობას.
 მალე გაზაფხული მოვა.



დაიმახსოვრეთ!

რა?	როგორი?
საათი	საათობრივი მკურნალობა
ბუნება	ბუნებრივი ინგრედიენტები

ასეთივე სიტყვებია:

რა?	როგორი?	რა?	როგორი?
ადგილი —> ადგილობრივი	ბუნება —> ბუნებრივი		
დარგი —> დარგობრივი	გონება —> გონებრივი		
მასა —> მასობრივი	სახელმწიფო —> სახელმწიფოებრივი	ბუდე —> ბუდობრივი	
საბოგადოება —> საბოგადოებრივი	სამსახური —> სამსახურებრივი		
ფაქტი —> ფაქტობრივი			
მიზანი —> მიზნობრივი			

3.5. გამოყავით ზმნები; გადაიყვანეთ ტექსტი ახლანდელ დროში:

ნანა ყოველთვის ექიმივით იქცეოდა. თამაშის დროს მე პაციენტი ვიყავი, ის ქირურგი იყო; მსინჯავდა, ოპერაციას მიკეთებდა, წამლებს მინიშნავდა. ერთხელ მართლა მომარჩინა, თავი მტკიოდა და წამალი დამალევინა. მეც, რა თქმა უნდა, გადავყლაპე. ნახევარი საათის შემდეგ ტკივილმა გამიარა. ნანა ჩემსავით არასდროს ცელქობდა.



დაიმახსოვრეთ!

-ვით გამოხატავს მსგავსებას . ის გამოიყენება სახელობითთან და მიცემითთან: მაგ., ეს ბალახი წამალ-ი-ვით მოქმედებს; სახე ჭარხალი-ვით გაუწიოთლდა; ისიც ჩემ-სა-ვით ავადაა.

I.	ჩემსავით	ჩვენსავით
II.	შენსავით	თქვენსავით
III.	მასსავით	მათსავით
აგრეთვე:		ჯადოსავით, კატასავით

3.6. ჩასვით დიალოგში გამოტოვებული ზმნები:

იცის არსებობს მოგონილია წაგიკითხავს მოკლა უპოვიათ

ვაჟა: მითი მედეას შესახებ?

მზია: როგორ არ წამიკითხავს, ეს მითი ყველა ქართველმა

ვაჟა: შენ მართლა გგონია, რომ მედეამ თავისი შვილები

მზია: რა თქმა უნდა, არა. ეს ყველაფერი ევრიპიდეს

ვაჟა: აბა, რატომ ტერმინი „მედეას კომპლექსი“?

მზია: ევრიპიდეს დრამის გავლენაა, სხვა — არაფერი.

ვაჟა: არგონავტების ამბავი მართალია?

მზია: არქეოლოგიური მასალა ჭერ არ

3.7. მოცემული ზმნების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:

N	გუშინ	დღეს	ხვალ
1	დაამზადა	ამზადებს	დაამზადებს
2	შეისწავლა	სწავლობს	შეისწავლის
3	აღწერა	აღწერს	აღწერს
4	დადო	დებს	დადებს



3.8. მოსმენა:

დიალოგი: სახლში

3.9. მოისმინეთ ჩანაწერი, სწორი პასუხი აღნიშნეთ ✓ სიმბოლოთი:

ნიკა მედიცინას სწავლობს.	
ჰიპოკრატე მედიცინას მეცნიერულად სწავლობდა.	
„ჰიპოკრატეს ფიცს“ მხოლოდ ის ექიმები დებენ, რომელთაც ამის სურვილი აქვთ.	
ნიკა ადრე ვერ დაიძინებს, მათემატიკაც უნდა იმეცადინოს.	

3.10. მოსმენილი დიალოგის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს:

- რას სწავლობს ნიკა ისტორიაში?
- როგორი მასწავლებელი ჰყავს ნიკას მათემატიკაში?
- როდის ცხოვრობდა ჰიპოკრატე?
- ჰიპოკრატეს მიხედვით, როგორი ჰავა იყო ძველ საქართველოში?

3.11. მოსმენილი დიალოგის მიხედვით დაასახელეთ სამი მნიშვნელოვანი ინფორმაცია:

- _____
- _____
- _____

3.12. შეარჩიეთ 2 მოსაუბრე, გაანაწილეთ როლები და მოსმენილი დიალოგის მიხედვით ააგეთ ახალი დიალოგი:

3.13. საპრეზეტაციო თემა:

ყველა ექიმი „პიპოკრატეს ფიცს“ უნდა იცავდეს!

3.14. შეარჩიეთ 2 მოსაუბრე, გაანაწილეთ როლები და მოსმენილი დიალოგის მიხედვით ააგეთ ახალი დიალოგი:

ა.

[ის] იცავდეს [ისინი] იცავდნენ



დაიმახსოვრეთ!

ასეთი ფორმები ხშირად გამოიყენება უნდა და შეიძლება გმნებთან ერთად.

მაგ., ექიმმა უნდა იცოდეს მედიცინის ისტორია.

ეს შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს თქვენს აზრს.

გული მოიგო — მიიმხრო, კეთილგანწყობა დაიმსახურა.
გული წაუვიდა, შეუწუხდა — გონება, გრძნობა დაკარგა.
გული გადაუშალა — საიდუმლო გაანდო.
გული ამოუვარდა — გულისცემა ძალიან გაუხშირდა (დატვირთვის ან ნერვიულობის გამო).
გული მოულბო — გაბრაზებული დაამშვიდა.

3.15. წერა:

იმსჯელეთ საკითხები: როგორი უნდა იყოს ექიმის ფიცი.



ეს საინტერესოა!

ლეგენდის მიხედვით, მედეას, აიეტის უმცროს ასულს, შეუყვარდა არგონავტების წინამძღოლი იასონი და დაეხმარა ოქროს საწმისის გატაცებაში. ძველი ბერძენი მწერლის, ევრიპიდეს, დრამის მიხედვით, იასონმა მედეას უდალატა. ამის გამო გაბოროტებულმა ქალმა შვილები დახოცა.

მედეას კომპლექსი — ეს ტერმინი ხანდახან გამოიყენება იმ მშობლის მიმართ, რომელიც საკუთარ შვილს კლავს ან ფიზიკურ ზიანს აყენებს.

უპასუხეთ კითხვას: დედის მიერ შვილის ცემა არის თუ არა „მედეას კომპლექსი“?

ლექსიკა:

აკოპუნქტურა — არატრადიციული მედიცინა, რომელიც სამკურნალო მეთოდად იყენებს ადამიანის სხეულის განსაზღვრულ წერტილებში მექანიკურ ზემოქმედებას, კერძოდ, ნერვულ დაბოლოებებზე ნემსების ჩხვლეებას.

ამაღლება — აქ: მომატება, გაძლიერება.

ანტიკური სამყარო — ძველი ბერძნული და რომაული კულტურები (ძვ.წ. VII-V საუკუნეები).

აქტივისტი — კოლექტივის, საზოგადოების, ინიციატივიანი წევრი.

გაითქვა სახელი — ცნობილი, პოპულარული გახდა.

განკურნოს — მოარჩინოს, გამოაჭანმრთელოს.

გახანგრძლივება — დროის მონაკვეთის გაზრდა.

დაამვიდრა — შემოიტანა, ადგილი მოუნახა, მიღებული გახადა.

დამსახურება — ჩადენილი სიკეთის ობიექტური ღირებულება.

დებენ ფიცს — დებენ პირობას (რომ ასე იმოქმედებენ და არა სხვაგვარად).

დიაგნოსტიკა — დიაგნოზის დასმა, დაავადების გამოვლინება.

დობა — აქ: ერთ ჭერზე მისაღები წამლის გარკვეული რაოდენობა.

თაობა — ერთსა და იმავე პერიოდში დაბადებული ადამიანების ერთობლიობა (მაგ., ბებია-ბაბუების თაობა, ჩვენი თაობა).

თასი — სასმელი ჭურჭელი. დიდებულები თასით მიირთმევდნენ ღვინოს.

მედიცინის მიღწევები — მედიცინაში მოპოვებული წარმატება. მაგალითად, იმ მედიკამენტის შექმნა, რომელიც დაავადებას კურნავს.

მეცნიერული ცოდნა — ცოდნა, რომელიც ემყარება მეცნიერულ მეთოდებს.

მითი — ხალხური თქმულება ქვეყნის გაჩენის, ღმერთებისა და გმირების მოქმედების შესახებ.

მითოლოგია — მითების ერთობლიობა, ასევე შემსწავლელი მეცნიერება.

მითური — მითებთან დაკავშირებული, ლეგენდარული, გამოგონილი.

მორალურ-ეთიკური — ზნეობრივი.

მოძრაობა — მოქმედება (აქ: ერთი იდეით გაერთიანებულ ადამიანთა მოქმედებები).

პანთეონი — აქ: ღმერთების ერთობლიობა.

პაციენტი — პირი, რომელიც სარგებლობს ექიმის მომსახურებით.

პრაქტიკული საქმიანობა — აქ: კლინიკაში სამედიცინო პირის მიერ ჩატარებული სხვადასხვა მანიპულაცია. მაგ., ავადმყოფის გასინჯვა, ანალიზების აღება, ექოსკოპის გადაღება და სხვ.

პრინციპები — გარკვეული წრის, პროფესიის ადამიანთა ქცევის წესები, ნორმები.

პროფილაქტიკა — ღონისძიება, მოქმედება, რომლის მიზანია დაავადების თავიდან აცილება.

[მის]სახელს უკავშირდება — მის სახელს მიაწერენ.

სიმბოლო — ნიშანი, რაიმე ცნების, იდეის პირობითი აღნიშვნა.

უკვდავება — სიკვდილისნ უარყოფა, მუდმივი სიცოცხლე.

ფასდაუდებელია — ძალიან მნიშვნელოვანია.

შემოხვეული — რგოლივით დახვეული, შემოკრული.

შემუშავებული — შერჩეული და მიღებული.

შენარჩუნება — იმ მდგომარეობის დატოვება, რაც უკვე აქვს.

შრომისუნარიანობა — პიროვნების შესაძლებლობა, იშრომოს.

წვლილი — ვალდებულება ვინმეს, რამის წინაშე.

წინაანტიკური სამყარო — ანტიკურის წინა, ადრეული პერიოდი

ჯანმრთელობა — ორგანიზმის ნორმალური მდგომარეობა, როდესაც ყველა ორგანო თავის ფუნქციას ასრულებს.

ჰომეოპათია — მედიცინის ალტერნატიული მეთოდი. წამლები მზადდება იმ ნივთიერებებისგან, რომელთა დიდი დოზა ჯანმრთელ ადამიანში დაავადების მსგავს სიმპტომებს იწვევს.

8მნები:

N	ახლანდელი	წარსული	მომავალი	მომავალი + უნდა	თურმე-ობითი	საწყისი	
	რას შვრება?	რას შვრებოდა?	რა ქნა?	რა იზამს?	რა უნდა ქნას?	რა უქნია?	რა?
1.	ამზადებს	ამზადებდა	დაამზადა	დაამზადებს	დაამზადოს	დაუმზადებია	დამზადება
2.	ამკვიდრებს	ამკვიდრებდა	დაამკვიდრა	დაამკვიდრებს	დაამკვიდროს	დაუმკვიდრებია	დამკვიდრება
3	აღწერს	აღწერდა	აღწერა	აღწერს	აღწეროს	აღუწერია	აღწერა
4	აცოცხლებს	აცოცხლებდა	გააცოცხლა	გააცოცხლებს	გააცოცხლოს	გაუცოცხლებია	გაცოცხლება
5	დებს	დებდა	დადო	დადებს	დადოოს	დაუდია	დადება
6	იყენებს	იყენებდა	გამოიყენა	გამოიყენებს	გამოიყენოს	გამოუყენებია	გამოყენება
7	კურნავს	კურნავდა	განკურნა	განკურნავს	განკურნოს	განკურნავს	განკურნება
8	მიეკუთვნება	მიეკუთვნებოდა	მიეკუთვნა	მიეკუთვნება	მიეკუთვნოს	მიკუთვნებია	მიკუთვნება
9	პოულობს	პოულობდა	იპოვა	იპოვის	იპოვოს	უპოვნია	პოვნა
10	სწავლობს	სწავლობდა	შეისწავლა	შეისწავლის	შეისწავლოს	შეისწავლია	სწავლა

II თავი სამედიცინო ინფრასტრუქტურა

I ნაწილი ჩანდაცვა

1.1. მოსამზადებელი სამუშაო:



• უპასუხეთ შემდეგ კითხვებს!

1. რას ვხედავთ ილუსტრაციებზე?
2. გინახავთ თუ არა ეს შენობა?
3. თქვენი აზრით, რას აკეთებს საქართველოში ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო? ეხმარება თუ არა პირადად თქვენს ოჯახს, ახლობლებს, ნათესავებს?

1.2. ტექსტი:

ჯანდაცვა არის სახელმწიფოს მიერ ორგანიზებული სისტემა, რომლის მიზანია ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა, დაავადებების თავიდან აცილება და მკურნალობა. სხვადასხვა ქვეყნის ჯანდაცვის სისტემები ერთმანეთისგან განსხვავდება. ისინი დამოკიდებულია ქვეყნის **პოლიტიკურ წყობაზე**, ეკონომიკურ მდგომარეობაზე, რელიგიასა და ა.შ. ბევრ ქვეყანაში დანერგილია უნივერსალური ჯანდაცვის სისტემა. ამ შემთხვევაში სახელმწიფო მოსახლეობის 90%-ზე მეტს სრულფასოვანი სამედიცინო მომსახურებითა და პროფილაქტიკური ღონისძიებებით უზრუნველყოფს. ამ ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება საქართველოც. სხვაგან სახელმწიფო მხოლოდ **ანტეპიდემიურ სამუშაოებს** აფინანსებს, ხოლო ძირითადი სამედიცინო მომსახურება გადატანილია **კერძო სექტორში**.

ჯანდაცვის **წარმატებული მუშაობისთვის საჭიროა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა**, უპირველესად კი კარგად **აღჭურვილი სამედიცინო დაწესებულებები**: საავადმყოფოები, ამბულატორიები, პოლიკლინიკები, დისპანსერები, სააფთიაქო ქსელი, ასევე **სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურები**.

საქართველოში ჯანმრთელობის დაცვის სისტემას ხელმძღვანელობს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. მის სტრუქტურაში შედის სხვადასხვა ორგანიზაცია, რომლებიც უზრუნველყოფს საქართველოს მოსახლეობას სამედიცინო მომსახურებით. სამინისტროში მოქმედებს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაც, რომლის მიზანია ყველა მოქალაქისათვის ხელმისაწვდომი გახადოს სამედიცინო დახმარება.

- ყველა მოქალაქეს შეუძლია სამედიცინო მომსახურებით სარგებლობა.
- სამედიცინო მომსახურება ყველასთვის ხელმისაწვდომი გახდა.

1.3. ლექსიკა:

პოლიტიკურ წყობა — სისტემა, რომლის საზღვრებშიც მიმდინარეობს საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრება და მართვა. მას განსაზღვრავს საზოგადოების სოციალური წყობა.

ეკონომიკური მდგომარეობა — ქვეყანაში არსებული ეკონომიკური სისტემა, მისი განვითარების სტადია.

ანტიეპიდემიური სამუშაოები— ეპიდემიის საწინააღმდეგო სამუშაოების ჩატარება.

კერძო სექტორი — არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც თვითდაფინანსებაზეა.

წარმატებული — აქ: კარგი

მატერიალურ-ტექნიკური ბაზა — დაწესებულებაში თავმოყრილი მატერიალური და ტექნიკური ფასეულობები, მაგ., საოფისე ავეჯი, კომპიუტერული ტექნიკა და ა.შ.

აღჭურვილი — აქ: მოწყობილი, მაგ., თანამედროვე აპარატურით.

ამბუღატორია — სამკურნალო დაწესებულება, რომელიც საექიმო დახმარებას უწევს იქ მისულ და სახლში მყოფ ავადმყოფებს.

დისპანსერი — სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულება, რომლის მიზანია დაავადებათა წინააღმდეგ წინასწარი ზომების მიღება.

სააფთიაქო ქსელი — აფთიაქების გაერთიანება.

სანიტარია — სისუფთავისა და ჯანმრთელობის დაცვისათვის საჭირო ღონისძიებები

სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურები — სამსახურები, რომლებიც აკონტროლებს სანიტარული ნორმებისა და წესების დაცვას, ატარებს პროფილაქტიკურ სამუშაოებს მოსახლეობის მასობრივი დაავადებების თავიდან ასაცილებლად.

სოციალური დაცვა — სისტემა, რომელიც იცავს ადამიანთა უფლებებს და მათ სოციალურ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს.

1.4. ტექსტის გააზრება:

1. რა არის ჯანდაცვა?
2. რას ეფუძნება სხვადასხვა ქვეყნის ჯანდაცვის სისტემა?
3. რა არის აუცილებელი ჯანდაცვის წარმატებული საქმიანობისთვის?
4. საქართველოში რომელი ორგანიზაცია ხელძღვანელობს ჯანდაცვას?

სინონიმები	ანტონიმები
აცილება — არიდება ორგანიზებული — მოწესრიგებული ძირითადი — მთავარი ხელმძღვანელობს — მართავს სტრუქტურა — შედგენილობა ორგანიზაცია — სამსახური საყოველთაო — სახალხო აფინანსებს — ანაზღაურებს	მთლიანად — ნაწილობრივ კერძო — სახელმწიფო კარგად — ცუდად ანტიეპიდემიური — ეპიდემიური



საყოველთაო ჯანდაცვა
საყოველთაო მობილიზება
მაგ., საქართველოში მოქმედებს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა.
ქვეყანაში განათლება საყოველთაოა, ხელმისაწვდომია ყველასთვის.
მარნეულში ჩატარდა სახალხო კრება.



დაიმახსოვრეთ!

მედიცინა → სამედიცინო [დახმარება]
აფთიაქი → სააფთიაქო [ქსელი]

1.5. წაიკითხეთ დიალოგი, გამოყავით მასში ჯანდაცვის მიზნები:

გიორგი: გამარჯობა, როგორ ხარ?

ანა: როგორ ვიქნები, მამაჩემი ძალიან ავადაა.

გიორგი: მერე ვინმე გეხმარება?

ანა: არავინ.

გიორგი: ალბათ დაზღვევაც არა გაქვთ.

ანა: როგორ არა, მამა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაშია ჩართული.


გიორგი: ამით ხომ მინიმუმი დაგიფინანსდებათ.

ანა: პროგრამაში ყველა აუცილებელი გამოგვლევაა შესული, მით უმეტეს, სოციალურად დაუცველი ადამიანებისთვის.



გიორგი: ამას რა სჭობია.

ანა: მეც ახლა დავრწმუნდი, გადაუდებელი დახმარება და ძირითადი გამოგვლევები ნამდვილად საყოველთაო ყოფილა.

ვინ?



რა?



მაგ.,
ექიმს ხელი არავინ შეუშალოს!
ვერაფერს ვხედავ, ექიმთან უნდა მივიდე.
არაფერი დამილევია, თავისით მოვრჩი.
ავადმყოფის პალატაში ნურავის შეუშვებთ!

ისწავლეთ!

სახ.	არავინ	არაფერი
მოთხოვის.	არავინ	არაფერმა
მიც.	არავის	არაფერს
ნათ.	არავის	არაფრის
მოქმ.	----	არაფრით
ვით.	----	არაფრად
წოდ.	----	----

1.6. წაიკითხეთ ტექსტი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

- ა. ჭანდაცვის სამინისტრო ლეიკემიით დაავადებული კიდევ ერთი მოზარდის მკურნალობას
- ბ. 13 წლის გიორგი შარაბიძეს ესაჭიროება გადაუდებელი
- გ. საჯარო ინფორმაცია თანაბრად
- დ. ჭანდაცვის ერთ-ერთი მიზანია დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის

1.7. წაიკითხეთ დიალოგი; ამოიკითხეთ მედიცინასთან დაკავშირებული ლექსიკა:

თამრიკო: ნანა, დაზღვეული ხარ?

ნანა: რამდენი ხანია. დღეს დაზღვევის გარეშე ვერაფერს გახდები. ხან რა მჭირდება და ხან — რა.

თამრიკო: საყოველთაო დაზღვევა გაქვს, თუ — კერძო.

ნანა: კერძო. ვმუშაობ და შემიძლია საკუთარი თავის დაზღვევა. შენ?

თამრიკო: მე საყოველთაო დაზღვევა მაქვს.

ნანა: იცირა, მე რაც მჭირდება — სხეულისა და სახის მოვლა, მხოლოდ კერძო სექტორშია, სახელმწიფო დაზღვევა ამას არ აფინანსებს.

თამრიკო: უფასო არც საყოველთაო პროგრამებია. მათ სახელმწიფო ანაზღაურებს.

ნანა: სახელმწიფო პროგრამები ძირითადად სოციალურად დაუცველებისთვის არის.

თამრიკო: იმათვისაც, ვისაც გადაუდებელი სამედიცინო დახმარება ესაჭიროება.

1.8. წაიკითხეთ წყვილები და ააგეთ წინადადებები:

პროფილაქტიკური ღონისძიებები
სანიტარული სამსახური
კერძო სექტორი
ეკონიმიკური მდგომარეობა
სახელმწიფო სექტორი

ანტიპიდემიური სამუშაოები
სოციალურად დაუცველი
სააფთიაქო ქსელი
ტექნიკით აღჭურვილი
წარმატებული მუშაობა

1.9. მოცემული გმნების გამოყენებით შეადგინეთ წინადაღებები:

N	გუშინ	დღეს	ხვალ
1	დააფინანსა	აფინანსებს	დააფინანსებს
2	შევიდა	შედის	შევა
3	იმოქმედა	მოქმედებს	იმოქმედებს
4	გახადა	ხდის	გახდის

აქ: აფინანსებს — იგივეა, რაც: ფინანსებს აძლევს (რას შვრება?)

დააფინანსებს — ფინანსებს მისცემს (რას იჩამს?)

დააფინანსა — ფინანსები მისცა (რა ქნა?)



1.10. მოსმენა:

დიალოგი: ნიკას შვილი ავად არის!

1.11. დიალოგის მიხედვით აარჩიეთ სწორი პასუხები:

რამდენი წელი მუშაობდა სალომე ჭანდაცვის სამინისტროში?

- ა. 2 წელი.
- ბ. 3 წელი.
- გ. 5 წელი.

რომელ ორგანიზაციას აქვს სპეციალური ფონდი სოციალურად დაუცველი ავადმყოფების დასახმარებლად?

- ა. საქართველოს განათლების სამინისტროს.
- ბ. საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას.
- გ. თბილისის მერიას.

რა ავადმყოფობა აწესებს ნიკას შვილს?

- ა. ნერვული დაავადება.
- ბ. გულის დაავადება.
- გ. სისხლის დაავადება.

რამდენი ხანია ნიკას შვილი ავადაა?


- ა. 3 წელია.
- ბ. 1 წელია.
- გ. 2 წელია.

1.12. მოისმინეთ დიალოგი კიდევ ერთხელ და შეავსეთ ტექსტში გამოტოვებული ადგილები:

- საქართველოს ყველა მოქალაქეს ეკუთვნის უფასო

2. რომელიმე ევროპულ თუ არ წავიყვანეთ, ვერ განიკურნება.
3. ხალხი ძალიან მაღლიერია ამ პროგრამის. ჩვენც უფასოდ გავიკეთეთ. უბრალოდ ამ იშვიათ ჯანდაცვის პროგრამა არ ფარავს.
4. სახელმწიფო დღეს რეალურად ეხმარება მძიმე

5.



6.

აღ- და ა- მიუთითებს მიმართულებას ქვემოდან ზემოთ

რას იგამს?	რა?
აღადგენს — თავიდან გააკეთებს	→ აღდგენა
აღმოაჩენს — იპოვის, მიაგნებს სიახლეს	→ აღმოჩენა
აღიარებს — მართებულად მიჩნევს, აზრს გაიზიარებს	→ აღიარება
აღნიშნავს — რაიმეს იტყვის ან ჩაინიშნავს [მაგ., რვეულში]	→ აღნიშნავა
აღრიცხავს — დათვლის, იანგარიშებს, რაოდენობას დაითვლის	→ აღრიცხვა
აღზრდის — გაზრდის, განავითარებს	→ აღზრდა

7.



გაიხსენეთ!

ხალხი სიმრავლის აღმნიშვნელი სიტყვაა და გმნას მხოლობით რიცხვში მოითხოვს.
მაგ., ხალხი არის; ან: ხალხია.
ეკიპაჟი მგბავრთა კომფორტების ფიქრობს.

1.13. საპრეზეტაციო თემა:

რათომ დადიან სამკურნალოდ უცხოეთში?

1.14. წერა:

იმსჯელეთ საკითხებები — იმსჯელეთ საკითხებები — კმაყოფილი ვარ თუ არა ჩემი დაზღვევით?

1.15. ქართული ანდაზები:

- ფულით შეიძლება იყიდო წამალი და არა ჯანმრთელობა.
- ავადმყოფობა ბევრია, ჯანმრთელობა — ერთი.
- ვისაც ჭირი უნახავს, წამალიც იმას ჰქონდეთ.


უპასუხეთ კითხვებს!

- ა. როგორ გესმით მოცემული ანდაზები?
ბ. რა შემთხვევაში გამოიყენებთ მათ?



ეს საინტერესოა!

სურ.1 რუქაზე მწვანე ფერითაა აღნიშნული ქვეყნები და რეგიონები, რომელთაც უნივერსალური ჯანდაცვის სისტემა აქვს.



უპასუხეთ კითხვას: რომელ კონტინენტზეა ნაკლებად გავრცელებული უნივერსალური ჯანდაცვის სისტემა?

II ნაწილი სამედიცინო დაცესებულებები



სურ. 1 მესტიის ამბულატორია-საავადმყოფო



სურ.2 თანამედროვე საავადმყოფოს რეანიმაციული პალატა

2.1. ტექსტი:

ჯანდაცვა რთული სისტემაა. პაციენტისთვის ძნელია იმის გარკვევა, რომელ ექიმს მიმართოს და რა სახის სამედიცინო პროცედურა ჩაიტაროს. ამ პრობლემის გადაწყვეტაში აღამიანებს „პირველადი ჯანდაცვის“ სისტემა ეხმარება. გამართული პირველადი ჯანდაცვის ანუ „საოჯახო მედიცინის“ სისტემაში უმთავრესი ყურადღება პროფილაქტიკას, დაავადების ადრეულ გამოვლენასა და მის დრულად მკურნალობას ეთმობა. პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებები სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია. ყველაზე მეტად გავრცელებულია ამბულატორია, პოლიკლინიკა, დისპანსერი, პროფილაქტორიუმი, ორსულთა კონსულტაცია, საფერშლო-საბებიო პუნქტები და სხვ. საქართველოში უკანასკნელ ხანს გაიხსნა პირველადი ჯანდაცვის ცენტრები (სურ.1), სადაც პაციენტებს უტარდებათ ოჯახის ექიმის კონსულტაცია და პირველადი გამოკვლევები; მათ ხანგრძლივად აკვირდებიან და რეაბილიტაციის კურსს სთავაზობენ.

სამედიცინო დაწესებულებებს ასევე მიეკუთვნება მეორეული და მესამეული ჯანდაცვის ობიექტები: მრავალპროფილიანი ჰოსპიტალი, რაიონული და მუნიციპალური საავადმყოფოები, სპეციალიზირებული საავადმყოფოები, როგორებიცაა: ტრავმაცენტრი, რეაბილიტაციის ცენტრი, ბავშვთა საავადმყოფო, ინფექციური საავადმყოფო, ფსიქიატრიული საავადმყოფო და სხვა. ეს საავადმყოფოები აღჭურვილია გამოგვლევისა და მკურნალობის მაღალტექნოლოგიური საშუალებებით (სურ.2). აქ ხორციელდება სპეციალიზირებული მკურნალობა იმ პაციენტებისა, რომელთაც პირველადი ჯანდაცვის ობიექტებიდან აგზავნიან ოჯახის ექიმები.

2.2. ლექსიკა:

პირველადი ჯანდაცვა — ჯანდაცვის სისტემის შემადგენელი ნაწილი, რომლის დროსაც ხდება პაციენტის პირველი კონტაქტი ოჯახის ექიმთან.

ყურადღება ეთმობა — ყურადღება ექცევა.

პროფილაქტორიუმი — სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულება.

ფერშალი — საშუალო განათლების მედიცინის მუშავი, ექიმის თანაშემწე.

ბებიაქალი — ექთანი, რომელიც უვლის და ეხმარება ქალს მშობიარობის დროს და მის შემდეგ.

საფერშლო-საბებიო პუნქტები — სამედიცინო პუნქტები, სადაც პაციენტს სამედიცინო დახმარებას უწევენ ექიმის მოსვლამდე.

გაიხსნა — აქ: ფუნქციონირება დაიწყო, ამოქმედდა.

პირველადი გამოკვლევები — დიაგნოსტიკური და ლაბორატორიული გამოკვლებები, რომელთა მიხედვითაც პირველადი ჯანდაცვის ექიმი აფასებს დაავადებას.

რეაბილიტაცია — ავადმყოფობის შემდეგ ორგანიზმის ფუნქციების აღდგენა.

მეორეული (მესამეული) ჯანდაცვა — ჯანდაცვის სისტემის შემადგენელი ნაწილი, რომლის დროსაც პაციენტს იკვლევს და მკურნალობს ექიმი სპეციალისტი.

ჰოსპიტალი — საავადმყოფო, უპირატესად სამხედრო.

მუნიციპალური — აქ: სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული საავადმყოფო.

სპეციალიზირებული — გარკვეული მიმართულებით მომუშავე.

ტრავმაცენტრი — ტრავმატოლოგის ცენტრი.

ინფექციური საავადმყოფო — ინფექციური დაავადებების სამკურნალო დაწესებულება.

ფსიქიატრიული საავადმყოფო — ფსიქიატრიული დაავადებების სამკურნალო დაწესებულება.

მაღალტექნოლოგიური — უმაღლესი დონის ტექნოლოგიის მქონე.

ოჯახის ექიმი — ექიმი, რომელიც პირველად აფასებს დაავადებას და საჭიროების შემთხვევაში პაციენტს აგზავნის ექიმ სპეციალისტთან.

2.3. ტექსტის გააზრება:

- რა არის პირველადი ჯანდაცვის მიზანი?
- რას ექცევა უმთავრესი ყურადღება „საოჯახო მედიცინის“ სისტემაში?
- რა დანიშნულება აქვს საფერშლო-საბებიო პუნქტებს?
- რა არის მეორეული ან მესამეული ჯანდაცვის მიზანი?
- რა და რა სახის სპეციალიზირებული საავადმყოფოები არსებობს?

სინონიმები	ანტონიმები
<p>პირველადი ჯანდაცვა — საოჯახო მედიცინა</p> <p>პირველადი — თავდაპირველი ხანი — დრო</p> <p>კონსულტაცია — რჩევა</p> <p>საფერშლო — საექთნო</p> <p>რეაბილიტაცია — აღდგენა</p> <p>ხორციელდება — სრულდება</p>	<p>რთული — მარტივი</p> <p>უძნელდება — უადგილდება</p> <p>მეტად — ნაკლებად</p> <p>გამართული — გაუმართავი</p> <p>უმთავრესი — უმნიშვნელო</p> <p>ადრეული — გვიანდელი</p> <p>დროული — დაგვიანებული</p> <p>ხანგრძლივი — ხანმოკლე</p> <p>მაღალტექნოლოგიური — დაბალტექნოლოგიური</p>

ხორციელდება — სრულდება

მაგ., აღდგენითი სამუშაოები წარმატებით ხორციელდება.

მოსწავლე საშინაო დაგალებას ასრულებს.

რა?	როგორი?
ინფექცია	→ ინფექციური
ფსიქიატრია	→ ფსიქიატრიული

2.4. დაასრულეთ დიალოგი! რა ტიპის საავადმყოფოში აჭობებს ირაკლის გადაყვანა?

პასუხი დაასაბუთეთ:

დათო: ჩემი ბიძაშვილი ავარიაში მოყვა და სულ დამტვრეულია.

გია: რას ამბობ? რა მოიტეხა?

დათო: ხელიც მოიტეხა, ფეხიც და თავიც გაიტეხა.

გია: მერე სასწრაფო დახმარებას არ გამოუძახეთ?

დათო: რა თქმა უნდა, გამოვუძახეთ.

გია: რომელ საავადმყოფოში გადაგყავთ?

დათო.....

სახ.	ჩემი ბიძაშვილი
მოთხოვ.	ჩემმა ბიძაშვილმა
მიც.	ჩემს ბიძაშვილს
და სხვ.	
მაგ., ჩემს ბიძაშვილს რენტგენი გადაუღეს.	
თქვენმა ავადმყოფობამ შეგიშალათ ხელი.	

2.5. უპასუხეთ კითხვას: როგორ უნდა მოიქცეს ნიკო?

ნიკოს აწუხებს ფილტვები. ამის გამო ის მთაში დადის, დიდხანს არის ჰაერზე, ვარჯიშობს, თუმცა პრობლემას მაინც ვერ უშველა. ნიკომ ექიმთან მისვლა გადაწყვიტა. ახლობლებმა ურჩიეს, ექიმ მანჯგალაძესთან მისულიყო. ნიკოს შეუძლია ექიმთან მიღებაზე ჩაწერა, მაგრამ მას უნდა, რომ ვიზიტი დაზღვევამ დაუფინანსოს.

2.6. უპასუხეთ კითხვას: რომელი საფეხურის ჯანდაცვაზეა საუბარი ტექსტში? თქვენი აზრი დაასაბუთეთ.

დედა: არ დაგავიწყდეს პოლიკლინიკაში მისვლა!

ნიკო: დღეს უნდა მივიდე?

დედა: აუცილებლად. დღეს ხარ ჩაწერილი ოჯახის ექიმთან.

ნიკო: ისე, პოლიკლინიკაში რა მინდა? მე ოპერაცია მჷირდება. მკურნალობით ეს ფეხი არ მირჩება.

დედა: სწორედ ამიტომ მიდიხარ ოჯახის ექიმთან. მან უნდა გაგაგზავნოს ტრაგმატოლოგიურში, სადაც საუკეთესო სპეციალისტები მუშაობენ; თანაც მხოლოდ იმ განხრით, რაც შენ გჭირდება.

ნიკო: მაშინ აუცილებლად შევივლი. ამის გადადება აღარ შეიძლება. თუ ასე გაგრძელდა, ჩემი ფეხით ვეღარ ვივლი.

სინონიმები
განხრა — მიმართულება
გადადება — აქ: გადავადება

2.7. მოცემული გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:

N	გუშინ	დღეს	ხვალ
1	მიმართა	მიმართავს	მიმართავს
2	ჩაიტარა	იტარებს	ჩაიტარებს
3	გააგზავნა	აგზავნის	გააგზავნის
4	დააკვირდა	აკვირდება	დააკვირდება
5	განხორციელდა	ხორციელდება	განხორციელდება



2.8. მოსმენა:

დიალოგი: ინტერვიუ ჭანდაცვის მინისტრთან

2.9. მოისმინეთ ჩანაწერი, სწორი პასუხი აღნიშნეთ ✓ სიმბოლოთი:

საქართველოს მოქალაქემ, რომელსაც რაიმე აწესებს, ჯერ ოჯახის ექიმს უნდა მიმართოს.	
სამინისტრო ახალი საავადმყოფოების აშენებას აპირებს.	
ახალი ჭანდაცვის სისტემა არ განსხვავდება ძველი სისტემისგან.	
ჭანდაცვის სისტემაში დაგეგმილი ცვლილებები მაღევე გამოჩნდება.	

2.10. მოსმენილი მასალის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს:

1. მინისტრის აზრით, როგორი სიტუაციაა დღეს ჭანდაცვის სისტემაში?
2. რამდენ დღეს ელოდება წამყვანი ოჯახის ექიმთან ჩაწერას?
3. ტექსტის მიხედვით, რომელ ექიმებზეა ყველაზე დიდი მოთხოვნა?
4. მინისტრის აზრით, როდის გამოჩნდება ჭანდაცვის სისტემაში დაგეგმილი ცვლილებების შედეგი?

2.11. მოსმენილი მასალის მიხედვით დაასახელეთ სამი მნიშვნელოვანი ინფორმაცია:

- 1) _____
 2) _____
 3) _____

2.12. საპრეზეტაციო თემა:

**რატომ არის ოჯახის ეპიმისათვის აუცილებელი ფართო
სამედიცინო განათლება?**

ბ.

გარდა — გამოვიყენოთ მაშინ, როცა რაიმეს გამოვრიცხავთ, მაგ., ამ საბუთის გარდა სხვა დოკუმენტიც გჭირდებათ.

ნაცვლად — გამოვიყენოთ მაშინ, როცა რაიმე უნდა შეიცვალოს (იგივეა, რაც: მაგივრად).

მაგ., კარდეოგრამის ნაცვლად ეხოსკოპია უნდა გადაგეღოთ.

ბ.

თუ , მაშინ

მაშინ, თუ

ბ.

როცა აჭამებთ ნათქვამს, აზრს ან ტექსტს, გამოიყენეთ სიტყვები : ამრიგად ან მაშასადამე.

წინადადებაში ისინი მძიმეებით გამოყავით!

მაგ., ამრიგად, აუცილებელია მკურნალობის დაწყება.

მაშასადამე, პაციენტი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში უნდა გადაიყვანოთ.

2.13. წერა:

იმსჯელეთ საკითხები — მოგწონთ თუ არა ჯანდაცვის ახალი სისტემა?

2.14. სახალისო ამბავი:

- რა გაწუხებთ?
- გული მიკვდება, ექიმო, ამ ქვეყანაში სამართალი აღარ არსებობს.
- ექიმი უკრიდან კონიაკს იღებს და პაციენტს უსხამს. ცოტა ხნის შემდეგ ეკითხება:
- ახლა როგორ ხართ?
- უკეთ.
- მაშ, მიიღეთ დღეში ნახევარი ლიტრი და ყველაფერი გაგივლით!

უპასუხეთ კითხვას: რატომ არის ეს ამბავი სახალისო?

III ნაწილი მედიცინის მუშაკები

3.1. მოსამზადებელი სამუშაო:



სურ. 1.



სურ. 2



სურ. 3



სურ. 4

• უპასუხეთ შემდეგ კითხვებს!

1. რას ვხედავთ ილუსტრაციებზე?
2. რომელ სურათზე ჩანს ექიმი? რას აკეთებს ის?
3. რომელ სურათზე ჩანს ექთანი? რას აკეთებს ის?

3.2. ტექსტი:

თანამედროვე სამედიცინო მომსახურება არის მედიცინის სხვადასხვა **დარგისა** და თანამდებობის **სპეციალისტთა** შეთანხმებული საქმიანობა. ექიმებთან ერთად მუშაობენ ექთნები, **ფარმაცევტები**, **რადიოლოგები**, **ლაბორატორიის** თანამშრომლები და ა.შ.

ვინ არის ექიმი? მის ხსენებაზე ყოველთვის წარმოვიდგენთ თეთრხალათიან ადამიანს, რომელიც **ფონენდოსკოპით** ხელში ზის ავადმყოფის საწოლთან და გულისყურით უსმენს ან სინჯავს მას (სურ.1, სურ.2). ენციკლოპედია ასეთ განმარტებას გვაძლევს: ექიმი არის პროფესიონალი, რომელსაც აქვს სამედიცინო პრაქტიკა. მისი მოვალეობაა, გამოიკვლიოს პაციენტი, დიაგნოზი დაუსვას და უმკურნალოს მას. ექიმის ფუნქციები სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია, თუმცა ყველა ექიმს აერთიანებს მორალურ-ეთიკური პრინციპები: **თანაგრძნობა**, **გულისხმიერება** და **მზრუნველობა** პაციენტებისადმი.

ექთანი (სურ.3, სურ.4) და საექთნო საქმე ჯანდაცვის შემადგენელი ნაწილია. ვინ არის ექთანი? ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ექსპერტებმა 1996 წელს ასეთი განმარტება მიიღეს:

ექთნის დანიშნულებაა, ყოველ ადამიანს, ავადმყოფსა თუ ჯანმრთელს, აღმოუჩინოს დახმარება ყველაფერში, რაც ხელს შეუწყობს მის ჯანმრთელობას ან გამოჯანმრთელების პროცესს. მედიცინის დების საერთაშორისო საბჭომ კი ასე განმარტა ექთნის ფუნქცია: საქმე არის ნებისმიერ მდგომარეობაში მყოფი ადამიანის მოვლის სისტემა. ის გულისხმობს ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდას, დაავადებათა პროფილაქტიკას, ავადმყოფების, ინვალიდების და მომაკვდავი პაციენტების მოვლას. ექთნები აქტიურად მონაწილეობენ ჯანდაცვის სისტემის მართვაში.

როგორც ვხედავთ, მთლიანად შეიცვალა წარმოდგენა ექთანზე, როგორც ექიმის უბრალო დამხმარებელი. თანამედროვე ექთანი სამედიცინო გუნდის სრულფასოვანი და სრულუფლებიანი წევრია. ის აქტიური მონაწილეა ყველაფერისა, რაც ადამიანის სიცოცხლის შენარჩუნებასა და მასზე ზრუნვას უკავშირდება.

**ექიმი ავადმყოფს სინჯავს, რათა დაუსვას დიაგნოზი.
ფილტვების გასინჯვა იგივეა, რაც ფილტვების მოსმენა.
დიაგნოზის დასმა იგივეა, რაც დიაგნოსტიკა.**

3.3. ლექსიკა:

დარგი — აქ: მეცნიერების დამოუკიდებელი სფერო.

სპეციალისტი — ადამიანი, რომელსაც აქვს სპეციალური ცოდნა მეცნიერების ან ტექნიკის რომელიმე დარგში.

ფარმაცევტი — უმაღლესი განათლების სპეციალისტი, რომელიც ამზადებს მედიკამენტებს.

რადიოლოგი — მედიცინის ერთ-ერთი დარგის სპეციალისტი, რომელიც დაავადების დიაგნოსტიკისა და მკურნალობისთვის იყენებს გამოსხივებას, მაგ., რენტგენის სხივებს.

ფონენდოსკოპი — სამედიცინო ინსტრუმენტი, რომლითაც სინჯავენ ფილტვებს.

თანაგრძნობა — გრძნობის გაზიარება, შეწუხება სხვის გასაჭირებელი.

გულისხმიერება — გულითადი მოპყრობა, ყურადღების გამოჩენა, გულშემატკივრობა.

მზრუნველობა — ზრუნვის გამოხატვა, მოვლა და პატრონობა.

ექთანი — ექიმის თანაშემწერი.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალური დაწესებულება. მასში 194 სახელმწიფოა გაერთიანებული, შტაბ-ბინა აქვს შევეიცარიის ქალაქ ჟენევაში.

ჯანსაღი ცხოვრების წესი — ყოველდღიური წესები და ჩვევები, რომელთა დახმარებითაც ადამიანი იცავს თავის ჯანმრთელობას.

მომაკვდავი — ადამიანი, რომელიც სიკვდილის პირასაა და შეიძლება მოკვდეს.

სინონიმები	ანტონიმები
თანამდებობა — პოსტი	ყველაფერი — არაფერი
გულისყრით — ყურადღებით	აქტიურად — პასიურად
განმარტება — განსაზღვრება	მთლიანად — ნაწილობრივ
მოვალეობა — დანიშნულება — ფუნქცია	სიცოცხლე — სიკვდილი
	სრულფასოვანი — არასრულფასოვანი



დაიმახსოვრეთ!

ნაწილი	→	მონაწილე
ვინც სწავლობს	→	მოსწავლე

3.4. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით სიტყვა ექიმი ან ექთანი:

1. ავადმყოფს დიაგნოზს უსვამს.
2. ეხმარება პაციენტის განკურნებაში.
3. დაკვირვებით უსმენს პაციენტს, რათა სწორად დაუსვას დიაგნოზი.
4. სინჯავს გოგონას, რომელსაც ფილტვები აწუხებს.
5. ნემსს უკეთებს პაციენტს დანიშნულების მიხედვით .
6. სასწორზე წონის პაციენტს, რათა სწორად განსაზღვროს წამლის დობა.
7. ოპერაციის დროს ეხმარება ქირურგს ჭრილობის გაკერვაში.
8. აკეთებს ფილტვის გადანერგვის ოპერაციას.
9. ატარებს სკოლაში პროფილაქტიკურ ღონისძიებებს.
10. ამოწმებს კლასში მოსწავლეთა ჰიგიენას.



გაიხსენეთ!

ექთანი ოპერაციაში იღებს მონაწილეობას.
ექიმს ოპერაციაზე აგვიანდება.

3.5. წაიკითხეთ დიალოგი და უპასუხეთ კითხვას: რას აკეთებს ექიმი?

პაციენტი: ექიმო, აღარ შემიძლია, თავის ტკივილი მაწუხებს.

ექიმი: მომიყევით, როგორ გტკივათ: მთელი დღის განმავლობაში თუ დღის რომელიმე მონაგვეთში?

პაციენტი: დილაობით, როგორც კი გავიღვიძებ.

ექიმი: რას აბრალებთ? როგორი სამუშაო დღე გაქვთ?

პაციენტი: ძალიან დატვირთული.

ექიმი: რომელ საათზე წვებით დასაძინებლად?

პაციენტი: ძალიან გვიან, ღამის სამ საათზე. ბევრი სამუშაო მაქვს.

ექიმი: მაშასადამე, გამოძინებას ვერ ასწრებთ.

პაციენტი: ვერა. ღამეც ვნერვიულობ და არ მძინავს.

ექიმი: თქვენ გადაღლილი ხართ და დამაშვიდებელი უნდა გამოგიწეროთ.

3.6. წაიკითხეთ დიალოგი და უპასუხეთ კითხვას: რას აკეთებს ექთანი?

ექიმი: წამალი უნდა გამოვუწერო პაციენტს. დობისთვის მონაცემები მჭირდება.

ექთანი: ეხლავე ავწონი.

ექიმი: წინევაც გაუზომე.

ექთანი: აუცილებლად. პულსსაც შევუმოწმებ.

ექიმი: რამდენს იწონის?

ექთანი: 43 კილოგრამს. ძალიან გამხდარია. ალბათ ნახევარ დოზას დაუნიშნავთ.

ექიმი: ჯერ წინევაც შევამოწმოთ, მერე კი დოზა წინის მიხედვით შევარჩიოთ.

3.7. მოცემული ზმნების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:

N	გუშინ	დღეს	ხვალ
1	მოუსმინა	უსმენს	მოუსმენს
2	დაუსვა	უსვამს	დაუსვამს
3	გასინჯა	სინჯავს	გასინჯავს
4	[ხელი] შეუწყო	[ხელს] უწყობს	[ხელს] შეუწყობს



3.8. მოსმენა: ინტერვიუ ექთანთან

3.9. მოისმინეთ ჩანაწერი, სწორიპასუხიაღნიშნეთ ✓ სიმბოლოთი:

კლინიკის რეიტინგი მაღალია, რადგან ექიმებს მრავალი წლის გამოცდილება აქვთ და პაციენტები მათ კარგად იცნობენ.	
კლინიკაში მომუშავე ყველა პერსონალი, გარდა დამლაგებლისა, მაღალი ზნეობრივი პრინციპების უნდა იყოს.	
კლინიკაში ყველა პაციენტთან ინდივიდუალური მიდგომა აქვთ.	
ექთანი თავის ყოფილ პაციენტებს ურჩევს ჭანსაღი ცხოვრების წესის დაცვას.	

3.10. მოსმენილი დიალოგის მიხედვით უპასუხეთ კითხვები:

- რა არის კლინიკის სლოგანი?
- როგორ უვლიან მომაკვდავ პაციენტებს?
- რაში მდგომარეობს კლინიკის პაციენტებისთვის სიურპრიზის არსი?
- რა უნდა გავაკეთოთ ჭანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის თანახმად?

3.11. მოსმენილი დიალოგის მიხედვით დაასახელეთ სამი მნიშვნელოვანი ინფორმაცია:

- _____
- _____
- _____

3.12. საპრეზეტაციო თემა:

რაზომ არის მნიშვნელოვანი თანაგრძნობისა და
გულისხმის გამოჩენა სამედიცინო პრაქტიკის დროს?

3.13. შეარჩიეთ 2 მოსაუბრე, გაანაწილეთ როლები და მოცემული ნიმუშის მიხედვით
ააგეთ დიალოგი:

ა.



დაიმახსოვრეთ!

წემ	წინააღმდეგ	წვენ	წინააღმდეგ
შენ	წინააღმდეგ	თქვენ	წინააღმდეგ
[ი]მის	წინააღმდეგ	[ი]მათ	წინააღმდეგ
მაგრამ:			
პაციენტის	წინააღმდეგ		
მედიცინის	წინააღმდეგ		

ბ.

ხელი შეუწყო, ხელი მოუმართა — დაეხმარა.
ხელი შეუშალა — წინააღმდეგობა გაუწია.
ხელი მოჰკიდა — საქმე დაიწყო, საქმეს შეუდგა.
ხელი დაიბანა — საქმეში არ ჩაერია, განზე გადგა.

3.14. წერა:

იმსჯელეთ საკითხებე — როგორ მეხმარება ექიმის რჩევები?

3.15. სახალისო ამბავი:

პატარა ბავშვს ექიმის ეშინოდა. ავად რომ გახდა, დედამ მოატყუა და უთხრა: ჩვენთან ჩემი ამხანაგი მოვიდაო. ბავშვმა ტირილი დაიწყო: დედა, ვიცანი, ამხანაგი კი არა, აიბოლიტიაო.

ვუპასუხოთ კითხვას: რატომ არის ეს ამბავი სასაცილო?

ლექსიკა:

ამბულატორია — სამკურნალო დაწესებულება, რომელიც საექიმო დახმარებას უწევს იქ მისულ და სახლში მყოფ ავადმყოფებს.

ანტიეპიდემიური სამუშაოები — ეპიდემიის საწინააღმდეგო სამუშაოების ჩატარება.

აღჭურვილი — აქ: მოწყობილი, მაგ., თანამედროვე აპარატურით.

ბებიაქალი — ექთანი, რომელიც უვლის და ეხმარება ქალს მშობიარობის დროს და მის შემდეგ.

გაიხსნა — აქ: ფუნქციონირება დაიწყო, ამოქმედდა.

გულისხმიერება — გულითადი, თბილი მოპყრობა.

დარგი — აქ: მეცნიერების დამოუკიდებელი სფერო.

დისპანსერი — სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულება, რომლის მიზანია დაავადებათა წინააღმდეგ წინასწარი ზომების მიღება.

ეკონომიკური მდგომარეობა — ქვეყანაში არსებული ეკონომიკური სისტემა, მისი განვითარების სტადია.

ექთანი — ექიმის თანაშემწე.

თანაგრძნობა — გრძნობის გაზიარება, შეწუხება სხვის გაჭირვებაზე.

ინფექციური საავადმყოფო — ინფექციური დაავადებების სამკურნალო დაწესებულება.

კერძო სექტორი — არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც თვითდაფინანსებაზეა.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზა — დაწესებულებაში თავმოყრილი მატერიალური და ტექნიკური ფასეულობები, მაგ., საოფისე ავეჯი, კომპიუტერული ტექნიკა და ა.შ.

მაღალტექნოლოგიური — უმაღლესი დონის ტექნოლოგიის მქონე.

მეორული (მესამეული) ჯანდაცვა — ჯანდაცვის სისტემის შემადგენელი ნაწილი, რომლის დროსაც პაციენტს იკვლევს და მკურნალობს ექიმი სპეციალისტი.

მზრუნველობა — ზრუნვის გამოხატვა.

მომაკვდავი — ადამიანი, რომელიც სიკვდილის პირასაა, მალე უნდა მოკვდეს.

მუნიციპალური — აქ: სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული საავადმყოფო.

ოჯახის ექიმი — ექიმი, რომელიც პირველად აფასებს დაავადებას და საჭიროების შემთხვევაში პაციენტს აგზავნის ექიმ სპეციალისტთან.

პირველადი გამოკვლევები — დიაგნოსტიკური და ლაბორატორიული გამოკვლებები, რომელთა მიხედვითაც პირველადი ჯანდაცვის ექიმი აფასებს დაავადებას.

პირველადი ჯანდაცვა — ჯანდაცვის სისტემის შემადგენელი ნაწილი, რომლის დროსაც ხდება პაციენტის პირველი კონტაქტი ოჯახის ექიმთან.

პოლიტიკურ წყობა — სისტემა, რომლის საზღვრებშიც მიმდინარეობს საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრება და მართვა. მას განსაზღვრავს საზოგადოების სოციალური წყობა.

პროფილაქტორიუმი — სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულება.

რადიოლოგი — მედიცინის ერთ-ერთი დარგის სპეციალისტი, რომელიც დაავადების დიაგნოსტიკისა და მკურნალობისთვის იყენებს გამოსხივებას, მაგ., რენდგენის სხივებს.

რეაბილიტაცია — ავადმყოფობის შემდეგ ორგანიზმის ფუნქციების აღდგენა.

სააფთიაქო ქსელი — აფთიაქების გაერთიანება.

სანიტარია — სისუფთავისა და ჯანმრთელობის დაცვისათვის საჭირო ღონისძიებები

სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურები — სამსახურები, რომლებიც აკონტროლებს სანიტარული ნორმებისა და წესების დაცვას, ატარებს პროფილაქტიკურ სამუშაოებს მოსახლეობის მასობრივი დაავადებები თავიდან ასაცილებლად.

საფერშლო-საბებიო პუნქტები — სამედიცინო პუნქტები, სადაც პაციენტს სამედიცინო დახმარებას უწევს ექიმის მოსვლამდე.

სოციალური დაცვა — სისტემა, რომელიც იცავს ადამიანთა უფლებებს და მათ სოციალურ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს.

სპეციალიზირებული — გარკვეული მიმართულებით მომუშავე.

სპეციალისტი — ადამიანი, რომელსაც აქვს სპეციალური ცოდნა მეცნიერების ან ტექნიკის რომელიმე დარგში.

ტრავმაცენტრი — ტრავმატოლოგიის ცენტრი.

ფარმაცევტი — უმაღლესი განათლების სპეციალისტი, რომელიც ამზადებს მედიკამენტებს.

ფერშალი — საშუალო განათლების მედიცინის მუშაკი, ექიმის თანაშემწე.

ფონეიდოსკოპი — სამედიცინო ინსტრუმენტი, რომლითაც სინჯავენ ფილტვებს.

ფსიქიატრიული საავადმყოფო — ფსიქიატრიული დაავადებების სამკურნალო დაწესებულება.

ყურადღება ეთმობა — ყურადღება ექცევა.

წარმატებული — აქ: კარგი

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალური დაწესებულება. მასში 194 სახელმწიფოა გაერთიანებული, შტაბ-ბინა აქვს შევიცარიის ქალაქ შენევაში.

ჯანსაღი ცხოვრების წესი — ყოველდღიური წესები და ჩვევები, რომელთა დახმარებითაც ადამიანი იცავს თავის ჯანმრთელობას.

ჰოსპიტალი — საავადმყოფო, უპირატესად სამხედრო.

8მნები:

N	ახლანდელი	წარსული		მომავალი	მომავალი + უნდა	თურმე-ობითი	საწყისი
	რას შვრება?	რას შვრებოდა?	რა ქნა?	რას იზამს?	რა უნდა ქნას?	რა უქნია?	რა?
1.	აფინანსებს	აფინანსებდა	დააფინანსა	დააფინანსებს	დააფინანსოს	დაუფინანსებია	დაფინანსება
2.	გააგზავნა	აგზავნიდა	გააგზავნა	გააგზავნის	გააგზავნოს	გაუგზავნია	გაგზავნა
3.	გასინჯა	სინჯავდა	გასინჯა	გასინჯავს	გასინჯოს	გაუსინჯავს	გასინჯვა
4.	დააკვირდა	აკვირდებოდა	დააკვირდა	დააკვირდება	დააკვირდეს	დაკვირვებია	დაკვირვება
5.	დაუსვა	უსვამდა	დაუსვა	დაუსვამს	დაუსვას	დაუსვამს	დასმა
6.	მიმართა	მიმართავდა	მიმართა	მიმართავს	მიმართოს	მიუმართავს	მიმართვა
7.	მოუსმინა	უსმენდა	მოუსმინა	მოუსმენს	მოუსმინოს	მოუსმენია	მოსმენა
8.	მოქმედებს	მოქმედებდა	იმოქმედა	იმოქმედებს	იმოქმედოს	უმოქმედია	მოქმედება
9.	შედის	შედიოდა	შევიდა	შევა	შევიდეს	შესულა	შესვლა
10.	[სელი] შეეწყო	[სელს] უწყობდა	[სელი] შეეწყო	[სელს] შეეწყობს	[სელი] შეეწყოს	[სელი] შეეწყვია	[სელის] შეწყობა
11.	ჩაიტარა	იტარებდა	ჩაიტარა	ჩაიტარებს	ჩაიტაროს	ჩაუტარებია	ჩატარება
12.	ხდის	ხდიდა	გახადა	გახდის	გახადოს	გაუხდია	გახდომა

III თავი მედიცინის დარგები

I ნაწილი მედიცინის დარგთა კლასიფიკაცია

1.1. ტექსტი:

დღევანდელი მედიცინა სამ ძირითად ნაწილად იყოფა. ესენია: 1. **ბაზისური** სამედიცინო მეცნიერებები; 2. სამედიცინო **სპეციალობები**; 3. **ინტერდისციპლინური** საქმიანობა, სხვადასხვა სამეცნიერო სფეროს წარმომადგენლების გაერთიანება უკეთესი შედეგების მისაღწევად.

დღეს წარმოუდგენელია სამედიცინო განათლების მიღება ბაზისური სამედიცინო მეცნიერებების გარეშე. ანატომია, ფიზიოლოგია, ბიოქიმია, **პათოლოგიური** ანატომია და სხვა **ფუნდამენტური** მეცნიერებები წარმოადგენს პრაქტიკული მედიცინის თეორიულ საფუძველს. თითოეული მათგანის შესწავლა ექიმისათვის აუცილებელია.

პრაქტიკული მედიცინა იყოფა სპეციალობებად. ძველად ამბობდნენ, რომ მედიცინა, ისევე როგორც დედამიწა, სამ ვეშაპზე (ანუ დარგზე) დგას. ესენია: თერაპია, ქირურგია და **მეანობა**. დღეს არსებული უამრავი სამედიცინო სპეციალობა სწორედ ამ სამი ძირითადი დარგიდან წარმოიშვა: თერაპიიდან — **კარდიოლოგია**, **ენდოკრინოლოგია**, **პულმონოლოგია**, **პედიატრია**, **გასტროენტეროლოგია** და ა.შ.; ქირურგიდან — **კარდიოქირურგია**, **ნეიროქირურგია**, **ტრავმატოლოგია**, **უროლოგია**, **გინეკოლოგია**, **ოტორინოლარინგოლოგია**, **ანგიოქირურგია** და ა.შ. ერთადერთი მეანობა დარჩა უცვლელი და, როგორც მრავალი ათასწლეულის წინ, დღესაც ორსული ქალის მშობიარობასა და მის მოვლას ემსახურება.

თანამედროვე ტექნოლოგიური საუკუნე ფართოდ შეიჭრა მედიცინაში. უფრო და უფრო **იხვეწება** და ფართოვდება ავადმყოფის გამოკვლევისათვის საჭირო აპარატების შესაძლებლობები. დღეს აღარავის უკვირს რობოტების მიერ გაკეთებული ოპერაციები. **სტატისტიკურად** დადასტურებულია, რომ სწორედ ინტერდისციპლინური, სხვადასხვა სპეციალისტის **ურთიერთშეთანხმებული** საქმიანობა უხანგრძლივებს ადამიანს სიცოცხლეს.

1.2. ლექსიკა:

ბაზისური — დასაყრდენი, რისამე საფუძვლის შემქმნელი.

სპეციალობა — რამე საქმიანობა, ხელობა, პროფესია, რომელიც საგანგებო დახელოვნებას მოითხოვს; კვალიფიკაცია.

ინტერდისციპლინარული — სხვადასხვა დისციპლინის, დარგის გამაერთიანებელი.

პათოლოგია — ავადმყოფური გადახრა ნორმისგან, არანორმალურობა, სიმახინჯე.

ფუნდამენტური — აქ: ძირითადი, მთავარი.

მეანობა — მედიცინის დარგი, რომელიც შეისწავლის ორსულობას, მშობიარობას და მშობიარობის შემდგომი პერიოდის საკითხებს, დახმარების მეთოდებს.

ანატომია — მეცნიერება, რომელიც სწავლობს ცოცხალი ორგანიზმის აგებულებას.

ფიზიოლოგია — მეცნიერება, რომელიც სწავლობს ორგანიზმის სასიცოცხლო ფუნქციებს.

თერაპია — მედიცინის დარგი, რომელიც სწავლობს შინაგან სნეულებებს და მკურნალობს არაქირურგიული მეთოდებით.

კარდიოლოგია — მედიცინის დარგი, რომელიც სწავლობს გულის დაავადებებს.

პულმონოლოგია — მეცნიერება, რომელიც სწავლობს ფილტვების არასპეციფიკურ დაავადებებს (სპეციფიკურია ტუბერკულოზი).

ენდოკრინოლოგია — მეცნიერება, რომელიც სწავლობს შინაგანი სეკრეციის ჭირკვლების

მედიცინა

აგებულებასა და ფუნქციებს.

პედიატრია — მედიცინის ნაწილი, რომელიც სწავლობს ბავშვთა დაავადებებსა და მათ მკურნალობას.
გასტროენტეროლოგია — მედიცინის დარგი, რომელიც შეისწავლის საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებებს.

კარდიოქირურგია — მედიცინის დარგი, რომელიც გულისა და გულმკერდის ორგანოების დაავადებებს ქირურგიული მეთოდით მკურნალობს.

ნეიროქირურგია — მედიცინის დარგი, რომელიც ნერვული სისტემის დაავადებებს ქირურგიული მეთოდით მკურნალობს.

ტრავმატოლოგია — მედიცინის ნაწილი, რომელიც სწავლობს ტრავმულ დაზიანებასა და მისი მკურნალობის მეთოდებს.

უროლოგია — მედიცინის დარგი, რომელიც სწავლობს და მკურნალობს შარდსასქესო ორგანოების დაავადებებს.

გინეკოლოგია — მედიცინის ნაწილი, რომელიც სწავლობს და მკურნალობს ქალის სასქესო ორგანოების დაავადებებს.

ოტორინოლარინგოლოგია — მეცნიერება ყურის, ცხვირისა და ყელის დაავადებათა შესახებ.

ანგიოქირურგია — სისხლძარღვთა ქირურგია.

იხვეწება — კარგად მუშავდება, უფრო სრულყოფილი ხდება.

1.3. ტექსტის გააზრება:


- რა და რა ნაწილად იყოფა მედიცინა?
- რომელია ბაზისური სამედიცინო მეცნიერებები?
- რომელ ძირითად სპეციალობებად იყოფა პრაქტიკული მედიცინა?
- რას გულისხმობს ინტერდისციპლინარული საქმიანობა?

სინონიმები	ანტონიმები
დღევანდელი — ახლანდელი სფერო — აქ: დარგი ძველად — ადრე ორსული — ფეხმძიმე დადასტურება — დამოწმება — დათანხმება საქმიანობა — მუშაობა გახანგრძლივება — გაგრძელება პათოლოგიური — არანორმალური სპეციალობა — პროფესია	თეორიული — პრაქტიკული უცვლელი — შეცვლილი ფართოდ — ვიწროდ საჭირო — უსარგებლო დაზვერილი — დაუზვერავი დადასტურება — უარყოფა შეთანხმებული — შეუთანხმებელი საქმიანობა — უსაქმურობა


5.

საქმე → საქმიანი → საქმიანობა.
საქმიანი — საქმის მქონე; საქმიანობა — საქმიანი ქცევა, საქმიანი მოქმედება.
უსაქმო // უსაქმური — საქმის არმქონე, არაფრის გამკეთებელი.

სქემა 1



სქემა 2



1.4. წაიკითხეთ ტექსტი. ჩამოთვალეთ, რომელი საგნების შესწავლა არის საჭირო ექიმისათვის:

აუცილებელია, რომ ექიმს ჰქონდეს სამედიცინო განათლება. ამისათვის მან უნდა შეისწავლოს სხვადასხვა საგანი — სხვადასხვა მეცნიერება. ანატომიის მეშვეობით მას კარგად ეცოდინება ორგანიზმისა და ორგანოების აგებულება. ფიზიოლოგიის დახმარებით ის შეისწავლის ორგანიზმი მიმდინარე სასიცოცხლო პროცესებს. ბიოქიმია განუმარტავს, რა ადგილი უკავია ქიმიურ პროცესებს ცოცხალ ორგანიზმში. ბათოლოგიური ანატომია შეისწავლის იმ პათოლოგიურ ცვლილებებს, რომლებიც შესაძლებელია ორგანიზმში განვითარდეს. აქედან გამომდინარევამბობთ, რომ სხვადასხვა მეცნიერების შესწავლა ექიმს მისცემს საბაზისო განათლებას.



დაიმახსოვრეთ!

საღ?	საით?	საითკენ?	საიდან?
აქ იქ აქა-იქ	აქეთ იქით აქეთ-იქით	აქეთკენ იქითკენ	აქედან იქიდან აქეთ-იქიდან

1.5. შეარჩეთ გვერდით მითითებული ერთ-ერთი სიტყვა და ჩასვით გამოტოვებულ ადგილას:

1. მედიცინის დარგია, რომელიც შეისწავლის გულისა და გულსისხლძარღვთა სისტემის დაავადებებს. /კარდიოლოგია, გინიკოლოგია/
2. მედიცინის დარგია, რომელიც შეისწავლის ბავშვთა ავადმყოფობებს, მათს მკურნალობასა და პროფილაქტიკას. /თერაპია, პედიატრია/
3. ქირურგიიდან განვითარდა მედიცინის ერთ-ერთი დარგი — /პედიატრია, ტრავმატოლოგია/.
4. ჰორმონების ცვლილებებს ადამიანის ორგანიზმში შეისწავლის /ენდოკრინოლოგია, ბულმონოლოგია/
5. ქალისა და მამაკაცის საშარდე სისტემას შეისწავლის /უროლოგია, გინეკოლოგია/
6. არის მეცნიერება, რომელიც სწავლობს ფილტვების არასპეციფიკურ დაავადებებს. /ბულმონოლოგია, გინეკოლოგია/
7. მედიცინა დგას სამ დარგზე. ესენია: თერაპია, ქირურგია და /გინეკოლოგია, მეანობა/
8. ქირურგის დარგი, რომელიც სწავლობს ნერვული სისტემის დაავადებებსა და დაზიანებებს, არის /კარდიოქირურგია, ნეიროქირურგია/
9. ორსული ქალის მშობიარობასა და მოვლას ემსახურება /მეანობა, ოჭორინოლარინგოლოგია/

1.6. მოცემული გმინების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:

N	გუშინ	დღეს	ხვალ
1	მოემსახურა	ემსახურება	მოემსახურება
2	შემოიჭრა	იჭრება	შემოიჭრება
3	დაიხვეწა	იხვეწება	დაიხვეწება
4	გაფართოვდა	ფართოვდება	გაფართოვდება
5	გაუხანგრძლივა	უხანგრძლივებს	გაუხანგრძლივა

1.7. ა) შეარჩიეთ და გამოტოვებულ ადგილას ჩასვით ფორმები:

მაღლდება იხვეწება უხანგრძლივებს წარმოადგენს ემსახურება

ბ) გადაიყვანეთ ტექსტი მომავალ დროში:

ჯანსაღი ცხოვრების წესი ადამიანს სიცოცხლეს ფიზიკური ვარჯიში სწორედ ამ საქმეს საშიშროებას აღარ ბოგიერთი დაავადებაც, რადგან დღითიდღე სამედიცინო აპარატურა და ექიმთა განათლების დონეც.



1.8. მოსმენა
დიალოგი: კლასელებს შორის

1.9. მოისმინეთ ჩანაწერი, სწორი პასუხი აღნიშნეთ ✓ სიმბოლოთი:

თიკოს გამოცდები ჯერ არ ჩაუბარებია, ამიტომაც ბევრს მეცადინეობს.	
თანამედროვე მედიცინა ინტერდისციპლინარული დარგია.	
ექიმმა უნდა იცოდეს ყველა დარგი, რომელიც ადამიანს შეისწავლის.	
ექიმს კომპიუტერის ცოდნა არ მოეთხოვება.	

1. 10. მოსმენილი მასალის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს:

- რა იქნება თიკოს მომავალი პროფესია?
- რატომ მეცადინეობს თიკო ამდენს?
- ტექსტის მიხედვით, რომელი საგანი ჩააბარა თიკომ მისაღებ გამოცდებში?
- რისი ცოდნაა საჭირო, კარგი ექიმი რომ გახდე?

1.11. მოსმენილი მასალის მიხედვით დაასახელეთ სამი მნიშვნელოვანი ინფორმაცია:

- _____
- _____
- _____

1.12. საპრეზენტაციო თემა:

**რათომ არის მნიშვნელოვანი თანაგრძნობისა და გულისხმივების
გამოჩენა სამადიცინო პრაქტიკის დროს?**

**რას იგამს? განაცხადებს
რა? განცხადება**
მაგ., ის ხმამაღლა განაცხადებს — იგივეა, რაც: ის ხმამაღლა იტყვეს.
ეგ ხმამაღლი განცხადებაა — იგივეა, რაც ეგ ხმამაღლი ნათქვამია.
მაგრამ: ჯანდაცვის სამინისტროში განცხადება შევიტანე.

გან- // გა-

**გან- და გა- მიუთითებს მიმართულებას შიგნიდან გარეთ.
განახორციელებს — ახორციელებს
მაგ., ჯანდაცვის სამინისტრო ახალ პროექტებს ახორციელებს.**

1.13. წერა:

იმსჯელეთ საკითხებე – რატომ არის უკეთესი ინტერდისციპლინარული სამედიცინო საქმიანობა ერთი სახის მომსახურებაზე.

1.14. სამედიცინო რჩევები:

- ჭამის შემდეგ გასეირნება მიზანშეწონილი არაა; უმჯობესია 15–20 წუთის შემდეგ!
- სასურველია, ხილი მიირთვათ დღის საათებში, საკვების მიღებამდე 1 ან 2 საათით ადრე!
- ჩაი უნდა მიირთვათ საკვების მიღებიდან 1 საათში!
- ჭამის შემდეგ ძილი მავნებელია, წონაში მოიმატებთ!
- დღეში ოთხჯერ მიიღეთ საკვები მცირე ოდენობით და წონაში არ მოიმატებთ!

II ნაწილი მედიცინის სამი ძირითადი დარგი

2.1. მოსამზადებელი სამუშაო:



სურ. 1

ქირურგიული ოპერაცია



სურ. 2

საოპერაციო იარაღი



სურ. 3

მე16- საუკუნის გრავიურა –
მშობიარე ქალი სამშობიარო სკამზე

• უპასუხეთ შემდეგ კითხვებს!

- რას ვხედავთ ილუსტრაციებზე?
- გაგიგეთებიათ თუ არა რაიმე სახის ოპერაცია?
- როგორი იყო თქვენი მდგომარეობა ოპერაციამდე და ოპერაციის შემდგომ?
- თქვენი პირადი ან ოჯახის წევრთა გამოცდილებიდან მოიყვანეთ მაგალითი, როგორ გადაგარჩინათ ოპერაციამ?

2.2. ტექსტი:

თერაპია არის სამედიცინო სპეციალობა, რომლის მიზანია **ზრდასრული** ადამიანის დაავადებების **პრევენცია**, დიაგნოსტიკა და მკურნალობა. თერაპიაში დასაქმებულ სპეციალისტებს თერაპევტებს ან უბრალოდ ექიმებს უწოდებენ. თერაპევტები **დიფერენცირების** გარეშე მკურნალობენ სხვადასხვა ტიპის დაავადებას. ისინი ძირითადად სამკურნალოდ იყენებენ მედიკამენტებს; აქედან გამომდინარე მჭიდროდ თანამშრომლობენ ფარმაცევტებთან. თერაპევტები ზრუნავენ როგორც საავადმყოფოში მყოფ პაციენტებზე, ასევე ამბულატორიაში მისულ ადამიანებზე. მათ ამ საქმეში ეხმარებიან და გვერდში უდგანან ზოგადი **პროფილის** მედდები. თერაპია მედიცინის ყველაზე ფართო და მრავლისმომცველი დარგია.

ქირურგია ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს ხელით მუშაობას. ის შეისწავლის დაავადებათა მკურნალობას ოპერაციის მეთოდით. ოპერაცია შეიძლება იყოს სისხლიანი და უსისხლო. სისხლიანია ოპერაცია, როდესაც სპეციალური იარაღით, მაგალითად, **სკალპელით** (სურ.2) **იკვეთება ქსოვილები**, უსისხლო ოპერაციის შემთხვევაში კი არ ხდება კანისა და სხვა ქსოვილების გაკვეთა. უსისხლო ოპერაციაა, მაგალითად, ამოგდებული კიდურის ჩასმა, ასევე — ოპერაცია ლაზერის სხივის საშუალებით. რთული ოპერაციები ტარდება ქირურგიული ბრიგადის მიერ, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი **ფიგურაა** საოპერაციო მედდა. საოპერაციო მედდების მომზადებას თანამედროვე სამედიცინო განათლების სისტემაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა.

მეანობა არის მედიცინის დარგი, რომელიც სწავლობს **ჩასახვისა** და ორსულობის დროს, ასევე **მშობიარობის** შემდგომ ქალის ორგანიზმში მიმდინარე **ფიზიოლოგიურ** და პათოლოგიურ **პროცესებს**. მეანობის მიზანს ასევე წარმოადგენს მშობიარობის ხელშეწყობის მეთოდების შემუშავება, ორსულობისა და მშობიარობის გართულებების პროფილაქტიკა და მკურნალობა. ბებიაქალი სამეანო გუნდის ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურაა. ქველი თაობის **შეხედულებისამებრ**, ბებიაქალი ექიმზე უკეთ უვლის მშობიარეს. თანამედროვე მედიცინაში მეანობა და გინეკოლოგია ერთობლივ პროფესიად ჩამოყალიბდა.

იკვეთება გვამი ნიშნავს გვამი იჭრება.
იკვეთება საკითხი ნიშნავს საკითხი გამოიყოფა, წარმოჩნდება.
მნიშვნელოვანი ფიგურაა ნიშნავს მნიშვნელოვანი პიროვნებაა.
ქალის ფიგურა ნიშნავს ქალის სხეულის აგებულებას.

2.3. ლექსიკა:

ზრდასრული — ორგანიზმი, რომელმაც უკვე დაამთავრა თავისი მასისა და სიდიდის ზრდა.
პრევენცია — წინასწარი ღონისძიებები რაიმე არასასურველი მოვლენის თავიდან ასაცილებლად.
დიფერენცირება — დაყოფა, გარჩევა.
პროფილი — საქმიანობის მიმართულება, განხრა, ხასიათი.
სკალპელი — ქირურგიული დანა.
იკვეთება — აქ: იჭრება.
ქსოვილები — აქ: აგებულებითა და ფუნქციებით მსგავსი უჯრედების ერთიანობა.
ფიგურა — აქ: გამორჩეული წევრი, მონაწილე.
ჩასახვა — განაყოფიერების პროცესი.
მშობიარობა — ბავშვის გაჩენის პროცესი.

ფიზიოლოგიური — ფიზიოლოგიასთან, ორგანიზმთან დაკავშირებული.

პროცესი — აქ: რაიმე მოვლენათა თანამიმდევრული მონაცვლეობა, რისამე განვითარების გზა.

2.4. ტექსტის გააზრება:

- რომელი ძირითადი დარგებისგან შედგება მედიცინა?
- რას ეწოდება თერაპია?
- რას ნიშნავს ქირურგია?
- რა და რა სახის ოპერაცია არსებობს?
- რას შეისწავლის მეანობა?
- რა ფუნქცია აქვს ექთანს მეანობის დარგში?

სინონიმები	ანტონიმები
ნიშნავს — ეწოდება იკვეთება — აქ: იჭრება ბრიგადა — ჯგუფი ერთობლივი — გაერთიანებული მშობიარე — მელოგინე ცენტრალური — აქ: მთავარი	მოგარდი — ზრდასრული მჭიდროდ — ფართოდ ზოგადი — კერძო ფართო — ვიწრო ხელშეწყობა — ხელის შეშლა ცენტრალური — პერიფერიული უსისხლო — სისხლიანი



დაიმახსოვრეთ!

ა.

შეხედულებისამებრ — იგივეა, რაც: შეხედულების მიხედვით, შეხედულების მსგავსად.

ბ.

სახ.	სამეანო	გუნდი
მოთხოვ.	სამეანო	გუნდმა
მიც.	სამეანო	გუნდს და სხვ.
მაგ.,	ბებიაქალი	სამეანო გუნდის ცენტრალური ფიგურაა.

რას შვრება?

მკურნალობს [რა? მკურნალობა] ის მკურნალობს ისინი მკურნალობენ

რა მიქნია? რა გვიქნია?
 რა გიქნია? რა გიქნიათ?
 რა უქნია? რა უქნიათ?

[მე] მიმკურნალია [წვენ] გვიმკურნალია [შენ] გიმკურნალია [თქვენ]
 გიმკურნალიათ [მას] უმკურნალია [მათ] უმკურნალიათ



დაიმახსოვრეთ!

რას შვრება? იყენებს მკურნალობს ზრუნავს
 რა უქნია? გამოუყენებია უმკურნალია უზრუნია

2.5. წაიკითხეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს:

- * რომელ ექიმთან წაიყვანეს ნიკო?
- * რა სახის ოპერაცია გაუკეთეს ბავშვს?

პატარა ნიკოს მკლავი ამოუგარდა. ძიძაშვილი მოჰკიდა. ბავშვი არ მიპყვებოდა. ძიძაშვილი მაგრად მოქაჩა. უნდოდა, ბავშვი ძალით წაეყვანა. ნიკომ ტირილი დაიწყო. ხელიც უცნაურად ჩამოეკიდა. სამსახურიდან დაბრუნებული დედა მიხვდა, რომ მას მკლავი ამოუგარდა. ბავშვი სასწრაფოდ წაიყვანეს ექიმთან. ექიმმა მას მკლავი ჩაუსვა. ბავშვს ტკივილი უცებ გაუქრა და მაშინვე თამაშის ხასიათზე მოვიდა. ექიმმა დედას მიულოცა ოპერაციის წარმატებით დასრულება.

2.6. წაიკითხეთ ტექსტი და ჩასვით შესაბამის ადგილას გმირები:

ნიშნავს იყენებს ზრუნავს ახორციელებს უვლის

პრაქტიკოსი ბებიაქალი ქალბეგ მშობიარობისა და მშობიარობის შემდგომ პერიოდში, დედასა და ახალშობილს. ამისათვის ის შესახვევ მასალასა და შესაბამის მედიკამენტებს. რაიმე გართულების დროს ექიმი მკურნალობას, რომელსაც პრაქტიკულად ბებიაქალი.

2.7. მოცემული გმირების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:

N	გუშინ	დღეს	ხვალ
1	ითანამშრომლა	თანამშრომლობს	ითანამშრომლებს
2	იზრუნა	ზრუნავს	იზრუნებს
3	მოეხმარა	ეხმარება	მოეხმარება



2.8. მოსმენა:

დიალოგი: ვიზიტი გასტროენტეროლოგთან



დაიმახსოვრეთ!

ა.

შორის და შუა [← შუაში; შუაზე] გამოხატავს ადგილს ორ საგანს შორის მაგ., ნაკერი წარბებს შორის დაადეს; წამალი შუაზე გატეხა.

ბ.

ისე დამემართა,
როგორც

როგორც.....,
ისე დამემართა.

მაგ., თავი ისე დავიჭირე, როგორც პაციენტს შეეფერება.
როგორც პაციენტს შეეფერება, თავი ისე დავიჭირე.

გ.



დაიმახსოვრეთ!

რა თქმა უნდა რასაკვირველია

მითითება: გამოიყენეთ მაშინ, როცა ეთანხმებით ვინმეს ან რამეს, ან როცა აზრი ბევრი ადამიანისთვის მისაღებია.

რა თქმა უნდა და რასაკვირველია წინადადებაში მძიმეებით გამოიყოფა.

2.9. მოისმინეთ ჩანაწერი, სწორი პასუხი აღნიშნეთ ✓ სიმბოლოთი:

პაციენტს ტკივილები მკერდის არეში აწევებს.	
პაციენტს ოპერაციის არ ეშინია.	
თერაპიურლი მკურნალობა ხორცირლდება მედიკამენტებით.	
თანამედროვე ტექნოლოგიებით ოპერაცია აღარ არის რთული.	

2. 10. მოსმენილი მასალის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს:

1. რა სტკივა პაციენტს?
2. როდის გაიკეთა ანალიზები პაციენტმა?
3. მედიკამენტების მიღებასთან ერთად კიდევ რა მეთოდით უნდა იმკურალოს პაციენტმა ?
4. ვის უნდა მიმართოს პაციენტმა დანიშნულებით?

2.11. მოსმენილი მასალის მიხედვით დაასახელეთ სამი მნიშვნელოვანი ინფორმაცია:

1. _____
2. _____
3. _____

რა შემთხვევაში აჭობებს ოპერაციის გაკეთება თერაპიულ მკურნალობას?

2.12. წერა:

იმსჯელეთ საკითხზე: რომელ სპეციალობას ავირჩევ მედიცინის დარგებიდან!



ეს საინტერესოა!

უნგრელი პროფესორი, მეანი ზემელვეისი, მუშაობდა ვენის სამშობიარო სახლში. ის ცდილობდა დაედგინა თავის საავადმყოფოში ორსულთა სიკვდილიანობის მიზებები. მან იფიქრა, რომ ბაციენტთა მდგომარეობის გართულება შესაძლებელია მისი ექიმების ბრალი ყოფილიყო, რადგან ისინი პარალელურად მუშაობდნენ ინფექციურ საავადმყოფოში და დაავადების გამავრცელებლები იყვნენ. საქმეისაა, რომიმდროს არ იყო მიღებული პაციენტის გასინჯვის წინ ხელების დაბანა. ექიმები უბრალოდ ცხვირსახოცით იწმენდნენ ხელებს. ზემელვეისმა დააწესა, რომ მშობიარე ქალის გასინჯვამდე ყველა ექიმს ხელები კალციუმის ქლორიდის წყალხსნარით დაემუშავებინა. შედეგები იყო ფანტასტიკური. სიკვდილიანობის მაჩვენებელი $-2,5\%$ მდე შემცირდა. 1906 წელს ბუდაპეშტში მსოფლიოს ექიმების შემოწირულობით ზემელვეის დაუდგეს ძეგლი წარწერით — „დედების მხსნელი“.

III ნაწილი პალიატიური მკურნალობა და ჰოსპისი



სურ.1 ერთ-ერთი უძველესი ჰოსპისი – კენტერბერი (დიდი ბრიტანეთი)



სურ.2 მოხუცებზე მზრუნველობის სახლი.

3.1. ტექსტი:

რა არის პალიატიური მკურნალობა და **ჰოსპისური მზრუნველობა?** პალიატიური მკურნალობა ეს არის სპეციალიზირებული სამედიცინო დახმარება იმ ადამიანებისათვის, რომლებიც **მძიმე, ქრონიკული, ხშირად უკურნებელი სენიორი** არიან დაავადებულნი. პალიატიური მზრუნველობის მიზანია, შეუმსუბუქოს ავადმყოფებს დაავადების სიმძიმე, მოუხსნას ტკივილი და დაეხმაროს მათ ფიზიკური და სულიერი სტრესის დაძლევაში, ასევე — **გააუმჯობესოს პაციენტებისა და მათი ოჯახის წევრების** მდგომარეობა. პალიატიური დახმარება ხორციელდება ჰოსპისებში. ამ ტიპის ორგანიზაციები ჯერ კიდევ მე11-საუკუნეში გაჩნდა ევროპაში. ისინი განკუთვნილი იყო არა მარტო ავადმყოფებისათვის, არამედ მოგზაურებისა და **პილიგრიმებისთვისაც**.

თანამედროვე ჰოსპისური მზრუნველობის პრინციპები ჩამოყალიბდა 1967 წელს. ცხოვრების განვითარებასთან ერთად ეს პრინციპებიც იხვეწება. თანამედროვე ჰოსპისური მზრუნველობა გულისხმობს პაციენტებზე ზრუნვას არა მარტო სპეციალიზირებულ დაწესებულებაში, არამედ — ბინაზეც. ასევე მისი მიზანია მზრუნველობამოკლებულ მოხუცებზე ზრუნვაც. ჰოსპისური მზრუნველობა ეს არის **საგანმანათლებლო** სისტემა, რომელიც ასწავლის ავადმყოფის მოვლის წესებს მისი ოჯახის წევრებსაც. ამ საქმეს სათავეში უდგანან სპეციალურად მომზადებული მედდები, ავადმყოფის პროფესიონალი მომვლელები. ისინი დანარჩენ მედცერსონალთან კორდინირებული მუშაობით უზრუნველყოფენ პაციენტის პალიატიურ მკურნალობას და სანიმუშოდ ასრულებენ ჰოსპისური მზრუნველობის ამოცანებს.

პალიატიური მკურნალობის მიზანია, გააუმჯობესოს ავადმყოფის მდგომარეობა (მან ის);
მედდის მოვალეობაა, გაუუმჯობესოს პაციენტს მდგომარეობა (მან მას ის)

3.2. ლექსიკა:

ჰოსპისი — დაწესებულება, სადაც მდგომარეობას უმსუბუქებენ, უვლიან უიმედო მდგომარეობაში მყოფ ავადმყოფებს.

მზრუნველობა — ბრუნვა, მოვლა-პატრონობა.

მძიმე — აქ: როული.

ქრონიკული — ხანგრძლივი, მუდმივი, რაც დიდხანს გრძელდება.

სენი — ავადმყოფობა, დაავადება.

გააუმჯობესოს — უკეთესი გახადოს.

პილიგრიმი — სალოცავად მიმავალი მორწმუნე, მოხეტიალე მლოცველი, უცხო მგზავრი.

საგანმანათლებლო — სასწავლო, აღმზრდელობითი.

3.3. ტექსტის გააზრება:

- რა არის პალიატიური მკურნალობა?
- სად ხორციელდება პალიატიური მკურნალობა?
- რას ნიშნავს ჰოსპისური მზრუნველობა?
- მედიცინის დარგის რომელი პერსონალი უძღვება ჰოსპისებში პაციენტთა მკურნალობას?
- როდის გაჩნდა ჰოსპისური ტიპის ორგანიზაციები ევროპაში?

სინონიმები	ანტონიმები
<p>სენი — ავადმყოფობა</p> <p>სიმპტომი — აქ: ნიშანი</p> <p>დაძლევა — გადალახვა</p> <p>შეუმსუბუქოს — გაუადვილოს</p> <p>მიზანი — ამოცანა</p> <p>დაწესებულება — ორგანიზაცია</p> <p>კორდინირებული — შეთანხმებული</p> <p>სანიმუშოდ — სამაგალითოდ</p>	<p>მძიმე — მსუბუქი</p> <p>უკურნებელი — კურნებადი</p> <p>შეუმსუბუქოს — დაუმძიმოს</p> <p>ფიზიკური — სულიერი</p> <p>სპეციალიზირებული — ჩვეულებრივი</p>

ა.

ეს ქალი ავადმყოფს უვლის.
ვინ არის ის, ვინც ავადმყოფს უვლის? მომვლელი.
ასეთივე სიტყვებია:, მკეთებელი, ზიანის მიმყენებელი და სხვ.

ბ.

-თვის გამოიყენება დანიშნულების საჩვენებლად
მაგ., ეს წამალი ავადმყოფებისთვის მჭირდება; ან: ჰოსპისი
პილიგრიმებისათვისაც იყო განკუთვნილი.

3.4. წაიკითხეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვას: უნდა არსებობდეს თუ არა ბავშვთა ჰოსპისი?

საქართველოში, სოფელ დიღომში, არსებობს ბავშვთა ჰოსპისი. ის სამი მიმართულებით მუშაობს:

1. ჰოსპისის ტერიტორიაზე გახსნილია დღის ცენტრი განუკურნებელი სენით დაავადებული ბავშვებისათვის. ცენტრში მიჰყავთ ის ბავშვები, რომლებიც ჰოსპისის პროგრამაში არიან ჩართული. ისინი მხოლოდ დღისით არიან ჰოსპისში, ღამით ოჯახში ბრუნდებიან;
2. ჰოსპისში რჩებიან და ცხოვრობენ ის ბავშვები, რომლებიც პალიატიურ მზრუნველობას საჭიროებენ.
3. ჰოსპისში არსებობს ბინაზე მისვლის სამსახური. ჰოსპისის გამოცდილი მედდები ოჯახებში უვლიან პაციენტებს.

3.5. შეარჩიეთ და გამოტოვებულ ადგილას ჩასვით სტყვები:

სურს გაუადვილოს გაუხანგრძლივოს	იღებენ გულისხმობს	ასატანია არჩევს	მოქმედებს
--------------------------------------	----------------------	--------------------	-----------

უკურნებელი სენი მძიმე არა მხოლოდ ავადმყოფისთვის, არამედ მისი ოჯახის წევრებისთვისაც. მძიმე ავადმყოფის ახლობლები რთულ გადაწყვეტილებებს ყველას, რომ თავის ახლობელს გასაჭირი, ცხოვრება საუკეთესო პირობების შექმნით. ბევრი ამისთვის პალიატიურ მზრუნველობას , რაც დაავადებულის ემოციურ, სულიერ და ფინანსურ მხარდაჭერას. დღესდღეობით პალიატიური მზრუნველობა ნახევარი მსოფლიოსთვისაა შესაძლებელი, რადგან ბევრ ქვეყანაში პალიატიური მზრუნველობის პროგრამები.

3.6. აარჩიეთ წყვილები და დაასრულეთ წინადადებები აზრობრივად:

ცხოვრების გაიოლება მრავალპროფილიანი დახმარება განუკურნებელი დაავადებები ფსიქოლოგის კონსულტაციები

პალიატიური დახმარება გულისხმობს იმ პრობლემების დროულ გამოვლენასა და გადაწყვეტას, რომლებიც თან ახლავს პალიატიური დახმარების მიზანია დაავადებულისათვის ამისათვის პაციენტებს უტარდებათ , რომელიც მოიცავს

3.7. მოცემული გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:

N	გუშინ	დღეს	ხვალ
1	შეუმსუბუქა	უმსუბუქებს	შეუმსუბუქებს
2	მოუხსნა	უხსნის	მოუხსნის
3	გააუმჯობესა	აუმჯობესებს	გააუმჯობესებს
4	ჩამოყალიბდა	ყალიბდება	ჩამოყალიბდება
5	შეასრულა	ასრულებს	შეასრულებს



3.8. მოსმენა

დიალოგი: ნიკა საავადმყოფოში

3.9. მოისმინეთ ჩანაწერი, სწორი პასუხი აღნიშნეთ ✓ სიმბოლოთი:

ნიკას ბაბუას უკურნებელი სენით არის დაავადებული.	
ნიკას ბაბუას გულის პრობლემები აქვს.	
ნიკას ავადმყოფის ჰოსპისში გადაყვანა უნდა, რადგან სახლში სრულფასოვან მკურნალობას ვერ უტარებს.	
პალიატური მკურნალობა აუცილებელ, სასწრაფო ოპერაციას გულისხმობს.	

3.10. მოსმენილი მასალის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს:

- რა აწუხებს ნიკას ბაბუას?
- რა საბუთები სჭირდება ნიკას ბაბუის ჰოსპისში გადასაყვანად?
- საბუთების მიღებიდან რამდენ ხანში შეიძლება პაციენტის ჰოსპისში გადაყვანა?
- რამდენი თავისუფალი პალატა აქვს ჰოსპისს?

3.11. მოსმენილი მასალის მიხედვით დაასახელეთ სამი მნიშვნელოვანი ინფორმაცია:

- _____
- _____
- _____

3.12. საპრეზეტაციო თემა:

ჰოსპისში მკურნალობის უპირატესობები სახლის პირობებთან შედარებით

ა.

ჩემ	მიმართ	ჩვენ	მიმართ
შენ	მიმართ	თქვენ	მიმართ
[ი]მის	მიმართ	[ი]მათ	მიმართ
მაგრამ:	ექიმის	მიმართ	
	საავადმყოფოს	მიმართ	
მაგ.,	საავადმყოფოს	მიმართ	პრეტენზია ვერ გექნებათ.

ბ.

ენა დაება — ვერ მოახერხა სიტყვების გამოთქმა.
 ენა დაიმოვლა — ცოტა ილაპარაკა, [შესაძლებელია: სულ გაჩუმდა].
 ენას კბილი დააჭირა — ხმა აღარ ამოიღო, ხმა გაკმინდა.
 ენა მუცელში ჩაუვარდა — ხმა ვეღარ ამოიღო [შიშის ან სხვა განცდის გამო].

3.13. წერა:

იმსჯელეთ საკითხებები: როგორ დავეხმარო მძიმე სენით დაავადებულს!

3.14. ეს დასაფიქრებელია!

პალიატიური მზრუნველობა, პალიატიური პაციენტი და პოსპისი — ჩამოთვლილი ტერმინები საზოგადოებისთვის ნაკლებადაა ცნობილი. ხშირად სწორედ ეს ფაქტორი განსაზღვრავს, რომ პალიატიური პაციენტები ვერ იღებენ სათანადო დახმარებას. სადაზღვეო კომბანიებსაც ტერმინი დაფიქსირებული არა აქვთ. ბარიერს ქმნის თავად პაციენტი. ახლობლების წინაშე დგას საკითხი, აუცილებელია თუ არა პაციენტის ინფორმირებულობა თავისი დაავადების სიმძიმის შესახებ. ექიმთა უმრავლესობის აზრით, ეს აუცილებელია, რათა ის მაქსიმალურად ჩაებას მკურნალობის პროცესში. მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად პაციენტი სიმართლის გაღებისას იღებს სტრესს, თანდათან ძლევა მას და უფრო მოტივირებული ხდება.

ლექსიკა:

ანატომია— მეცნიერება, რომელიც სწავლობს ცოცხალი ორგანიზმის აგებულებას.

ანგიოქირურგია— სისხლძარღვთა ქირურგია.

ბაზისური— დასაყრდენი, რისამე საფუძვლის შემქმნელი.

გააუმჯობესოს— უკეთესი გახადოს.

გასტროენტეროლოგია— მედიცინის დარგი, რომელიც შეისწავლის საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებებს.

გინეკოლოგია— მედიცინის ნაწილი, რომელიც სწავლობს და მკურნალობს ქალის სასქესო ორგანოების დაავადებებს.

დიფერენცირება— დაყოფა, გარჩევა.

ენდოკრინოლოგია— მეცნიერება, რომელიც სწავლობს შინაგანი სეკრეციის ჭირკვლების აგებულებასა და ფუნქციებს.

ზრდასრული— ორგანიზმი, რომელმაც უკვე დაამთავრა თავისი მასისა და სიდიდის ზრდა.

თერაპია— მედიცინის დარგი, რომელიც სწავლობს შინაგან სწეულებებს და მკურნალობს არაქირურგიული მეთოდებით.

იკვეთება— აქ: იჭრება.

ინტერდისციპლინარული— სხვადასხვა დისციპლინის, დარგის გამართიანებელი.

იხვეწება— კარგად მუშავდება, უფრო სრულყოფილი ხდება.

კარდიოლოგია— მედიცინის დარგი, რომელიც სწავლობს გულის დაავადებებს.

კარდიოქირურგია— მედიცინის დარგი, რომელიც გულისა და გულმკერდის ორგანოების დაავადებებს ქირურგიული მეთოდით მკურნალობს.

მეანობა— მედიცინის დარგი, რომელიც შეისწავლის ორსულობას, მშობიარობას და მშობიარობის შემდგომი პერიოდის საკითხებს, დახმარების მეთოდებს.

მზრუნველობა— ზრუნვა, მოვლა-პატრონობა.

მშობიარობა — ბაგშვის გაჩენის პროცესი.

მძიმე — აქ: რთული.

ნეიროქირურგია — მედიცინის დარგი, რომელიც ნერვული სისტემის დაავადებებს ქირურგიული მეთოდით მკურნალობს.

ოტორინოლარინგოლოგია — მეცნიერება ყურის, ცხვირისა და ყელის დაავადებათა შესახებ.

პათოლოგია — ავადმყოფური გადახრა ნორმისგან, არანორმალურობა, სიმახინჯე.

პედიატრია — მედიცინის ნაწილი, რომელიც სწავლობს ბავშვთა დაავადებებსა და მათ მკურნალობას.

პილიგრიმი — სალოცავად მიმავალი მორწმუნე, მოხეტიალე მღლოცველი, უცხო მგზავრი.

პრევენცია — წინასწარი ღონისძიებები რაიმე არასასურველი მოვლენის თავიდან ასაცილებლად.

პროფილი — საქმიანობის მიმართულება, ხასიათი.

პულმონოლოგია — მეცნიერება, რომელიც სწავლობს ფილტვების არასპეციფიკურ დაავადებებს (სპეციფიკურია ტუბერკულოზი).

საგანმანათლებლო — სასწავლო, აღმზრდელობითი.

სენი — ავადმყოფობა, დაავადება.

სკალპელი — ქირურგიული დანა.

სპეციალობა — რაიმე საქმიანობა, ხელობა, პროფესია, რომელიც საგანგებო დახელოვნებას მოითხოვს; კვალიფიკაცია.

ტექნოლოგიური საუკუნე — ტექნოლოგიური პროგრესით გამორჩეული საუკუნე.

ტრავმატოლოგია — მედიცინის ნაწილი, რომელიც სწავლობს ტრავმულ დაზიანებასა და მისი მკურნალობის მეთოდებს.

უროლოგია — მედიცინის დარგი, რომელიც სწავლობს და მკურნალობს შარდსასქესო ორგანოების დაავადებებს.

ფიგურა — აქ: გამორჩეული წევრი, მონაწილე.

ფიზიოლოგია — მეცნიერება, რომელიც სწავლობს ორგანიზმის სასიცოცხლო ფუნქციებს.

ფიზიოლოგიური — ფიზიოლოგიასთან, ორგანიზმთან დაკავშირებული.

ფუნდამენტური — აქ: ძირითადი, მთავარი.

ქრონიკული — ხანგრძლივი, მუდმივი, რაც დიღხანს გრძელდება.

ქსოვილები — აგებულებითა და ფუნქციებით მსგავსი უჯრედების ერთიანობა.

შეიჭრა — სწრაფად, მოულოდნელად შევიდა, შევარდა.

ჩასახვა — განაყოფიერების პროცესი.

ჰოსპისი — დაწესებულება, სადაც მდგომარეობას უმსუბუქებენ, უვლიან უიმედო მდგომარეობაში მყოფ ავადმყოფებს.

გმნები:

N	ახლანდელი	წარსული	მომავალი	მომავალი + უნდა	თურმე-ობითი	საწყისი	
	რას შვრება?	რას შვრებოდა?	რა ქნა?	რა იზამს?	რა უნდა ქნას?	რა?	
1.	ასრულებს	ასრულებდა	შეასრულა	შეასრულებს	შეასრულოს	შეუსრულებია	შესრულება
2.	აუმჯობესებს	აუმჯობესებდა	გააუმჯობესა	გააუმჯობესებს	გააუმჯობესოს	გაუუმჯობესებია	გაუმჯობესება
3	ემსახურება	ემსახურებოდა	მოემსახურა	მოემსახურება	მოემსახუროს	მომსახურებია	მომსახურება
4	ებმარება	ებმარებოდა	მოებმარა	მოებმარება	მოებმაროსს	მობმარებია	მობმარება
5	ზრუნავს	ზრუნავდა	იზრუნა	იზრუნებს	იზრუნოს	უზრუნვია	ზრუნვა
6	თანამშრომლობს	თანამშრომლობ-და	ითანამშრომ-ლა	ითანამშრომლებს	ითანამშრომლოს	უთანამშრომლია	თანამშრომლო-ბა
7	იყენებს	იყენებდა	გამოიყენა	გამოიყენებს	გამოიყენოს	გამოიყენების	გამოიყენება
8	იჭრება	იჭრებოდა	შეიჭრა	შეიჭრება	შეიჭრას	შეიჭრილა	შეჭრა
9	იხვეწება	იხვეწებოდა	დაიხვეწა	დაიხვეწება	დაიხვეწოს	დახვეწილა	დახვეწა
10	უმსუბუქებს	უმსუბუქებდა	შეუმსუბუქა	შეუმსუბუქებს	შეუმსუბუქოს	შეუმსუბუქებია	შემსუბუქება
11	უხანგრძლივებს	უხანგრძლივებდა	გაუხანგრძლი-ვა	გაუხანგრძლივებს	გაუხანგრძლი-ვოს	გაუხანგრძლი-ვებია	გახანგრძლივე-ბა
12	უხსნის	უხსნიდა	აუხსნა	აუხსნის	აუხსნას	აუხსნია	ახსნა
13	ფართოვდება	ფართოვდებოდა	გაფართოვდა	გაფართოვდება	გაფართოვდეს	გაფართოვებულა	გაფართოვება
14	ყალიბდება	ყალიბდებოდა	ჩამოყალიბდა	ჩამოყალიბდება	ჩამოყალიბდეს	ჩამოყალიბებულა	ჩამოყალიბება

IV თავი მედიცინის მთავარი მიმართულებები

I ნაწილი შემახამებელი გაკვეთილი

1.1. ტექსტი:

მედიცინა სამ მთავარ მიმართულებად ჩამოყალიბდა. ესენია: თერაპია, ქირურგია და მეანობა. შინაგანი მედიცინა ან ზოგადი მედიცინა, —ასე უწოდებენ თერაპიას დასავლეთ ევროპაში, აშშ-სა და სხვა მრავალ ქვეყანაში. თანამედროვე თერაპია სხვადასხვა ვიწრო სპეციალობად იყოფა. ესენია: **ალერგოლოგია**, კარდიოლოგია, ენდოკრინოლოგია, **ონკოლოგია**, გასტროენტეროლოგია, რეანიმაცია, **სპორტული მედიცინა**, **ნეფროლოგია** და სხვა მრავალი.

ძველად ქირურგიას საქართველოში დასტაქტობა ეწოდებოდა, ხოლო ქირურგს — დასტაქტო. ქირურგია განსაკუთრებით მე-19 საუკუნეში განვითარდა, როდესაც დაიწყო ანესთეზიოლოგიის, ანუ გაუტკივარების მეცნიერული შესწავლა. თანამედროვე ქირურგიული მიმართულება მრავალ სპეციალობად იყოფა. მისი დარგებია: ზოგადი ქირურგია, გულ-სისხლძარღვთა ანუ კარდიოქირურგია, ნეიროქირურგია, თვალის ქირურგია, ყბა-სახის ქირურგია, უროლოგია, გინეკოლოგია და სხვა.

მეანობა ისევე ძველია, როგორც კაცობრიობა. ამ სპეციალობას არც დღეს დაუკარგავს მნიშვნელობა. შუასაუკუნეებში ორსულ და მშობიარე ქალებზე ძირითადად ბებიაქალები ზრუნავდნენ. დღეს ამ ფუნქციას ექთანთან ერთად მეან-გინეკოლოგი ასრულებს.

განსაკუთრებით უკანასკნელ პერიოდში მედიცინის სფეროში განვითარდა კიდევ ერთი მიმართულება — პალიატიური მზრუნველობა, რომელშიც წამყვანი როლი ექთნებს უკავიათ. ისინი სხვა პერსონალთან კორდინირებული მუშაობით უმსუბუქებენ მძიმე სენიორ დაავადებულ პაციენტებს ფიზიკურ და სულიერ მდგომარეობას.

1.2. ლექსიკა:

ალერგოლოგია — მედიცინის დარგი, რომელიც სწავლობს ალერგიულ დაავადებებს, მათს პროფილაქტიკასა და მკურნალობას.

ონკოლოგია — მედიცინის დარგი, რომელიც სწავლობს სიმსივნეებსა და მათი მკურნალობის მეთოდებს.

რეანიმაცია — განსაკუთრებულად მძიმე მდგომარეობიდან ავადმყოფის გამოყვანა.

სპორტული მედიცინა — მედიცინის დარგი, რომელიც სწავლობს ფიზიკურისა და სპორტის გამაჯანსაღებელ მოქმედებას ადამიანის ორგანიზმებს.

ნეფროლოგია — მედიცინის დარგი, რომელიც შეისწავლის თირკმლის დაავადებებს.

კაცობრიობა — მთელი მსოფლიოს ადამიანები.

1.3. ტექსტის გააზრება:

1. რა და რა ნაწილად იყოფა მედიცინა?
2. რომელ სპეციალობებად იყოფა თანამედროვე თერაპია?
3. რომელ სპეციალობებად იყოფა თანამედროვე ქირურგია?
4. რა მოვალეობას ასრულებს პალიატიური მზრუნველობის მედდა?

სინონიმები	ანტონიმები
მიმართულება — აქ: დარგი დასტაქრობა — ქირურგია ანესთეზიოლოგია — გაუტკივარება უკანასკნელი — ბოლო წამყვანი — აქ: მთავარი	შინაგანი — გარეგანი მრავალი — ერთი თანამედროვე — ძველი უკანასკნელი — პირველი კორდინირებული — შეუთანხმებელი

მხოლობითი რიცხვი		
სახ.	მისი	დარგი
მოთხ.	მისმა	დარგმა
მიც.	მისს	სახლს და სხვ.

მრავლობითი რიცხვი		
სახ.	მისი	დარგები
მოთხ.	მისმა	დარგებმა
მიც.	მისს	დარგებს და სხვ.

1.4. წაიკითხეთ დიალოგი. ააგეთ ასეთივე დიალოგები თემებზე:

- ქირურგთან ვიზიტი
- კარდეოლოგთან ვიზიტი

ქალი: გამარჯობა, ექიმი მინდელი ბრძანდებით?

ექიმი: მობრძანდით. დაბრძანდით. რა გაწუხებთ?

ქალი: ვფიქრობ, რომ ალერგია. წელიწადის ამ დროს მეწყება ყელის ტკივილი, სურდო, თვალებიდან მომდის ცრემლები.

ექიმი: ალერგიის საწინააღმდეგო პრეპარატებს დაგინიშნავთ. თუ არ გიშველათ, მაშინ ალერგოლოგთან გაგიშვებთ.

ქალი: ისიც აღბათ ალერგიის წამალს დამინიშნავს!

ბანგის თანამშრომელი: ალერგიის სამკურნალოდ სხვადასხვა მეთოდი არსებობს. ალერგელოგი ამ დარგის ვიწრო სპეციალისტია და აუცილებლად გიშველით.

1.5. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით წყვილები:

მშობიარე ქალი	ცნობილი დასტაქარი
პალიატიური მკურნალობა	სპორტული მედიცინა
ქირურგიული მიმართულება	თერაპიული მკურნალობა

1. გინეკოლოგია ერთ-ერთი დარგია.
2. აუცილებლად ესაჭიროება ექიმ-გინეკოლოგი, რადგან მშობიარობას მრავალი გართულება ახლავს.
3. დროს ექიმმა უნდა გაითვალისწინოს მძიმე სენით დაავადებულ პაციენტთა სულიერი მდგომარეობაც.
4. ნინოს დიდი ბაბუა მე19-საუკუნეში ცხოვრობდა და იყო.

5. საშუალებით მრავალი სპეციფიკური დაავადება იკურნება.
 6. თვალის ზოგიერთ დაავადებას არ შევლის და ოპერაცია სჭირდება.

1.6. ა) წაიკითხეთ დიალოგი და დაასრულეთ აზრობრივად:

ქალი: გამარჯობა, შეიძლება?

ექიმი: მობრძანდით.

ქალი: თქვენთან თერაპევტმა გამომაგზავნა. ამბობს, რომ ოპერაცია აუცილებელია.

ექიმი: რა გაწუხებთ?

ქალი: ბრძანაწლავი. პერიოდულად აუტანელი ტკივილი მაქვს.

ექიმი: უნდა გაგსინჯოთ. დაწექით.

ქალი: რატომ არაფერს მეუბნებით? ცუდადაა ჩემი საქმე?

ექიმი: სულაც არა.

ქალი: ე.ი. ოპერაცია არ მჭირდება?

ექიმი: სწორად გამოუგზავნიხოთ

ბ) უპასუხეთ კითხვას:

— ესაჭიროება თუ არა ქალს ოპერაცია?

1.7. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით სიტყვები: თერაპია, ქირურგია, მეანობა და პალიატიური მკურნალობა.

ა. ჩემს მეზობელს ონკოლოგიური დაავადება აქვს. ის ჰოსპისში დააწვინეს და დაუნიშნეს.

ბ. სამედიცინო მეცნიერების დარგია, რომელიც შეისწავლის დაავადებათა მკურნალობას ოპერაციის მეთოდით.

გ. მიზანია ზრდასრული ადამიანის დაავადებების დიაგნოსტიკა და მკურნალობა არაოპერაციული მეთოდებით.

დ. ორსული ქალის მდგომარეობასა და მშობიარობის პროცესზე ზრუნავს მედიცინის ერთ-ერთი უძველესი დარგი

1.8. მოცემული გმინების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:

N	გუშინ	დღეს	ხვალ
1	განვითარდა	ვითარდება	განვითარდება
2	დაიწყო	იწყება	დაიწყება
3	დაამტკიცა	კარგავს	დაამტკიცებს
4	დაასაბუთა	იკავებს	დაასაბუთებს



1.9. მოსმენა:

დიალოგი თემაზე: სატელეფონო ზარი ოჯახის ექიმთან

1.10. მოისმინეთ ჩანაწერი; სწორი პასუხი აღნიშნეთ ✓ სიმბოლოთი:

პაციენტის მეუღლეს გულის არეში აწუხებს ტკივილები.	
ოჯახის ექიმმა პაციენტი დაამშვიდა და მესამე დღეს დაიბარა მიღებაზე.	
ოჯახის ექიმმა პაციენტს სასწრაფო დახმარების გამოძახება ურჩია.	
პაციენტის მეუღლის ავადმყოფობა გულის ბრალია.	

1.11. დიალოგის მიხედვით აარჩიეთ სწორი პასუხები:

რატომ რეკავს პაციენტი ექიმთან?

- ა. მას ტკივილები აწუხებს მკერდის არეში.
- ბ. მის მეუღლეს ტკივილები აწუხებს მკერდის არეში
- გ. მისი მეუღლე საოპერაციოა.

ვის უნდა მიმართოს პაციენტმა კარდეოლოგთან მოსახვედრად?

- ა. ოჯახის ექიმს.
- ბ. სტომატოლოგს.
- გ. საავადმყოფოს დირექტორს.

რამდენი ხანია, რაც პაციენტს ტკივილები აწუხებს?

- ა. ორი თვეა.
- ბ. ორი დღეა.
- გ. სამი დღეა.

1.12. მოისმინეთ დიალოგი კიდევ ერთხელ და შეავსეთ ტექსტში გამოტოვებული ადგილები:

- ა. ორი დღეა, ჩემს მეუღლეს ტკივილები აწუხებს არ ვიცი, როგორ მოვიქცე: თქვენთან ჩაეწერო მიღებაზე და მერე თქვენ გაუშვებთ, თუ პირდაპირ კარდეოლოგს მივმართო?
- ბ. აუცილებლად დარეკეთ და
.. გამოუძახეთ. თუ გული არ არის, ექიმი
გაუკეთებს და ტკივილი მოეხსნება.
- გ. სასწრაფო დახმარება ხვალ შეგიძლიათ ჩემთანაც ჩაეწეროთ მიღებაზე. პაციენტს გავსინჯავ, წამლებს გამოგიწერთ და, თუ საჭიროა,

1.13. შეარჩიეთ 2 მოსაუბრე, გაანაწილეთ როლები და გაიმეორეთ დიალოგი:

1.14. საპრეზენტაციო თემა:

როცა ტკივილი მანუსებს...

1.15. წერა:

იმსჯელეთ საკითხებები: რას არ გააკეთებდი, ექიმი რომ იყო?

1.16. სახალისო ამბავი:

ახალი წლის შესახვედრად ერთ-ერთ ოჯახს ეწვივნენ სტუმრები. ყველამ მიირთვა ალკოჰოლი. სტუმრები კარგ ხასიათზე იყვნენ. მოულოდნელად ერთ-ერთ სტუმარს გულის შეტევა მოუვიდა. გამოუძახეს სასწრაფო დახმარებას. ცოტა ხანში მოვიდა ახალგაზრდა მამაკაცი ექიმი, რომელიც ალკოჰოლისგან ფეხზე ვერ იდგა. ექიმმა წნევის საზომი აპარატი თავის ხელზე მოირგო, ყველაფერი კარგად არისო, ზრდილობიანად დაემშვიდობა მასპინძლებს და წავიდა. ავადმყოფმა იმდენი იცინა, რომ ტკივილმა საერთოდ გაუარა.

უპასუხეთ კითხვას: რატომ გაუარა პაციენტს ტკივილმა?

ლექსიკა:

ალერგოლოგია — მედიცინის დარგი, რომელიც სწავლობს ალერგიულ დაავადებებს, მათს პროფილაქტიკასა და მკურნალობას.

ნეფროლოგია — მედიცინის დარგი, რომელიც შეისწავლის თირკმლის დაავადებებს.

ონკოლოგია — მედიცინის დარგი, რომელიც სწავლობს სიმსივნეებსა და მათი მკურნალობის მეთოდებს.

რეანიმაცია — ავადმყოფის განსაკუთრებით კრიტისული მდგომარეობიდან გამოყვანა.

სპორტული მედიცინა — მედიცინის დარგი, რომელიც სწავლობს ფიზკულტურისა და სპორტის გავლენას ადამიანის ორგანიზმზე.

გმნები:

N	ახლანდელი	წარსული		მომავალი	მომავალი + უნდა	თურმეობითი	საწყისი
	რას შვრება?	რას შვრებოდა?	რა ქნა?	რა იჩამს?	რა უნდა ქნას?	რა უქნია?	რა?
1.	ვითარდება	ვითარდებოდა	განვითარდა	განვითარდება	განვითარდეს	განვითარებულა	განვითარება
2.	იგავებს	იგავებდა	დაიკავა	დაიკავებს	დაიკავოს	დაუკავებია	დაკავება
3.	იწყება	იწყებოდა	დაიწყო	დაიწყება	დაიწყოს	დაწყებულა	დაწყება

V თავი პირველადი სამედიცინო დახმარება

I ნაწილი რა არის პირველადი სამედიცინო დახმარება?

1.1. მოსამზადებელი სამუშაო:



სურ. 1



სურ.2

• უპასუხეთ შემდეგ კითხვებს!

1. რას ვხედავთ ილუსტრაციებზე?
2. გინახავთ თუ არა, როგორ უქარდებათ ავადმყოფებს პირველადი სამედიცინო დახმარება?
3. იცით თუ არა, როგორ უნდა ჩატაროთ პირველადი სამედიცინო დახმარება?
4. თქვენი პირადი გამოცდილებიდან ან სხვების ნაამბობის მიხედვით მოიყვანეთ მაგალითი, სასწრაფოს მოსვლამდე როგორ გადაარჩინა ავადმყოფი პირველადმა სამედიცინო დახმარებამ?

1.2. ტექსტი:

რა არის პირველადი სამედიცინო დახმარება? ეს არის ღონისძიებათა კომპლექსი, რომლის მიზანია დახმარება აღმოუჩინოს დაზიანებულ ან უეცრად დაავადებულ ადამიანს. ასეთ შემთხვევებში უპირველესი ამოცანაა სიცოცხლის შენარჩუნება, მდგომარეობის გაუარესების თავიდან აცილება და გამოჯანმრთელების ხელშეწყობა. პირველადი დახმარება უნდა განხორციელდეს კვალიფიციური სამედიცინო დახმარების მიღებამდე. იგი გულისხმობს სიტუაციის მიხედვით ჩატარებულ მრავალ ღონისძიებას, დაწყებული ეგრეთ წოდებულ CPR-იდან (გულ-ფილტვის რეანიმაცია) დამთავრებული მცირე ჭრილობაზე ნახვევის დადებით. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ასევე ფსიქიკური ჯანმრთელობის შენარჩუნების სწორად წარმართვას, სტრესის თავიდან აცილებას და გარემოსთან ადაპტირებას.

ვინ ახორციელებს პირველად დახმარებას? ყოველი მოქალაქე, რომელსაც გავლილი აქვს პირველადი სამედიცინო დახმარების სპეციალური კურსი და იცის, როგორ განახორციელოს ის. სწორედ ამიტომ მსოფლიოს მრავალ განვითარებულ ქვეყანაში პირველადი სამედიცინო დახმარების პრინციპები ისწავლება ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში. თუ არ ვიცით, როგორ აღმოვუჩინოთ პირველადი დახმარება, სჯობს არ განვახორციელოთ. ამ დროს, დახმარების ნაცვლად, იზრდება რისკი ადამიანის მდგომარეობის გაუარესებისა.

რეანიმაციული ღონისძიებები ხორციელდება განსაზღვრული თანმიმდევრობით:

A- სასუნთქი გზების გამავლობის აღდგენა თავის მაქსიმალურად უკან გადაწევით, ან სასუნთქი მიღების გამოყენებით.

B- ხელოვნური სუნთქვა, რომელიც შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა მეთოდით. ერთ-ერთია „პირით-პირში“ სუნთქვა (სურ.2).

C- სისხლის ცირკულაციის აღდგენა გულის დახურული მასაჟით.

ზოგიერთ შემთხვევაში აღნიშნულ თანმიმდევრობას ემატება D, რაც გულისხმობს სიცოცხლისათვის საშიში სისხლდენის შეჩერებას ან დეფიბრილაციას.

1.3. ლექსიკა:

ფსიქიკური ჯანმრთელობა — ორგანიზმის უნარი, გაუმკლავდეს ცხოვრების თანამდევ სტრესებს, ადაპტირდეს სოციალურ გარემოში.

სტრესი — ორგანიზმის დაძაბულობა, რომელიც რთული სიტუაციის საბასუხოდ წარმოიშობა.

ადაპტირება — აქ: ორგანიზმის შეგუება გარემო პირობებთან არსებობის შესანარჩუნებლად.

პრინციპი — აქ: წესი, რომელიც განსაზღვრავს ქცევასა და მოქმედებას.

ზოგადსაგანმანათლებლო სისტემა—12-წლიანი განათლების სისტემა; მოიცავს დაწყებით, საბაზისო და საშუალო განათლებას.

სასუნთქი გზები — გზა, რომელსაც ჰაერი გადის ჩასუნთქვიდან ფილტვებამდე.

გამავლობა — უნარი, გაატაროს რაიმე.

ცირკულაცია — წრიული მოძრაობა, ბრუნვა.

სისხლის ცირკულაცია — სისხლის მოძრაობა, მიმოქცევა.

ხელოვნური სუნთქვა — ბუნებრივი სუნთქვის დარღვევის ან შეწყვეტის დროს სასუნთქ გზებში ჰაერის ან ჟანგბადის შეყვანა ხელოვნურად.

დეფიბრილაცია — გულის კუნთის ნორმალური რითმის აღდგენა (მექანიკური დარტყმით ან მაღალი ძაბვის ელექტრული დენის გატარებით).

1.4. ტექსტის გააზრება:

1. რა არის პირველადი სამედიცინო დახმარება?
2. რა არის პირველადი სამედიცინო დახმარების მთავარი ამოცანა?
3. რას ენიჭება პირველადი სამედიცინო დახმარების დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა?
4. ვინ ახორციელებს პირველად დახმარებას?
5. რა თანმიმდევრობით ხორციელდება რეანიმაციული ღონისძიებები?

სინონიმები	ანტონიმები
კომპლექსი — ნაკრები	პირველადი — მეორეული
ფსიქიკური ჯანმრთელობა — ფსიქიკური მდგრამარეობა	გაუარესება — გაუმჯობესება
აღმოვჩინოთ დახმარება — დავეხმაროთ	კვალიფიციური — არაკვალიფიციური
ნაცვლად — მაგივრად	დაწყებული — დამთავრებული
ცირკულაცია — ბრუნვა	განვითარებული — განუვითარებელი
ადაპტაცია—შეგუება	გამავლობა — გაუვალობა
სტრესი—დაძაბულობა	დახურული — ღია
გამავლობა—გამტარობა	ემატება — აკლდება
	იზრდება — მცირდება
	დაძაბულობა—მოდუნება

ა.

არაკვალიფიცირებული – კვალიფიკაციის არმქონე.
მაგ., არაკვალიფიცირებულმა ადამიანმა შეიძლება ბევრი შეცდომა დაუშვას.

ბ.

სახ.	ეს დრო	ეგ სისტემა	ის საქმე
მოთხ.	ამ დრომ	მაგ სისტემამ	იმ საქმეზ
მიც.	ამ დროს	მაგ სისტემას	იმ საქმეს

1.5. წაიკითხეთ დიალოგი და დაასრულეთ:

გია: ჩაგიტარებია ვინმექსთვის პირველადი სამედიცინო დახმარება?

თამარი: არა, არასდროს. შენ?

გია: არც მე, მაგრამ მინახავს, როგორ უტარებდნენ ხელოვნურ სუნთქვას პირით პირში.

თამარი: მაგას ყველა შეძლებს.

გია: ნამდვილად არა.

თამარი: რატომ? ხელს რა შემიშლის?

გია:

1.6. წაიკითხეთ დიალოგი და დაასრულეთ:

გია: პირველადი სამედიცინო დახმარების დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფსიქიკური ჯანმრთელობის შენარჩუნება.

თამარი: ეს რას ნიშნავს?

გია: კრიტიკულ და სტრესულ მდგომარეობაში ადამიანი კარგავს თავის კონტროლის უნარს, ნერვიული, გაღიზიანებული და არაადეკვატურია.

თამარი: ხო, ფსიქიკური აშლილობა ბევრს ემართება.

გია: მერე იცი, რა უნდა ქნა ამ დროს?

თამარი: ალბათ

1.7. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით წყვილები:

კვალიფიციური დახმარება	პირველადი დახმარება
სასუნთქი გზები	სიცოცხლის შენარჩუნება
სისხლის ცირკულაცია	ხელოვნური სუნთქვა

როგორ უნდა მოვიქცეთ, თუ გვინდა, რომ გადაუდებელი შემთხვევის დროს ადამიანს აღმოვუჩინოთ, ? ასეთ სიტუაციაში პანიკაში არ უნდა ჩავვარდეთ და დრო არ უნდა დავკარგოთ. ხშირად ადამიანის ბედი იმაზეა დამოკიდებული, რამდენად აღმოუჩინეს. ამ დროს მთავარია დაბარალებულის

პირველადი დახმარება უნდა განხორციელდეს თანმიმდევრულად. უპირველესად საჭიროა გამავლობის აღდგენა. გეთდება პირიდან პირში. ამუშავება კი შესაძლებელია გულის დახურული მასაჟით.

1.8. მოცემული გამოყენებით შეადგინეთ წინადაღებები:

N	გუშინ	დღეს	ხვალ
1	აღმოაჩინა	აღმოაჩენს	აღმოაჩენს
2	განხორციელდა	ხორციელდება	განხორციელდება
3	იგულისხმა	გულისხმობს	იგულისხმებს
4	გაიზარდა	იზრდება	გაიზრდება

გაიხსენეთ!



რა უნდა ქნას? არ უნდა დაიბნეს **რა უნდა ქნან?** არ უნდა დაიბნენ
მაგ., კრიტიკული შემთხვევის დროს ადამიანი არ უნდა დაიბნეს და დროულად უნდა აღმოუჩინოს დაზარალებულს პირველადი სამედიცინო დახმარება.

1.9. მოსმენა:

დიალოგი თემაზე: სამოქალაქო განათლების გაკვეთილი სკოლაში



1.10. მოისმინეთ ჩანაწერი, სწორი პასუხი აღნიშნეთ ✓ სიმბოლოთი:

სიცოცხლის შენარჩუნებისთვის აუცილებელია დაზარალებულმა ფეხზე წამოდგომა შეძლოს.	
ჯანმრთელობის გაუარესება შეიძლება დიდმა სიცხემ ან გულის პრობლემებმა გამოიწვიოს.	
პირველადი სამედიცინო დახმარების მიზანია, დაეხმაროს ადამიანს, სანამ სასწრაფო დახმარება მოვა.	
როდესაც რამე უბედურება ხდება და ადამიანებს დახმარება სჭირდებათ, სიჩქარე მნიშვნელოვანი არ არის.	

1.11. მოსმენილი მასალის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს:

- რა გაკვეთილი ტარდება სკოლაში?
- როდის და სად დასჭირდა დახმარება მოსწავლის ნაცნობს?
- უპირველესად რაზე უნდა იზრუნოს დახმარების მსურველმა (რაარის სიცოცხლის შენარჩუნებისთვის გადამწყვეტი)?
- რამდენი ხანი დასჭირდება ამ თემის შესწავლას?

1.12. მოსმენილი მასალის მიხედვით დაასახელეთ სამი მნიშვნელოვანი ინფორმაცია:

1. _____
2. _____
3. _____

1.13. საპრეზენტაციო თემა:


რამომ უნდა იცოდეს თითოეულმა ადამიანმა პირველადი
სამედიცინო დახმარების გაწევა?



დაიმახსოვრეთ!

ყველგან – იგივეა, რაც ყველა ადგილას.
ასეთივე სიტყვებია: ზოგან, ერთგან, ბევრგან, მრავალგან, ორგან და სხვ.

ა.



ბ.

მხოლობითი
რას შვრებოდა? აპირებდა რას შვრებოდნენ? აპირებდნენ
მაგ.: ის ხელოვნური სუნთქვის ჩატარებას აპირებდა.

გ.

სახ. სიცოცხლის შენარჩუნება
მოთხ. სიცოცხლის შენარჩუნებამ
მიც. სიცოცხლის შენარჩუნებას და სხვ.

1.14. წერა:

იმსჯელეთ საკითხებე: როგორ მოვიქცე, თუკი ადამიანს ესაჭიროება პირველადი
სამედიცინო დახმარება?

1.15. დაიმახსოვრეთ!

პირველადი დახმარება კრუნჩხვის დროს (რჩევები):

კრუნჩხვა რამდენიმე წუთის განმავლობაში გრძელდება და იხსნება თავისით. რისი გაკეთებაა ამ დროს საჭირო?

შეინარჩუნეთ სიმშვიდე!

გამოიძახეთ სასწრაფო დახმარება!

- დააწვინეთ ავადმყოფი გვერდზე, რომ არ გადასცდეს ნერწყვი!
- გაუთავისუფლეთ სხეული მოჭერილი ტანსაცმლისაგან!
- თავქვეშ ბალიში ან რაიმე ნივთი ამოუდეთ!
- ნუ ეცდებით ძალის გამოყენებით გაუხსნათ პირი და ენა გამოუწიოთ! ენა არ იყლაპება!
- არ დაალევინოთ სითხე ან მედიკამენტები, სანამ არ დარწმუნდებით, რომ გამოფხიბლებულია!
- დარჩით ავადმყოფის გვერდით სასწრაფოს მოსვლამდე!
- ეცადეთ ჩაინიშნოთ კრუნჩხვის ხანგრძლივობა. ეს ინფორმაცია მნიშვნელოვანია ექიმისათვის.

კრუნჩხვა — კუნთების უნებლიერი, შეტევითი ხასიათის შეკუმშვა

II ნაწილი სისხლდენა

2.1. მოსამზადებელი სამუშაო:



სურ.1 სისხლდენა. ღია ჭრილობა



სურ.2 ვენური და არტერიული სისხლი

- უპასუხეთ შემდეგ კითხვებს!

1. რას ვხედავთ ილუსტრაციებზე?
2. თქვენი პირადი გამოცდილებიდან მოიყვანეთ მაგალითი, როგორ მოიქცით სისხლდენის დროს?

2.2. ტექსტი:

სისხლდენა დაზიანებული სისხლძარღვიდან სისხლის გამოსვლაა. ის, როგორც წესი, ტრავმასთანაა

დაკავშირებული. სისხლდენა ასევე შესაძლებელია ცხვირიდან, ღრძილებიდან, ყურიდან, საშორდან, სწორი ნაწლავიდან და სხვ. სისხლდენა შეიძლება იყოს **არტერიული, ვენური, კაპილარული** და **შერეული**. განსაკუთრებულ სახეა **პარენქიმული** სისხლდენა, რომელიც ვითარდება პარენქიმული ორგანოების (ღვიძლის, ელენთის, თირკმლის, პანკრეასის და ა.შ.) დაზიანების შემთხვევაში.

არტერიული სისხლი ალისფერია, ინტენსიურად მოედინება და ხშირად პულსირებს. ვენური სისხლი მუქი ალუბლისფერია, შედარებით მდორედ მოდის და არ პულსირებს (სურ.2). კაპილარული სისხლი წითელია, ძირითადად **ჟონავს** დაზიანებული ქსოვილის მთელი ზედაპირიდან და უმეტეს შემთხვევაში თავად ჩერდება. კაპილარული სისხლდენა ყველას გვინახავს, თუ ერთხელ მაინც გაგვიჭრია თითო. პარენქიმული სისხლდენა თავისი ხასიათით წააგავს კაპილარულს, მაგრამ მისგან განსხვავებით ადვილად არ ჩერდება. პარენქიმული სისხლდენის შესაჩერებლად ქირურგიულ ოპერაციას მიმართავენ.

სისხლდენის გამომწვევი მრავალი მიზები არსებობს. მათგან უდიდესი ნაწილი მოდის ტრავმებზე, მაგრამ მისი მიზები შეიძლება გახდეს ბოგიერთი დაავადებაც. სისხლდენა შეიძლება იყოს გარეგანი და შინაგანი. გარეგანი სისხლდენა ხილულია; შინაგანი სისხლდენის დროს სისხლი შეიძლება გამოვიდეს ბუნებრივი ხვრელებიდან (ცხვირიდან, პირიდან, უკანა ტანიდან, საშორდან), ან **ჩაიღვაროს ღრუებში**, ტვინში, სახსრებში, გულმკერდისა და მუცლის ღრუში. იმისდა მიხედვით, თუ სად იღვრება სისხლი, სისხლდენა ხასიათდება სხვადასხვა ნიშნით და აქვს თავისი სახელი. დაკარგული სისხლის რაოდენობის მიხედვით სისხლდენა ოთხი ხარისხისაა: მსუბუქი, საშუალო, მძიმე და **ფატალური**. მეოთხე ხარისხის სისხლდენის დროს იკარგება სისხლის 50 % და მეტი. ამ დროს აუცილებელია სასწრაფო რეანიმაციული ორნისძიებები. წინააღმდეგ შემთხვევაში პაციენტი დაიღუპება.

სისხლდენის მკურნალობის მეთოდია მისი შეჩერება. არსებობს სისხლდენის შეჩერების დროებითი და საბოლოო მეთოდები. სიცოცხლის გადასარჩენად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დროული პირველადი დახმარების აღმოჩენას. სისხლდენის დროებით შეჩერების ძირითად მეთოდად ითვლება ხელებით ძლიერი ზეწოლა ჭრილობაზე 10 წუთის განმავლობაში. კაპილარული სისხლდენის შესაჩერებლად საკმარისია თითით ზეწოლაც. ზოგჯერ კი, თუ ხელთ გვაქვს, ვიყენებთ დამწოლ ნახვევს და **ჰემოსტაზური** საშუალებებს, არტერიული სისხლდენების შესაჩერებლად კი — ლახტს. სისხლდენის საბოლოო შეჩერების მეთოდებია: სისხლძარღვის გადაკვანძვა — ლიგირება, გაკერვა, **პროთეზირება** და სხვ. ეს პროცედურები ძირითადად საავადმყოფოებში ხორციელდება.

2.3. ლექსიკა:

არტერია — სისხლძარღვი, რომელიც გულიდან სისხლს აწვდის სხეულის ყველა ორგანოს.

არტერიული სისხლდენა — არტერიის დაზიანებით გამოწვეული სისხლდენა.

ვენური სისხლდენა — ვენის დაზიანებით გამოწვეული სისხლდენა.

კაპილარული სისხლდენა — კაპილარების დაზიანებით გამოწვეული სისხლდენა.

პარენქიმული სისხლდენა — გამოწვეული პარენქიმული ორგანოების დაზიანებით.

ჟონავს — ცოტ-ცოტა გამოდის, მცირე რაოდენობით იპარება (მაგ., გაზი, ნავთობი, წყალი, სისხლი, ინფორმაცია და ა.შ.).

ჩაიღვაროს — სითხე ჩაისხას, ჩაიქცეს (რამეში).

ღრუ — სივრცე ადამიანისა და ცხოველის ორგანიზმში, სადაც შინაგანი ორგანოებია მოთავსებული.

ფატალური — საბედისწერო, რასაც ვერ აიცდენ, გარდაუვალი.

ზეწოლა — აქ: ხელის ან თითის დაჭერა.

ჰემოსტაზური — სისხლდენის შემაჩერებელი.

ლახტი — სისხლდენის შემაჩერებელი რეზინის ელასტიკური მილი.

პროთეზირება — ხელოვნური ნაწილის მორგება დაკარგული ბუნებრივი ორგანოს ნაცვლად.

ჭრილობიდან სისხლი ოდნავ ჟონავს.
დაწესებულებიდან ინფორმაციამ გამოჟონა.

სინონიმები	ანტონიმები
ვითარდება — აქ: წარმოიქმნება ინტენსიურად — გაძლიერებულად პულსირებს — ფეთქავს მდორედ — აქ: ნელა უმეტესად — ხშირად წააგავს — მსგავსია მრავალი — ბევრი უდიდესი — აქ: უმეტესი ლიგირება — გაკვანძვა წილი — ხვედრი	დაბიანებული — დაუზიანებელი გამოსვლა — შესვლა შერეული — შეურეველი ადვილად — ძნელად გარეგანი — შინაგანი ხილული — უხილავი დაილუპება — გადარჩება დროებითი — საბოლოო დროული — უდროო ძლიერი — სუსტი

2.4. ტექსტის გააზრება:

- რა არის სისხლდენა?
- რა და რა სახის შეიძლება იყოს სისხლდენა დაბიანებილი სისხლძარღვის მიხედვით?
- რა ნიშნით ხასიათდება გარეგანი სისხლდენა?
- რა და რა სახის სისხლდენა არსებობს დაკარგული სისხლის რაოდენობის მიხედვით ?
- როგორ მკურნალობენ სისხლდენას?
- რა მეთოდები არსებობს სისხლდენის შესაჩერებლად?

2.5. შეარჩიეთ და გამოტოვებულ ადგილას ჩასვით სიტყვები:

განვითარება დონორობა გადარჩენა სისხლი გამოიყენება გახდა სხვადასხვა დაავადება

სისხლის გადასხმა შესაძლებელი დონორობის განვითარების შემდეგ. დონორი არის ადამიანი, რომელიც გასცემს უანგაროდ. თანამედროვე მსოფლიოში დონორობა და უსაფრთხო სისხლის პროგრამა საშუალებას გვაძლევს, შევქმნათ სისხლის ბანკები, დავეხმაროთ ერთმანეთს, ხელი შევუწყოთ მედიცინის მრავალი დარგის

სისხლის გადასხმისათვის თავდაპირველად იყენებდნენ პირდაპირ მეთოდს, მაგრამ სისხლის კონსერვაციამ სიტუაცია ძირეულად შეცვალა. **უნდა გვახსოვდეს, რომ სისხლი თავად შეიძლება იყოს გადამტანი.** ამიტომ თანამედროვე სამედიცინო პრაქტიკაში მხოლოდ სისხლის კომპონენტები, რომელთა დამზადება ხდება დონორის სისხლის წინასწარი კვლევის შემდეგ.

ასევე უნდა ვიცოდეთ: ჯანმრთელი ადამიანისათვის სრულიად უსაფრთხოა. უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ მიერ გაღებულ სისხლს შეუძლია მრავალი ადამიანის სიცოცხლის



დაიმახსოვრეთ!

ა.

—ოვან ბოლოსართი სახელებს დაერთვის და რაიმეს ქონას აღნიშნავს. მაგ., უკრედოვანი — იგივეა, რაც: უკრედების მქონე.
ასაკოვანი — იგივეა, რაც: ასაკის მქონე, მოხუცი.

ნაცვალსახელები — ერთმანეთი და ერთიმეორე — სინონიმებია და ორ პირს შორის ურთიერთობას გამოხატავს.
მაგ., ერთმანეთს მხარში ამოვუდგებით.
ისინი ერთიმეორეს გვერდით ამოუდგნენ.

სახ.	ერთმანეთი	ერთიმეორე
მოთხ.	[ერთმანეთმა]	[ერთიმეორემ]
მიც.	ერთმანეთს	ერთიმეორეს
ნათ.	ერთმანეთის	ერთიმეორის
მოქ.	ერთმანეთით	ერთიმეორით
ვით.	—————	—————
წოდ.	—————	—————

მითითება! მოთხოვითის ფორმები — ერთმანეთმა და ერთიმეორემ — იშვიათად გამოიყენება.

მაგ., დაე, ერთმანეთმა [//ერთიმეორემ] გაგაძლიეროთ!

სახ.	ერთმანეთის აზრი	ერთიმეორის ფიქრი
მოთხ.	ერთმანეთის აზრმა	ერთიმეორის ფიქრმა
მიც.	ერთმანეთის აზრს	ერთიმეორის ფიქრს და სხვ.



დაიმახსოვრეთ!

ა.

რას შვრება? ჟონავს იცვამს
რა უქნია? გაუუონავს ჩაუცვამს
 მაგ., ოპერაციის შემდგომ ჭრილობიდან სისხლს არ გაუუონავს.
 ექიმია, მაგრამ თეთრი ხალათი ჯერ არ ჩაუცვამს.

ბ.

რა მიქნია?	რა გვიქნია?
რა გიქნია?	რა გიქნიათ?
რა უქნია?	რა უქნიათ?

გ.

[მე] გამიკერავს [ჩვენ] გაგვიკერავს
 [შენ] გაგიკერავს [თქვენ] გაგიკერავთ
 [მას] გაუკერავს [მათ] გაუკერავთ

2.6. წაიკითხეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს:

- სხეულის რომელ ადგილზე დავადოთ ლახტი? რამდენ ხანს?
- სად არ შეიძლება ლახტის დადება?

არსებობს სპეციალური ლახტები, რომლებიც მზადდება რეზინისაგან, მაგრამ ექსტრემალურ სიტუაციაში შეიძლება გამოვიყენოთ ნებისმიერი საშუალება: თოვი, თავსაფარი, ჰალსტუხიც კი. მთავარია, დავიცვათ ლახტის დადების წესები: ლახტი უნდა დაედოს მხოლოდ ბარძაყზე ან მხარზე, მაქსიმალურად ახლოს დაზიანებულ სისხლძარღვთან. არ შეიძლება ლახტის დადება წვივისა და წინამხრის მიღამოში, რადგან ასეთ დროს სისხლდენა არ შეჩერდება. ასევე არ შეიძლება ლახტი ედოს პაციენტს 2 საათზე მეტი. სწორედ ამიტომ მასიური კატასტროფების დროს ლახტის დადების შემდეგ პაციენტს შებლზე აწერენ ლახტის დადების დროს საათებისა და წუთების მითითებით. უნდა გვახსოვდეს, რომ, რაც უფრო ფართოა ლატი, მით უკეთ აჩერებს სისხლდენას. ასევე უნდა გვახსოვდეს, რომ ლახტის სწორად დადების შემთხვევაში ინტენსიური სისხლდენა წყდება, თუმცა შეიძლება ჭრილობიდან სისხლი მაინც უონავდეს, რაც სიცოცხლისათვის საშიში აღარ არის.

მოცემული გმინების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:

N	გუშინ	დღეს	ხვალ
1	იდინა	მოედინება	იდენს
2	პულსირებდა	პულსირებს	იპულსირებს
3	დაითვარა	იღვრება	დაიღვრება
4	დაიკარგა	იკარგება	დაიკარგება



2.7. მოსმენა დიალოგი თემაზე: ინტერვიუ ექიმთან

2.8. მოსმინეთ ჩანაწერი, სწორი პასუხი აღნიშნეთ ✓ სიმბოლოთი:

შინაგანი სისხლდენა უფრო ნაკლებად სახითათოა, ვიდრე გარეგნულად გამოხატული.	
სისხლი, რომელიც ადამიანის სხეულის შიგნით იღვრება, დაკარგული არ არის.	
შინაგანი სისხლდენის შემჩნევა არასპეციალისტებისთვის რთულია.	
სისხლდენის დროს სუნთქვა გახშირებულია, რადგან ორგანიზმს ჟანგბადი აღარ მიეწოდება.	

2.9. მოსმენილი მასალის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს:

- რა არის შოკის გამომწვევი ერთ-ერთი მიზეზი?
- რარაოდენობის სისხლის დაკარგვა იწვევს შოკს და სახითათოა თუ არა ადამიანის სიცოცხლისთვის?
- რა გარეგნული ნიშნები ახასიათებს შინაგან სისხლდენას?
- როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი, თუკი სხვას შინაგანი სისხლდენის ნიშნები შეამჩნია?

2.10. მოსმენილი მასალის მიხედვით დაასახელეთ სამი მნიშვნელოვანი ინფორმაცია:

-
-
-

2.11. საპრეზენტაციო თემა:

როგორ მოვიძეოთ, თუ ადამიანი ფერმართალია და ტუჩები გალურჩებული აქვს?



დაიმახსოვრეთ!

სხვათა შორის

მითითება: ძირითადად გამოიყენეთ მაშინ, როცა რაიმეს ასაბუთებთ, თქვენს აზრს გამოთქვამთ და გსურთ, ეს აზრი სხვასაც გააგებინოთ.
მაგ., **სხვათა შორის**, მკურნალობის ეგ მეთოდი ეფექტურია.

ისეთი ნახვევი, როგორიც...

ისეთი ლახტები, როგორებიც...



დაიმახსოვრეთ!

ა.

- | | |
|---------------|-----------|
| I ჩემგან | ჩვენგან |
| II შენგან | თქვენგან |
| III [ი]მისგან | [ი]მათგან |

აგრეთვე: ყველასგან, თითოეულისგან.

მაგ., თქვენგან არ ველოდი ასეთ მობილიზებულ მოქმედებას.

ბ.

-გან გამოიყენეთ მაშინაც, როცა არსებითი სახელი, რომელსაც ის დაერთვის, რაიმე მასალაა.

მაგ., რეზინი → ლახტს რეზინისგან ამზადებენ.

გ.

-გან დაერთვის პროფესიის გამომხატველ სიტყვებსაც.

მაგ., დანტისტი, ექოსკოპისტი → ექოსკოპისტისგან კმაყოფილი წამოვედი.

2.12. წერა:

იმსჯელეთ საკითხებები: როგორ მოვიქცე, თუკი ადამიანს ცხვირიდან დიღი
რაოდენობით სისხლი მოსდის?

2.13. ეს უნდა იცოდეთ!

სისხლის ჭგუფები

მე20- საუკუნიდან სისხლის გადასხმის მეთოდის სამკურნალოდ იყენებენ. კარლ ლანდშტეინერმა 1901 წელს გამოაქვეყნა შრომა, რომელშიაც აღწერილი იყო ადამიანის სისხლის სამი ძირითადი ჭგუფი. 1 წლის შემდეგ სამ ჭგუფს დაემატა მეოთხეც, რომელიც ლანდშტეინერის სტუდენტებმა აღმოაჩინეს. სისხლის ჭგუფები ერთმანეთისგან განსხვავდება ანტიგენების შემცველობით.

I ჭგუფი – არ შეიცავს ანტიგენებს;

II ჭგუფი – შეიცავს A ანტიგენს;

III ჭგუფი – შეიცავს B ანტიგენს;


IV ჯგუფი - შეიცავს AB ანტიგენს.

მსოფლიოს მოსახლეობის უდიდეს ნაწილს I და II ჯგუფის სისხლი აქვს.

მოგვიანებით ლანდშტეინერის ლაბორატორიაში დადგინდა, რომ ადამიანის სისხლი შეიცავს კიდევ ერთ ანტიგენს, რომელიც უმნიშვნელოვანესი კომპონენტია სისხლის გადასხმის დროს. ეს არის ე.წ. რეზუსი, ანუ D ანტიგენი. ეს სახელი მას ეწოდა მავაკა რეზუსების (მაიმუნების) პატივსაცემად, რომლებზედაც ტარდებოდა ეს ექსპერიმენტი. მოსახლეობის უდიდეს ნაწილს აქვს რეზუსი, ხოლო დაახლოებით 15% რეზუს უარყოფითია. სისხლის ჯგუფიცა და რეზუსიც მემკვიდრეობით გადადის.

III ნაწილი დამწვრობა და მოყინვა

3.1. მოსამზადებელი სამუშაო:



სურ. 1 დამწვრობა



სურ. 2 მოყინვა

უპასუხეთ შემდეგ კითხვებს!

1. რას ვხედავთ ილუსტრაციებზე?
2. მიგიღიათ თუ არა დამწვრობა და როგორ მოქცეულხართ ასეთ შემთხვევაში?
3. როგორ იქცევით მოყინვის შემთხვევაში?

3.2. ტექსტი:

დამწვრობა ეს არის კანის ლორწოვანი გარსისა და ქსოვილის დაზიანება, რომელსაც იწვევს მაღალი ან ძალზედ დაბალი ტემპერატურის, ელექტრობის, ქიმიური ნივთიერებების, ხახუნის ან გამოსხივების ზემოქმედება. დამწვრობათა უმეტესობა გამოწვეულია ცხელი სითხეებით, გახურებული საგნებითა და ხანძრით. დაზიანების სიღრმის მიხედვით განარჩევენ ოთხი ხარისხის დამწვრობას.

I ხარისხი – კანი წითლდება, ზიანდება მისი ზედაპირული შრე, რასაც თან ახლავს შეშუბება და

ტკივილი; 5-10 დღეში კანის მთლიანობა აღდგება.

II ხარისხი – კანი ღრმად ზიანდება, წარმოიქმნება **ქარვისფერი** სითხით სავსე ბუშტუკები (სურ. 1), ხასიათდება ძლიერი ტკივილით. განკურნებას სჭირდება 3-2 კვირა.

III ხარისხი – დაზიანება აღწევს კანის ღრმა შრემდე, ხდება კანის ზედაპირული შრის სრული **ნეკროზი**, თუმცა კანი ინარჩუნებს აღდგენის, რეგენერაციის უნარს; განკურნებისათვის საჭიროა 8-3 კვირა.

III ხარისხი – კანი მთლიანად დამწვარია, ამიტომ მისი აღდგენა ვეღარ ხერხდება. ხასიათდება ნაკლები მტკივნეულობით, პროცესი თავდება **დანაწიბურებით**; განკურნებას რამდენიმე თვე სჭირდება, ზოგჯერ საჭიროა კანის გადანერგვაც.

IV ხარისხი – იწვება კანი, კანქვეშ მდებარე ქსოვილები, ზოგჯერ – ძვალიც. თითქმის უმტკივნეულოა. აუცილებელია დაზიანებული ქსოვილების მოკვეთა, ზოგჯერ კიდურის **ამპუტაციაც**; შეიძლება დამთავრდეს სიკვდილით.

დამწვრობის სიმძიმე დამოკიდებულია როგორც მის ხარისხზე, ასევე დამწვრობის ფართზეც.

მოყინვა არის დაბალი ტემპერატურის გემოქმედებით განვითარებული ქსოვილების დაზიანება. მას ხშირად თან ახლავს ორგანიზმის ზოგადი **გადაციებაც**. მოყინვის დროს ძირითადად სხეულის **წარბიდული** ნაწილები ზიანდება: ყური, ცხვირი, ხელისა და ფეხის თითები. უმეტესად მოყინვა ვითარდება ცივი ზამთრის დროს, როდესაც ტემპერატურა 20-, 10- გრადუსზე ნაკლებია. მოყინვა აზიანებს ქსოვილებს როგორც პირდაპირ, ასევე – არაპირდაპირ. პირდაპირი დაზიანების დროს უჯრედებში ყინულის ნაწილაკები წარმოიქმნება, რაც იწვევს ქსოვილის სიკვდილს. არაპირდაპირი დაზიანება აისახება სხვადასხვა ორგანოს ფუნქციის მოშლაბე. მოყინვის ოთხ ხარისხის განარჩევენ.

როგორც დამწვრობის, ასევე მოყინვის, შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სწორად ორგანიზებულ პირველად სამედიცინო დახმარებას. თვითნებურად არ უნდა გამოიყენოთ ის სამკურნალო საშუალებები, რომლებიც ურთიერთზემოქმედებს.

3.3. ლექსიკა:

ლორწო (ლორწოვანი) – წებოვანი სითხე, რომელსაც გამოყოფს ორგანიზმის ზოგიერთი უჯრედი.

გარსი – საფარი, ფეხა, რითაც გარშემორტყმულია რაიმე სხეული.

ქსოვილი – ორგანიზმი აგებულებითა და ფუნქციით მსგავსი უჯრედების ერთობლიობა.

ელექტრობა – პროცესი, რომლის დროსაც ხდება ელექტროენერგიის მიღება.

ხახუნი – მყარი სხეულების ურთიერთქმედების პროცესი.

შრე – ზოლად დაფენილი ერთგვაროვანი მასა, ფენა.

ქარვა (ქარვისფერი) – ყვითელი ფერის ქვა.

ნეკროზი – უჯრედის, ქსოვილის ან ორგანოს კვდომა, როდესაც ორგანიზმი განაგრძობს სიცოცხლეს.

დანაწიბურება – ქსოვილში მიღინარე პროცესი, რომელიც მთავრდება ნაწიბურის წარმოქმნით.

ამპუტაცია – ქირურგიული ოპერაცია, სხეულის გარეგანი ნაწილის სრული ან ნაწილობრივი მოკვეთა.

გადაციება – სხეულის ტემპერატურის 30 გრადუსზე ქვემოთ დაცემა.

წარბიდული – გამოწეული, ამობურცული.

3.4. ტექსტის გააზრება:

1. რა არის დამწვრობა?

2. რა იწვევს დამწვრობას?

3. როგორ ხასიათდება | და || ხარისხის დამწვრობა?

4. რამდენი ხანია საჭირო III ხარისხის დამწვრობის დროს განკურნებისთვის ?

მელიშვილი

5. რა უარყოფითი შედეგით შეიძლება დასრულდეს |V ხარისხის დამწერობა?
 6. რაზეა დამოკიდებული დამწერობის სიმძიმე?
 7. რა არის მოყინვა?
 8. რას ექცევა გადამწყვეტი მნიშვნელობა დამწერობისა და მოყინვის დროს?

სინონიმები	ანტონიმები
ხანგრძლივად — დიდხანს გადამწყვეტი — მთავარი შეშუბება — შესივება	უმეტესობა — უმცირესობა გახურებული — გაციებული ორმად — ზედაპირულად უმტკივნეულო — მტკივნეული შეუხორცებელი — შეხორცებული გაუხეშებული — რბილი



დაიმახსოვრეთ!

5.

ურთიერთ როგორც სიტყვებს ქმნის და გულისხმობს ერთმანეთთან
დაკავშირებულ ორ ან მეტ მხარეს.
მაგ., ეს სამკურნალო საშუალებები არ ურთიერთზემოქმედებს.

8

პირდაპირ – უშუალოდ; ან: დაუფარავად, გარკვევით; ან: მოპირდაპირე მხარეს;
პირისპირ – იგივეა, რაც: პირდაპირ, ანუ საწინააღმდეგო მხარეს.
 მაგ., მოყინვა აზიანებს ქსოვილებს როგორც პირდაპირ, ასევე – არაპირდაპირ.
 კანდაცვის მინისტრმა პირდაპირ განუცხადა პროტესტი პრემიერ მინისტრს.
 პრობლემის პირისპირ მდგარმა მცცნიერებმა ახალი გზების ძიება დაიწყეს.

- ა. პირდაპირ → დაპირისპირებს (რას იზამს?) → დაპირისპირება (რა?)
- ბ. პირდაპირ → საპირისპირო [აზრი]

3.

ჩემ პირდაპირ ჩვენ პირდაპირ
შენ პირდაპირ თქვენ პირდაპირ
[ი]მის პირდაპირ [ი]მათ პირდაპირ
მაგრამ: პრობლემის პირისპირ
მოწინააღმდეგის პირისპირ

3.5. შეარჩიოთ და გამოტოვებულ აღვილას წასვით სიტყვები:

იყინება იფარება გადის ხანგრძლივად ძვრება

არსებობს ოთხი სახის მოყინვა:

I ხარისხი – დაბიანება გადაპირულია, პირველად სიმპტომებს მიეკუთვნება მგრძნობელობის გაქრობა, კანის შეშუბება და გაწითლება. დაბიანება რამდენიმე კვირაში

II ხარისხი – კანი ღრმადაა დაბიანებული, წარმოიქმნება ქარვისფერი სითხით სავსე ბუშტუკები, რომლებიც მაღლე მოწითალო ფერის შიგთავსით იცვლება (სურ. 2), რამდენიმე კვირის შემდეგ ბუშტუკები შრება, კანი კი შავდება და

III ხარისხი – როგორც კანი, ასევე – კანქვეშა ქსოვილი. კანი ლურჯდება და სისხლიანი ბუშტუკებით. მტკივნეულია რამდენიმე კვირის მანძილზე. შემდგომ კანი შავდება; მისი მოცილების შემდგომ კი ჩნდება შეუხორცებელი წყლულები.

IV ხარისხი – ზიანდება როგორც კანი, ასევე – კუნთები, მყესები და ძვლები. კანი გაუხეშებულია და გათბობის შემდეგაც კი უმტკივნეულო. ერთი თვის განმავლობაში ის შავდება და შრება.

3.6. წაიკითხეთ დიალოგი და უპასუხეთ კითხვას: რა არ უნდა გააკეთო მძიმე დამწვრობის დროს?

გიორგი: დამწვრობის დროს მნიშვნელოვანია სწორი პირველადი დახმარება. უმთავრეს როლს თამაშობს თვით და ურთიერთდახმარება.

მანანა: როგორ უნდა დავეხმარო საკუთარ თავს ან დაბარალებულს?

გიორგი: უპირველესად დამწვრობის გამომწვევი ფაქტორი უნდა შეაჩერო; დაბარალებული უნდა მოაცილო დამწვრობის წყაროს.

მანანა: დაბიანებას რა უნდა ვუშველო?

გიორგი: დაბიანებული უბანი 30 წელის განმავლობაში ცივი გამდინარე წყლით უნდა გააცივო. გაყინული წყლის გამოყენება არ შეიძლება. უფრო დაამძიმებს პროცესის მიმდინარეობას.

მანანა: ზემოდან რა წავუსვა, ზეთი?

გიორგი: დაუშვებელია რაიმეს წასმა. სულ ტყუილია, რომ ზეთი ან არაუანი შველის. პირიქით. ექიმს მოუწევს დადებული ცხიმის ჩამოფხევა და დამატებით სატანჯველი შეექმნება ავადმყოფს.

მანანა: დამწვარი ტანსაცმლის ნაწილებიც არ მოვაცილო?

გიორგი: ესეც დამატებითი დამაბიანებელი ფაქტორია დამწვარი კანისათვის.

3.7. წაიკითხეთ დიალოგი და უპასუხეთ კითხვას: როგორ მოვიქცე მოყინვის დროს?

მანანა: მოყინვის დროს როგორ უნდა აღმოვუჩინო საკუთარ თავს დახმარება?

გიორგი: უპირველესად თბილ გარემოში უნდა მოხვდე. ხელები შეგიძია იღლიაში გაითბო! მოყინულ ცხვირზე, ლოყებსა და ყურებზე თბილი და მშრალი ხელთათმანები დაიდე!

მანანა: გაყინული ადგილები არ დავიზილო?

გიორგი: არავითარ შემთხვევაში; უბრალოდ თბილი ქსოვილით შეიხვიე.

მანანა: თუ მგრძნობელობა მაინც არ აღდგა?

გიორგი: ექიმს მიმართე. თუ ეს შეუძლებელია უახლოესი დროის მანძილზე, მოყინული ხელები ან ფეხები გაითბე თბილ და არა ცხელ წყალში.

მანანა: თუ წყალი საერთოდ არა მაქვს?

გიორგი: მოყინული ადგილების გათბობა შესაძლებელია ხელითაც და გამთბარი ქსოვილითაც.

3.8. მოცემული გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:

N	გუშინ	დღეს	ხვალ
1	განარჩია	განარჩევს	განარჩევს
2	ახლდა	ახლავს	ახლდება
3	აღდგა	აღდგება	აღდგება
4	გამოიწვია	იწვევს	გამოიწვევს



3.9. მოსმენა

დიალოგი თემაზე: ინტერვიუ დამწერლობის ცენტრის დირექტორთან

3.10. მოსმინეთ ჩანაწერი, სწორი პასუხი აღნიშნეთ ✓ სიმბოლოთი:

გაფხულში კლინიკას ყველაზე ხშირად გარუკვის მსურველები აკითხავენ, რომლებმაც მზებე ძლიერი დამწერლობა მიიღეს.	
პაციენტების უმეტესობა ასაკოვანია.	
გარუკვის დროს ადვილად შესაძლებელია მეოთხე ხარისხის დამწერლობის მიღება.	
სიცივის გამო დამწერლობა ხშირი არ არის.	

3.11. მოსმენილი მასალის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს:

- რა მდგომარეობაა დამწერლობის ცენტრში გაფხულის პერიოდში?
- რა არის დამწერლობის ყველაზე ხშირი მიზეზი გაფხულში?
- სულ რამდენი ხარისხის დამწერლობა არსებობს?
- 4-რა შემთხვევაში (რამდენ გრადუსზე) უნდა ერიდოს მოსახლეობა მზეს?

3.12. მოსმენილი მასალის მიხედვით დაასახელეთ სამი მნიშვნელოვანი ინფორმაცია:

- _____
- _____
- _____

3.13. საპრეზენტაციო თემა:

როგორ ავირიდოთ მზის დამწერლობა ჩაფხულში?

პირში წყალი დაიგუბა — გაჩუმდა, აღარათერი თქვა.
მაგ., პირში წყალი დავიგუბე, ეს ამბავი ვინმეს რომ არ გაეგო.

ხმა გაკმინდა — გაჩუმდა, აღარაფერი თქვა, მისი ხმა შეწყდა.
ხმა მისცა — ვიღაც ან რაღაც აირჩია.
სიტყვა პირზე შეაშრა — უეცრად ვეღარაფერი თქვა (რაიმე განცდის გამო, მაგ., შიშით, გაოცებით...).

3.14. წერა:

იმსჯელეთ საკითხები: როგორ ვმკურნალობთ ოჯახში | ხარისხის დამწერობასა და მოყინვას? (იყენებთ თუ არა ხალხური მედიცინის საშუალებებს?)

3.15. გავითვალისწინოთ!

- თავდაპირველად დახმარება უნდა აღმოვუჩინოთ იმ პაციენტებს, რომლებიც უგონო მდგომარეობის ან შოკის გამო ხმას ვერ იღებენ და არა მათ, ვინც ყველაზე ხმამაღლა ყვირის და დახმარებას ითხოვს.
- მიუხედავად მოყინვის შემთხვევისა, ტრანსპორტირებამდე უნდა დადგინდეს, არის თუ არა მოტეხილობა, ამოვარდნილობა, გამავალია თუ არა სასუნთქი გზები და სხვ.
- მოყინვის თავიდან ასაცილებლად მუდმივად თან ვატაროთ ადექვატური ტანსაცმელი და თავსაბურავი; არ ჩავიცვათ მოჭერილი ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, არ დავლიოთ განსაკუთრებით ცივი წყალი, რაც უფრო მგრძნობიარეს ხდის ადამიანს მოყინვისადმი; თავი ავარიდოთ 15-გრადუსზე დაბალ ტემპერატურას; არ გამოვიყენოთ ალკოჰოლი, ნარკოტიკები ან სხვა მედიკამენტები, რომლებიც არღვევენ სისხლის მიმოქცევას და ასუსტებენ ორგანიზმის იმუნიტეტს;

ლექსიკა:

- ადაპტირება** — აქ: ორგანიზმის შეგუება გარემო პირობებთან არსებობის შესანარჩუნებლად.
- ამპუტაცია** — ქირურგიული ოპერაცია, სხეულის გარეგანი ნაწილის სრული ან ნაწილობრივი მოკვეთა.
- არტერია** — სისხლძარღვი, რომელიც გულიდან სისხლს აწვდის სხეულის ყველა ორგანოს.
- არტერიული სისხლდენა** — არტერიის დაბიანებით გამოწეული სისხლდენა.
- გადაციება** — სხეულის ტემპერატურის 30 გრადუსზე ქვემოთ დაცემა.
- გამავლობა** — უნარი, გაატაროს რაიმე.
- გარსი** — საფარი, ფენა, რითაც გარშემორტყმულია რაიმე სხეული.
- დანაწილება** — ქსოვილში მიდინარე პროცესი, რომელიც მთავრდება ნაწილურის წარმოქმნით.
- დეფიდრილაცია** — გულის კუნთის ნორმალური რითმის აღდგენა (მექანიკური დარტყმით ან მაღალი ძაბვის ელექტრული დენის გატარებით).
- ელექტრობა** — პროცესი, რომლის დროსაც ხდება ელექტროენერგიის მიღება.
- ვენური სისხლდენა** — ვენის დაბიანებით გამოწვეული სისხლდენა.
- ზეწოლა** — აქ: ხელის ან თითოს დაჭერა.
- ზოგადსაგანმანათლებლო სისტემა** — 12-წლიანი განათლების სისტემა; მოიცავს დაწყებით, საბაზისო და საშუალო განათლებას.

კაპილარული სისხლდენა — კაპილარების დაზიანებით გამოწვეული სისხლდენა.

ლახტი — სისხლდენის შემაჩერებელი რეზინის ელასტიკური მილი.

ლორწო (ლორწოვანი) — წებოვანი სითხე, რომელსაც გამოყოფს ორგანიზმის ზოგიერთი უჯრედი.

ნეკროზი — უჯრედის, ქსოვილის ან ორგანოს კვდომა, როდესაც ორგანიზმი განაგრძობს სიცოცხლეს.

პარენქიმული სისხლდენა — გამოწვეული პარენქიმული ორგანოების დაზიანებით.

პრინციპი — აქ: წესი, რომელიც განსაზღვრავს ქცევასა და მოქმედებას.

პროთეზიტება — ხელოვნური ნაწილის მორგება დავარგული ბუნებრივი ორგანოს ნაცვლად.

ჟონავს — ცოტ-ცოტა გამოდის, მცირე რაოდენობით იპარება (მაგ., გაზი, ნავთობი, წყალი, სისხლი, ინფორმაცია და ა.შ.).

სასუნთქი გზები — გზა, რომელსაც პარენი გადის ჩასუნთქვიდან ფილტვებამდე.

სისხლის ცირკულაცია — სისხლის მოძრაობა, მიმოქცევა.

სტრესი — ორგანიზმის დაძაბულობა, რომელიც რთული სიტუაციის საბასუხოდ წარმოიშობა.

ფატალური — საბედისწერო, რასაც ვერ აიცდენ, გარდაუვალი.

ფსიქიკური ჯანმრთელობა — ორგანიზმის უნარი, გაუმკლავდეს ცხოვრების თანამდევ სტრესებს, ადაპტირდეს სოციალურ გარემოში.

ქარვა (ქარვისფერი) — ყვითელი ფერის ქვა.

ქსოვილი — ორგანიზმში აგებულებითა და ფუნქციით მსგავსი უჯრედების ერთობლიობა.

ღრუ — სივრცე ადამიანისა და ცხოველის ორგანიზმში, სადაც შინაგანი ორგანოებია მოთავსებული.

შრე — ზოლად დაფენილი ერთგვაროვანი მასა, ფენა.

ჩაიღვაროს — სითხე ჩაისხას, ჩაიქცეს (რამეში).

ცირკულაცია — წრიული მოძრაობა, ბრუნვა.

წარბილული — გამოწვეული, ამობურცული.

ხახუნი — მყარი სხეულების ურთიერთქმედების პროცესი.

ხელოვნური სუნთქვა — ბუნებრივი სუნთქვის დარღვევის ან შეწყვეტის დროს სასუნთქმების პარენის ან უანგბადის შეყვანა ხელოვნურად.

ჰემოსტაზური — სისხლდენის შემაჩერებელი.

8მნები:

N	ახლანდელი	წარსული	მომავალი	მომავალი + უნდა	თურმეობითი	საწყისი
	რას შვრება?	რას შვრებოდა?	რა ქნა?	რა იჩამს?	რა უნდა ქნას?	რა უქნია?
1.	აღდგება	აღდგებოდა	აღდგა	აღდგება	აღდგეს	აღმდგარა
2.	აღმოაჩენს	აღმოაჩენდა	აღმოაჩინა	აღმოაჩენს	აღმოაჩინოს	აღმოუჩენია
3.	ახლავს	ახლდა	ახლდა	ახლდება	ახლდეს	ხლებია
4.	განარჩევს	განარჩევდა	განარჩია	განარჩევს	განარჩიოს	განურჩევია
5.	გულისსმობს	გულისსმობდა	იგულისსმა	იგულისსმებს	იგულისსმოს	უგულისსმია
6.	იზრდებით	იზრდებოდა	გაიზარდა	გაიზრდება	გაიზარდოს	გაზრდილა
7.	იკარგება	იკარგებოდა	დაიკარგა	დაიკარგება	დაიკარგოს	დაკარგულა
8.	იღვრება	იღვრებოდა	დაიღვარა	დაიღვრება	დაიღვაროს	დაღვრილა
9.	იწვევს	იწვევდა	გამოიწვია	გამოიწვევს	გამოიწვიოს	გამოუწვევია
10.	მოედინება	მოედინებოდა	მოედინა	მოედინება	მოედინოს	მოდინებულა
11.	ბულსირებს	ბულსირებდა	იბულსირა	იბულსირებს	იბულსიროს	ბულსირებულა
12.	ხორციელდება	ხორციელდებოდა	განხორციელდა	განხორციელდება	განხორციელდეს	განხორციელებულა


VI თავი რეანიმაციის ზოგადი საკითხები

I ნაწილი გულის გაჩერება და გულის დახურული მასაზი

1.1. მოსამზადებელი სამუშაო:



სურ.1



სურ.2

• უპასუხეთ შემდეგ კითხვებს!

1. რას ვხედავთ ილუსტრაციებზე?
2. გინახავთ თუ არა, როგორ უტარდებათ ავადმყოფებს გულის არაპირდაპირი მასაჟი?
3. იცით თუ არა, როგორ კეთდება გულის არაპირდაპირი მასაჟი?

1.2. ტექსტი:

გულის გაჩერება არის გულის ფუნქციის მოშლით გამოწვეული **სისხლის მიმოქცევის** უცარი შეწყვეტა. მას ახასიათებს გონების დაკარგვა, ზერელე სუნთქვა ან სუნთქვის გაჩერება. ზოგჯერ გულის გაჩერებას წინ უსწრებს ძლიერი ან **მოვლითი ტკივილი** გულმკერდის არეში, სუნთქვის გაძნელება ან გულისრევა. თუ ადამიანს რამდენიმე წუთში არ აღმოვუჩენთ პირველად დახმარებას, გულის გაჩერებას მოჰყება სიკვდილი.

გულის გაჩერების ერთ-ერთი ხშირი მიზეზი გულის **გვირგვინოვანი (კორონალური)** არტერიების დაავადებებია. უფრო იშვიათად **ამგვარი რამ შეიძლება** გამოიწვიოს სისხლის დიდი რაოდენობით დაკარგვამ, უანგბადის ნაკლებობამ, სისხლში კალიუმის **იონების** დაბალმა კონცენტრაციამ, ან მძიმე და ინტენსიურმა ფიბიკურმა ვარჯიშმა. გულის გაჩერების დროს თავდაპირველად **პარკუჭების ფიბრილაცია** ვითარდება. დიაგნოზი დგინდება პულსის არარსებობით.

პროფილაქტიკისათვის აუცილებელია სიგარეტის მოწვევაზე უარის თქმა, ფიტიკური აქტივობა და წონის კონტროლი. გულის გაჩერების შემთხვევაში კი დაუყოვნებლივ უნდა ჩატარდეს გულ-ფილტვის რეანიმაცია (სურ.1), ხოლო პარკუჭების ფიბრილაციის დროს - **დეფიბრილაცია** (სურ.2).

სისხლის მიმოქცევა შეგვიძლია აღვადგინოთ გულის არაპირდაპირი მასაჟის დახმარებით, გულმკერდზე ზეწოლით (სურ.1). ამ დროს გული იგუმშება და ხდება სისხლის გადასვლა **სისხლძარღვებში**. რითმული ზეწოლა გულის შეკუმშვის იმიტაციაა, რის შედეგადაც აღდგება

მედიცინა

სისხლის მიმოქცევა. ასეთ მასაჟს არაპირდაპირი ეწოდება იმიტომ, რომ მაშველი აწვება მკერდის ძვალს და ისე იწვევს გულის შეკუმშვას. გულის არაპირდაპირი მასაჟის სწორად წარმართვისათვის აუცილებელია პაციენტი იწვეს ზურგზე, მაგარ ზედაპირზე და არა რბილ საწოლში. თუ პაციენტი საწოლშია, ის აუცილებლად უნდა გადმოვაწვინოთ იატავზე. მაშველი დგას ან დაჩოქილია პაციენტის გვერდით, ერთ ხელისგულს ადებს მკერდის ძვლის ქვემო მესამედზე ისე, რომ ხელი იყოს მკერდის ძვლის პერპენდიკულარული; მეორე ხელისგული თავსდება პირველზე და მაშველი აწვება მკერდის ძვალს მთელი სიმძიმით. უნდა გვახსოვდეს, რომ ამ დროს გულმკერდი უნდა შეიკუმშოს 5 სმ-ზე მაინც (მობრდილი ადამიანის შემთხვევაში). ზეწოლის რაოდენობა უნდა იყოს 120-100 წუთში. ასევე უნდა გვახსოვდეს, რომ გულის არაპირდაპირ მასაჟს თან უნდა ახლდეს ხელოვნური სუნთქვაც. ეს ყოველივე ხორციელდება ერთდროულად მანამ, სანამ არ მოვა სასწრაფო დახმარების მანქანა, ან არ დადგება ბიოლოგიური სიკვდილი. ღონისძიებების ასეთ კომპლექსს ეწოდება გულ-ფილტვის რეანიმაცია.



სურ.3

ბავშვებში გულის არაპირდაპირი მასაჟი ხორციელდება ერთი ხელით, ხოლო **ჩვილებში** ორი თითოთ (სურ.3). განსაკუთრებით ფრთხილად უნდა გავაკეთოთ გულის არაპირდაპირი მასაჟი ბავშვებსა და მოხუცებში, რათა არ გამოვიწვიოთ ნეკნების მოტეხილობა, გულმკერდის ან მუცლის ღრუს ორგანოების დაზიანება.

გულის არაპირდაპირი მასაჟი ეფექტურადაა **ჩატარებული**, თუკი **საძილე არტერიაზე** პულსაცია აღდგა, არტერიულმა **წნევამ** 60-80 მმ-მდე აიწია, თვალის გუგებმა სინათლეზე რეაგირება დაიწყეს, პაციენტს სახეზე მკვდრის ფერი გაუქრა და დამოუკიდებლად შეძლო სუნთქვა.

გარდა არაპირდაპირი მასაჟისა, არსებობს გულის პირდაპირი მასაჟიც, რომელსაც ახორციელებს ქირურგი საოპერაციო მაგიდაზე გულმკერდის ღრუს გახსნის შემდეგ პირდაპირ ხელით.

1.3. ლექსიკა:

სისხლის მიმოქცევა — ორგანიზმში სისხლის მოძრაობა სისხლძარღვების საშუალებით.

მოვლითი ტკივილი — დროის გარკვეულ პერიოდში განმეორებული შეტევითი ხასიათის ტკივილი.

გვირგვინოვანი (კორონალური) — არტერიების ტიპის სახელწოდება.

იონი — ელექტრულად დამუხტებული ატომი.

პარკუჭი — აქ: გულის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი.

ფიბრილაცია — გულის ციმციმი, თრთოლა.

დეფიბრილაცია — გულის კუნთის ფიბრილაციის შეწყვეტა და ნორმალური რითმის აღდგენა.

სისხლძარღვები — ადამიანისა და ცხოველის სხეულში ელასტიკური მილები, რომლებშიც მოძრაობს სისხლი.

ჩვილი — ახლადდაბადებული, პატარა ბავშვი.

საძილე არტერია — ადამიანისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის წყვილი სისხლძარღვი.

წნევა — ფიზიკური სიდიდე, ფართობის ერთეულზე მოქმედი ძალა.

არტერიული წნევა — ძალა, რომელიც არტერიის კედლებს აწვება.

1.4. ტექსტის გააზრება:

- რა არის გულის გაჩერება? რა ახასიათებს მას?
- რა არის გულის გაჩერების მიზეზები?
- რა პროფილაქტიკურ ღონისძიებებს უნდა მივმართოთ გულის გაჩერების თავიდან ასაცილებლად?
- როგორ ტარდება გულის არაპირდაპირი მასაჟი?
- როგორ ტარდება გულის არაპირდაპირი მასაჟი ბავშვებსა და ჩვილებში?

სინონიმები	ანტონიმები
უცარი — მოულოდნელი შეწყვეტა — გაჩერება გონების დაკარგვა — გულის წასვლა გულისრევა — პირდებინება ინტენსიური — გაძლიერებული დიაგნოზის დადგენა — დიაგნოზის დასმა დაუყოვნებლივ — მაშინვე იმიტაცია — მიმსგავსება გახსნა (მედ.) — გაკვეთა, გაჭრა	პირდაპირი — არაპირდაპირი გაძნელება — გაადვილება, გაიოლება ნაკლებობა — მეტობა თავდაპირველად — საბოლოოდ არსებობა — არარსებობა აქტივობა — პასივობა სწორად — მცდარად პერპენდიკულარული — ჰორიზონტალური მოხუცი — ჩვილი დამოუკიდებელი — დამოკიდებული

ა.

რას იზამს?
 ის გულის არაპირდაპირ მასაჟს ჩატარებს.
როგორი?
 ჩატარებული მასაჟი ეფექტური გამოდგა.

ბ.

ამნაირი, ამგვარი, ამისთანა სინონიმების. ისინი მიგვითითებს მსგავს საგნებზე და დაესმის კითხვა: როგორი?
 მაგ., ამისთანა მასაჟი არასდროს გამიგეთებია.
 მაგნაირი რამ მეც დამემართა.



დაიმახსოვრეთ!

ამ- უჩვენებს, რომ საგანი | პირთან არის ახლოს;
 მაგ- გამოხატავს || პირთან სიახლოვეს;
 იმ - III პირთან მდგომ საგნებს აღნიშნავს.

I	II	III
ამნაირი	მაგნაირი	იმნაირი
ამგვარი	მაგგვარი	იმგვარი
ამისთანა	მაგისთანა	იმისთანა

გ.

რა? კუმშვა, მოვლა როგორი? კუმშვითი, მოვლითი
მაგ., გულის გაჩერებას წინ შეიძლება უძლოდეს მოვლითი ტკიფილი გულის არეში.

ასეთივე ფორმებია: **მამრობითი, მდედრობითი**
მაგ., გულის გვირგვინოვანი არტერიების დაავადებები ხშირია როგორც
მდედრობითი, ასევე მამრობითი სქესის აღამიანებში.

სახ.	მოვლითი	ტკიფილები
მოთხ.	მოვლითმა	ტკიფილებმა
მიც.	მოვლით	ტკიფილებს
		და სხვ.

1.5. წაიკითხეთ დიალოგი და დაასრულეთ:

გია: კარდეოლოგებისგან სულ ფიბრილაცია და დეფიბრილაცია მესმის. რას ნიშნავს?

თამარი: აგიხსნა?

გია: აბა რა!

თამარი: მაშინ ბოლომდე უნდა მომისმინო. გულის კუნთი შედგება უნიკალური უჯრედებისაგან, რომლებსაც აქვთ შეკუმშვის უნარი. შეკუმშვა რეგულირდება სიგნალით. სწორედ ამიტომ ეს უჯრედები სინქრონულად იკუმშებიან. თუ რითმი დაირღვა რაიმე მიზეზის გამო, ისინი შეუთანხმებლად იწყებენ შეკუმშვას.

გია: ხომ მაინც იკუმშებიან და ეს გულზე აისახება?

თამარი: რა თქმა უნდა, სინქრონული მუშაობა რომ ირღვევა, აღარ ხდება პარკუჭების შეკუმშვა და სისხლი

გაიხსენეთ!



რა დროიდან რა დრომდე? // როდიდან როდემდე?
პირველიდან ორამდე — იგივეა, რაც: პირველი საათიდან ორ საათამდე.

რა ადგილიდან რა ადგილამდე? // საიდან სადამდე?

გულის დახურული მასაჟი იწყება დაუყოვნებლივ გულის გაჩერებიდან და გრძელდება სასწრაფოს მოსვლამდე.

1.6. წაიკითხეთ დიალოგი და დაასრულეთ:

გია: და დეფიბრილაცია რაღა არის?

თამარი: დეფიბრილაცია ღონისძიებების კომპლექსია, რომლის მიზანია გულის ნორმალური კუმშვითი ფუნქციის აღდგენა.

გია: და თავად აღდგენა როგორ ხდება?

თამარი: ის შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა მედიკამენტით ან სპეციალური დეფიბრილატორებით, რომლებშიც მაღალი ელექტრული ძაბვაა (სურ.2).

გია: დეფიბრილაცია შედის გულ-ფილტვის რეანიმაციულ ღონისძიებათა კომპლექსში?

თამარი: რა თქმა უნდა შედის და ხორციელდება მხოლოდ და მხოლოდ..... მიერ.

1.7. მოცემული გენების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:

N	გეშინ	დღეს	ხვალ
1	დადგინდა	დგინდება	დადგინდება
2	შეიკუმშა	იკუმშება	შეიკუმშება
3	დააწვა	აწვება	დააწვება
4	მოთავსდა	თავსდება	მოთავსდება
	წარიმართა	იმართება	წარიმართება



1.8. მოსმენა

დიალოგი თემაზე: რა სარგებლობა მოაქვს ვარჯიშს?

1.9. მოისმინეთ ჩანაწერი, სწორი პასუხი აღნიშნეთ ✓ სიმბოლოთი:

გულის გაჩერება ზოგჯერ ცხოვრების არაჭანსაღი წესის შედეგია.	
თემური ბევრ ალკოჰოლურ სასმელს სვამდა და ამიტომაც გაუჩერდა გული.	
თემური ჯანმრთელად იკვებება, მაგრამ სიგარეტს ისევ ეწევა.	
დიდმა დატვირთვამ ვარჯიშის დროს შეიძლება გულის გაჩერება გამოიწვიოს.	

1.10. მოსმენილი მასალის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს:

- რატომ დაიწყო თემურმა ვარჯიში?
- დღეში რამდენჯერ ვარჯიშობს თემური?
- რომელ დღეს ისვენებს ის?
- სად ვარჯიშობს თემური?

1.11. მოსმენილი მასალის მიხედვით დაასახელეთ სამი მნიშვნელოვანი ინფორმაცია:

1. _____
2. _____
3. _____

1.12. საპრეზენტაციო თემა:

როგორ ავირიდოთ თავიდან გულის დაავადებები?

1.13. თემატური გამონათქვამი:

„გული გამიჩერდა“ – ძალიან ავღელდი

1.15. წერა:

თემატური გამონათქვამის მიხედვით იმსჯელეთ საკითხები: როდის „მიჩერდება გული“?



ეს საინტერესოა!

პირველად ისტორიაში „ადამიანიდან ადამიანში“ გულის გადანერგვა განახორციელა სამხრეთ აფრიკელმა კარდიოქირურგმა კრისტიან ბარნარდმა. მან 1967 წლის 3 დეკემბერს კეიპტაუნის ჰოსპიტალში პაციენტს გადაუნერგა დონორის გული. ეს იყო ორგანოს გადანერგვის პირველი წარმატებული ოპერაცია. პაციენტმა იცოცხლა 18 დღე; მისი გარდაცვალების მიზეზი ფილტვების ანთება გახდა. 1967 წლის 6 დეკემბერს ნიუ-იორკში ადრიან კანტროვიცმა განახორციელა გულის გადანერგვის ოპერაცია ბავშვებში. ამ ოპერაციებმა სათავე დაუდო ორგანოების, მათ შორის გულის, გადანერგვას. დღეისათვის მთელ მსოფლიოში ყოველწლიურად დაახლოებით 3500 გულის გადანერგვის ოპერაცია სრულდება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაახლოებით 000 800 ადამიანს სჭირდება გადანერგვა გულის სხვადასხვა მძიმე დაავადების გამო.

II ნაწილი ხელოვნური სუნთქვა

2.1. მოსამზადებელი სამუშაო:




სურ. 1



სურ. 2



სურ. 3



სურ. 4

• უპასუხეთ შემდეგ კითხვებს!

- რას ვხედავთ ილუსტრაციებზე?
- გინახავთ თუ არა მე2- სურათზე გამოსახული ნიღბები, ან მათი გამოყენებით ჩატარებული ხელოვნური სუნთქვის პროცესი?
- თქვენი აზრით, რა პროცესია გამოსახული მე3- და მე4- სურათებზე?

2.2. ტექსტი:

ხელოვნური სუნთქვა ეწოდება სასუნთქ გზებში ხელოვნური გზით ჰაერის ან ჟანგბადის შეყვანას ბუნებრივი სუნთქვის **დარღვევის** ან შეწყვეტის დროს. ფილტვების ბუნებრივი ვენტილაციის დარღვევის მიზეზი შეიძლება იყოს განვითარებით და ავადება ან **მოხრჩობა**. ასეთ შემთხვევებში მიმართავენ ხელოვნურ სუნთქვას, რომელიც გულ-ფილტვის რეანიმაციის ძირითადი შემადგენელი ნაწილია გულის დახურულ მასაუთან ერთად.

ხელოვნური სუნთქვა შეიძლება განხორციელდეს ორი ძირითადი გზით: 1. **მანუალური მეთოდით**: „პირით პირში“, „პირით ცხვირში“, „პირით პირში და ცხვირში“, „პირით ნიღაბში“, როდესაც დაზიანებულის სახეზე თავსდება სპეციალური ნიღაბი და ჩასუნთქვა ხორციელდება ამ ნიღაბის დახმარებით; 2. **მექანიკური მეთოდებით**, რომელთაც ახორციელებს სპეციალურად განსწავლული სამედიცინო პერსონალი. არსებობს სხვადასხვა მექანიკური მეთოდი: 1) ერთ-ერთია სახეზე ნიღაბის მოთავსება და მისი მეშვეობით ჰაერის მიწოდება მაღალი წნევით; 2) „**ინვაზიური**“ მეთოდის დროს ხდება **ენდოტრაქეული ინტუბაცია**, მიღლის შეყვანა სასუნთქ გზებში პირიდან ან ცხვირიდან. ტრაქეის ინტუბაცია ძირითადად გამოიყენება ხანმოკლე მექანიკური ვენტილაციის მიზნით. ტრაქეული

მედიცინა

მიღები იწვევენ ტკივილსა და ხველას, ამიტომ ენდოტრაქეულ მიღთან შესაგუებლად აუცილებელია სპეციალური სედატიური პრეპარატების ინექცია. 3) ექსტრემალურ სიტუაციებში ზოგჯერ კონიოტომიას მიმართავენ, რომლის დროსაც ხდება ტრაქეაში მემბრანის გაჩევლების გზით სასუნთქი მიღის შეყვანა. ამ მეთოდით ტრაქეაში ჰაერის შეყვანას მიმართავენ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც **ხახა** მთლიანადაა დახშული, ან ყბა-სახეზე აღინიშნება მძიმე და მრავლობითი დაზიანებები. 4) მძიმე პაციენტებში, რომლებსაც ხანგრძლივად სჭირდებათ ხელოვნური სუნთქვა, მიმართავენ **ტრაქეოსტომიას**, რომლის დროსაც კისრის წინა ბედაპირზე გატარებული **განაკვეთით** ტრაქეაში თავსდება სპეციალური მიღი. ტრაქეოსტომიული მიღთით ასევე ხანგრძლივად სარგებლობენ პაციენტები, რომლებიც იმყოფებიან ბუნებრივ სუნთქვაზე, მაგრამ დაზიანებული ან ნაოპერაციევი აქვთ ზემო სასუნთქი გზები, რაც შეუძლებელს ხდის ჰაერის მოხვედრას ფილტვებში ცხვირიდან და პირიდან.

პირველადი დახმარების დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დროულად დაიწყოს ხელოვნური სუნთქვა გულის დახურულ მასაჟთან ერთად. ამიტომ ხელოვნური სუნთქვის მანუალური მეთოდები უნდა ისწავლებოდეს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის ყველა დაწესებულებაში.

2.3. ლექსიკა:

დარღვევა — აქ: მწყობრი რიტმის მოშლა, შეფერხება.

მოხრჩობა — მოგუდვა, სუნთქვის შეწყვეტით გამოწვეული ფატალური შედევი.

მანუალური მეთოდი — ხელით (შეხებით) მკურნალობა.

ინვაზიური — თავდასხმითი.

ენდოტრაქეული — ენდო (ბერძ. შიგნით) — რთული სიტყვის შემადგენელი ნაწილი, აღნიშნავს შინაგანს;

ტრაქეა — სასუნთქი ორგანოების ნაწილი, ქართულად — სასულე.

ინტუბაცია — ხორბში სპეციალური მიღის შეყვანა პირიდან ან ცხვირიდან.

სედატიური — დამაწყნარებელი, ფუნქციური აქტივობის დამაქვეითებელი.

ინექცია — შეშხაპუნება, სამკურნალო ხსნარის შეყვანა შპრიცით.

ექსტრემალური სიტუაცია — აქ: არაორდინალური, განსაკუთრებული (კომა, შოკი, კრუნჩხვა, გულის გაჩერება და ა.შ.)

კონიოტომია — ტრაქეაში მიღის ჩაღგმა მისი გაჩევლების გზით.

მემბრანა — ქსოვილის ნაწილი.

ხახა — პირის ღრუ უკანა ნაწილი.

ტრაქეოსტომია — კისრის წინა ნაწილში განაკვეთის გაკეთება, ტრაქეაში მიღის ჩაღგმა და სუნთქვის აღდგენა.

განაკვეთი — აქ: ჭრილობა, გაკვეთა.

2.4. ტექსტის გააზრება:

1. რას ეწოდება ხელოვნური სუნთქვა? რა შემთხვევაში მიმართავენ მას?
2. რა და რა გზები არსებობს ხელოვნური სუნთქვის ჩასატარებლად?
3. ხელოვნური სუნთქვის რა და რა მექანიკური მეთოდები არსებობს?
4. ვის შეუძლია ხელოვნური სუნთქვის მექანიკური მეთოდების განხორციელება?
5. რით განსხვავდება ერთმანეთისგან კონიოტომია და ტრაქეოსტომია?
6. რა შემთხვევაში მიმართავენ ტრაქეოსტომიას?

სინონიმები	ანტონიმები
მოხრჩობა — მოგუდვა დარღვეული — მოშლილი	დახშული — გახსნილი მძიმე — მსუბუქი მრავლობითი — მხო

ბ.

როგორ?	
კარგი	კარგად
მტკიცედ	მტკიცე
ცუდი	ცუდად
	უშნო

მაგ., ხელოვნურ სუნთქვას მექანიკური მეთოდებით ახორციელებს
სპეციალურად განსწავლული სამედიცინო პერსონალი.



დაიმახსოვრეთ!

ბ.

რას შვრება?	რა უქნია?
თავსდება	მოთავსებულა
არის	ყოფილა

რა მიქნია?	რა გვიქნია?
რა გიქნია?	რა გიქნიათ?
რა უქნია?	რა უქნიათ?

[მე] ვყოფილვარ [ჩვენ] ვყოფილვართ
[შენ] ყოფილხარ [თქვენ] ყოფილხართ
[ის] ყოფილა [ისინი] ყოფილან

მაგ., ხელოვნური სუნთქვის ჩატარება ადვილი ყოფილა.

2.5. შეარჩიეთ და გამოტოვებულ ადგილას ჩასვით სიტყვები:

ამოუსუნთქავს მოუთავსებია უტარებია აღმდგარა შეუნიშნავს დამხრჩვალა დაზიანებია

ჩვენს ნათესავს საყლაპავი მიღის შევიწროება ჰქონდა. მას ოპერაცია გაუკეთეს. ოპერაციის შემდგომ ალერგიის გამო სასუნთქი გზები ; ვეღარ და კინაღამ ეს რეანიმაციული განყოფილების ექთანს ; მისთვის

მედიცინა

კისრის წინა განვითარებული გაუკეთებია და ტრაქეაში სპეციალური მიღი
· ტრაქეოსტომული მიღი ჩვენს ნათესავს დიდხანს , რადგან დაზიანებული
სასუნთქი გზები არ

2.6. წაიკითხეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს:

- რას ნიშნავს მანუალური მეთოდი?
- როგორ ტარდება იგი?

მინდა ვისწავლო ხელოვნური სუნთქვის ჩატარება, რადგან ხშირად მინახავს ადამიანი, რომელსაც ჰაერის ამოსუნთქვა უჭირს და იხრჩობა. ვინაიდან სამედიცინო განათლება არ მაქვს, ხელოვნური სუნთქვის მანუალურ მეთოდებს შევისწავლი. სწავლების დროს აუცილებლად უნდა გამოვიყენო ნიღაბი, რადგან ჭერჭერობით სხვის პირთან მიკარება არ მსიამოვნებს. შესაძლებელია, მავარჯიშონ თოჯინაზე ან მანეკენზე. სწავლის პროცესში მას იმავე ფუნქციით (პაციენტის ნაცვლად) იყენებენ.

ბ.

მე მინდა შევისწავლო	ჩვენ გვინდა შევისწავლოთ
შენ გინდა შეისწავლო	თქვენ გინდათ შეისწავლოთ
მას უნდა შეისწავლოს	მათ უნდათ შეისწავლონ
მაგ., მე <u>მინდა შევისწავლო</u> ხელოვნური სუნთქვის ჩატარება.	
ჩემს მეგობარს <u>უნდა</u> , რომ ხელოვნური სუნთქვის ჩატარებისას ნიღაბი <u>გამოიყენოს</u> .	

მე უნდა გამოვიყენო	ჩვენ უნდა გამოვიყენოთ
შენ უნდა გამოვიყენო	თქვენ უნდა გამოვიყენოთ
მას უნდა გამოვიყენოს	მათ უნდა გამოვიყენონ
მაგ., ექსტრემალურ სიტუაციაში ექიმმა კონიოტომიას უნდა მიმართოს.	
ენდოტრაქეული ინტუბაციის დროს სასუნთქი გზებში მიღი პირიდან ან ცხვირიდან უნდა შეიყვანოთ.	

ბ.

სახ. იგივე ფუნქცია
მოთხ. იმავე ფუნქციამ
მიც. იმავე ფუნქციას
მაგ., მანეკენს იმავე ფუნქციას ანიჭებენ.

2.7. მოცემული გმინების გამოყენებით შეადგინეთ წინადაღებები:

N	გუშინ	დღეს	ხვალ
1.	აღინიშნა	აღინიშნება	აღინიშნება
2.	დასჭირდა	სჭირდება	დასჭირდება
3.	ისარგებლა	სარგებლობს	ისარგებლებს



2.8. მოსმენა დიალოგი თემაზე: ინტერვიუ მაშველთან

2.8. მოისმინეთ ჩანაწერი, სწორი პასუხი აღნიშნეთ ✓ სიმბოლოთი:

მოქალაქეები ხშირად არ ითვალისწინებენ მაშველების შენიშვნებს.	
მაშველების რაოდენობის გაზრდა არაფერს შეცვლის.	
მანუალური მეთოდით ხელოვნური სუნთქვის ჩატარებისათვის აუცილებლად სამედიცინო პერსონალია საჭირო.	
მექანიკური მეთოდი „პირით პირში“ ან „პირით ცხვირში“ სუნთქვის მიწოდებას გულისხმობს.	

2.9. მოსმენილი მასალის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს:

1. რამდენი უბედური შემთხვევა დაფიქსირდა მიმდინარე სეზონზე?
2. რის გამო იხრჩობა აღამიანი ზღვაში?
3. რას ჰქვია მანუალური მეთოდით ხელოვნური სუნთქვა?
4. რამდენი მაშველი ჰყავს სამსახურს?

2.10. მოსმენილი მასალის მიხედვით დაასახელეთ სამი მნიშვნელოვანი ინფორმაცია:

1. _____
2. _____
3. _____

2.11. საპრეზენტაციო თემა:

უნდა შეეძლოს თუ არა ხელოვნური სუნთქვის ჩატარება თითოეულ მოქალაქეს? რამომ?



დაიმახსოვრეთ!

ერთი მხრივ, _____, მეორე მხრივ, _____ .

მითითება: ისინი წინადადებაში მაშინ გამოიყებება, როცა ორი აზრი ან ორი საგანი ერთმანეთს უპირისპირდება.

ერთი მხრივ და მეორე მხრივ წინადადებაში მძიმეებით გამოიყოფა.

მაგ., სიცოცხლისათვის იბრძოდა, ერთი მხრივ, პაციენტი და, მეორე მხრივ, ექიმი.

2.12. წერა:

იმსჯელეთ საკითხებზე: როგორ უნდა მოვიქცე, თუ ადამიანს სუნთქვა უჭირს და იხრჩობა ?



ეს საინტერესოა!

შესაძლებელია, რომ ფილტვების ხელოვნური ვენტილაციის შესახებ აზრი პირველად გაუჩნდა ანტიკური საბერძნეთის ერთ-ერთ ცნობილ ექიმს, გალენს. ის წერდა: „თუ მკვდარი ცხოველის სასულეში ჩადგავთ ლერწმის ღეროს და მასში მთელი ძალით ჩაბერავთ ჰაერს, ნახავთ, როგორ შეივსება ბრონქები ჰაერით და როგორ გაიბერება ფილტვი მაქსიმალურად“. ამის შემდეგ ვებალიუსმა აღწერა ცხოველის ფილტვების ვენტილაციის შესაძლებლობა ტრაქეაში ჩადგმული ლერწმის ღეროს დახმარებით. მე-18 საუკუნის სამოცდაათიანი წლებიდან ჩნდება ინგლისელი და ჰოლანდიელი ექიმების შრომები, რომლებშიც აღწერილია შემთხვევები, თუ როგორ გადარჩნენ წყლიდან ამოყვანილი ადამიანები ხელოვნური სუნთქვის დახმარებით.

უკვე 1858 წლიდან ხელოვნური სუნთქვის მიზნით ხშირად გამოიყენებოდა ექიმ სილვესტერის მიერ შემოთავაზებული მეთოდი: დაბიანებული ადამიანი წევს ბურგზე, ორივე ხელს განვზიდავთ და გადავიტანთ თავს ბემოთ; ამ დროს ხდება გულმკერდის გაშლა და ჩასუნთქვა. ამის შემდეგ ხელებს გადმოვიტანთ და მაქსიმალურად მივაწვებით გულმკერდზე; ამ დროს გულმკერდის მოცულობა ძალიან მცირდება და ხდება ამოსუნთქვა. სილვესტერის ამ მეთოდმა თითქმის მთელი საუკუნე იარსება და მრავალ ადამიანს შეუნარჩუნა სიცოცხლე.

III ნაწილი მძიმე ტრამვული საზიანების მქონე პაციენტების სიცოცხლის გადარჩენა ATLS

3.1. მოსამზადებელი სამუშაო:



• უპასუხეთ შემდეგ კითხვებს!

1. რას ვხედავთ ილუსტრაციაზე?
2. ვინ ადგას თავს დაზარალებულს?
3. რა მდგომარეობაშია იგი?

3.2. ტექსტი:

თანამედროვე მედიცინა სულ უფრო დიდ ყურადღებას უთმობს **უნივერსალური ალგორითმების** შექმნას **კრიტიკულ მდგომარეობაში** მყოფი ადამიანების სიცოცხლის გადასარჩენად. ერთ-ერთი მათგანია ე.წ. ATLS (მძიმეტრავმულიდაზიანებისადრეულიმენეჭმენტი) — ექიმებისთვის განკუთვნილი სასწავლო კურსი, რომელიც გულისხმობს ტრავმის მქონე ადამიანის დახმარებას. პროგრამა თავდაპირველად შეიმუშავა ამერიკის ქირურგიულმა კოლეჯმა თავისი თანამშრომლებისათვის. დღეს ეს სასწავლო კურსი მსოფლიოს 60-ზე მეტ ქვეყანაშია დანერგილი. სწავლების მიზანია ტრავმული დაზიანების მქონე პაციენტებისადმი მიდგომის ერთიანი ალგორითმის გამოყენება. თავდაპირველად ის გათვლილი იყო ექსტრემალურ სიტუაციაში ექიმისა და მედდის სწორად მოქმედებისათვის, 2014 წლიდან კი ეს ალგორითმი გამოიყენება ტრავმულ განყოფილებებში შემოსული თითქმის ყველა პაციენტის გამოსაკვლევად. იდეის არსი ისაა, რომ პაციენტს ეტაპობრივად გაეწიოს სამედიცინო დახმარება და სასწრაფოდ გამოვლინდეს სიცოცხლისათვის განსაკუთრებით საშიში დაზიანებები.

ტრავმულ განყოფილებაში შემოსული პაციენტისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს პირველადი დათვალიერების შედეგებს. ამ დროს ხდება სიცოცხლისათვის საშიში დაზიანებების გამოვლენა და იწყება რეანიმაციული ღონისძიებები. დათვალიერებისა და პირველადი გამოკვლევის დროს გამოიყენება ABCDE წესები:

A. სასუნთქი გზების გამავლობის უზრუნველყოფა და კისრის მალების დაცვა. თუ პაციენტი საუბრობს, ე.ი. სასუნთქი გზები გამავალია. უგონოდ მყოფ პაციენტს არ შეუძლია დამოუკიდებლად სუნთქვა. ასეთ შემთხვევებში უპირველესად უნდა უზრუნველვყოთ სასუნთქი გზების გამავლობა;

B. გულმკერდის დათვალიერება და გამოკვლევა. ეს აუცილებელია, რათა დადგინდეს, ხომ არ

აქვს პაციენტს კანქვეშ ჰაერის დაგროვება და გამოვლინდეს სიცოცხლისათვის საშიში დაზიანებები, რომლებიც იწვევს გულის გაჩერებას;

C. სისხლის ცირკულაცია და სისხლდენის კონტროლი. სისხლდენა წარმოადგენს სიკვდილის ძირითად მიზეზს ტრავმის დროს. ამიტომ, როგორც კი გამოვლინდება დიდი სისხლდანაკარგი, დაუყოვნებლივ უნდა ჩაიდგას ორი კათეტერი პერიფერიულ ვენებში და დაიწყოს ინტენსიური გადასხმა. გადასხმა შეწყდება მას შემდეგ, როცა დადგინდება მიზეზი და სისხლდენა შეჩერდება;

D. ნევროლოგიური სტატუსის შეფასება. პირველადი დათვალიერების დროს ავადმყოფის ნევროლოგიური მდგომარეობის შეფასება ხდება შემდეგი ვითარების გათვალისწინებით: ა) პასუხობს თუ არა შეკითხვებს აქტიურად და ადეკვატურად, ბ) აქვს თუ არა რეაქცია ვერბალურ გალიზიანებაზე (ჩაძახილზე), გ) აქვს თუ არა რეაქცია მტკიცნეულ გაღიზიანებაზე.

E. გარემოს კონტროლი და ექსპოზიცია. დაბარალებული უნდა გათავისუფლდეს მჭიდრო ტანსაცმლისაგან; სასურველია ამ დროს ტანსაცმლის გაჭრა. გადაციების თავიდან ასაცილებლად აუცილებელია როგორც პაციენტის, ასევე ინტრავენური გადასხმისათვის განკუთვნილი ხსნარების გათბობა.

მეორადი და მესამეული დათვალიერება პაციენტებს უტარებათ მას შემდეგ, რაც მოხდება ძირითადი სასიცოცხლო მაჩვენებლების სტაბილიზაცია.

3.3. ლექსიკა:

უნივერსალური — მრავალმხრივი, ყოვლისმომცველი.

ალგორითმი — იმ მოქმედებათა აღწერა, რომელთა თანმიმდევრობით შესრულება განაპირობებს დასმული ამოცანის ამოხსნას.

კრიტიკული მდგომარეობა — აქ: სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე მყოფობა.

კათეტერი — მილი, რომელიც შეჰქავთ სხეულის არებსა და ღრუებში.

სტატუსი — ნორმებით დადგენილი მდგომარეობა.

ადეკვატურად — სრულიად შესაბამისად.

ვერბალური — ზეპირი, სიტყვიერი.

გაღიზიანება — ფიზიკური აღგზნების გამოწვევა.

ექსპოზიცია — დათვალიერების მიზნით რაიმე საგნების განლაგება.

ინტრავენური — ინტრა — შიგა, შიგნითა; ვენის შიგნით.

სტაბილიზაცია — რისამე მდგრად მდგომარეობაში მოყვანა, არაპროგნოზირებული სიტუაციის მინიმუმამდე დაყვანა.


3.4. ტექსტის გააზრება:

1. რა არის A TLS?
2. რა არის A TLS-ის იდეა?
3. რას მოიცავს პირველადი დათვალიერების A და B წესები?
4. რას მოიცავს პირველადი დათვალიერების C და D წესები?
5. როდის უტარდებათ პაციენტებს მეორადი და მესამეული დათვალიერება?

სინონიმები	ანტონიმები
<p>უნივერსალური — ყოველმხრივი შემუშავებულია — აქ: შექმნილია ანალოგიური — მსგავსი დანერგილი — დამკვიდრებული ეტაპობრივად — თანმიმდევრობით არსი — დედააზრი, შინაარსი ადეკვატურად — შესაბამისად სტაბილური — მდგრადი ვითარება — მდგომარეობა</p>	<p>აქტიური — პასიური ანალოგიური — განსხვავებული დანერგილი — დაუნერგავი ადეკვატური — არაადეკვატური ვერბალური — არავერბალური გათბობა — გაციება სტაბილური — არასტაბილური გათვალისწინება — გაუთვალისწინებლობა</p>

5.

ვისი?



მხოლობითი რიცხვი

თავისი

მრავლობითი რიცხვი

თავიანთი

მაგ., ATLS პროგრამა შეიმუშავა ამერიკის ერთ-ერთმა ქირურგიულმა კოლეჯმა თავისი თანამშრომლებისათვის.

ATLS პროგრამით მომზადებული ექიმები სწრაფად მოქმედებენ და ავლენენ თავიანთი პაციენტების სიცოცხლისათვის საშიშ დაზიანებებს.

6.

მე შემიძლია მოვითხოვო ჩვენ შეგვიძლია მოვითხოვოთ

შენ შეგიძლია მოითხოვო თქვენ შეგიძლიათ მოითხოვოთ

მას შეუძლია მოითხოვოს მათ შეუძლიათ გამოავლინონ

მაგ., ATLS პროგრამით მომზადებულ მედიცინის მუშაკებს **შეუძლიათ**

პაციენტის პირველადი დათვალიერებისას **გამოავლინონ** სიცოცხლისათვის განსაკუთრებით საშიში დაზიანებები.

მე შემიძლია გამოვლენა

შენ შეიძლია გამოვლენა

მას შეუძლიათ გამოვლენა

მაგ., მე გავიარე ATLS პროგრამა და **შემიძლია** სიცოცხლისათვის

განსაკუთრებით საშიში დაზიანებების დროულად **გამოვლენა.**

3.5. წაიკითხეთ დიალოგი და უპასუხეთ კითხვას: რას გულისხმობს მანანას მიერ დანერგილი კურსი?

მამა: დღეს კლინიკაში ვიყავი და ყველგან, სადაც კი შევედი, უნივერსალურ ალგორიტმებზე საუბრობდნენ. ვერ გამიგია ალგორიტმები მედიცინასთან რა კავშირშია?

მანანა: ალგორიტმი გარკვეულ მოქმედებათა ერთობლიობაა. თანმიმდევრობით შესრულება გვაძლევს შედეგს. აქედან გამომდინარე, ალგორიტმის გამოყენება ყველა დარგშია შესაძლებელი.


მამა: სადაც მე ვიყავი, იმ კლინიკაში მიწისძვრით დაზარალებულები მიუყვანიათ. მძიმედ ყოფილან, ზოგიც – უგონო მდგომარეობაში. ყველა გადაურჩენიათ. სასწრაფო დახმარების ბრიგადას აქებდნენ. სპეციალური მომზადება პქონიათ გავლილი.

მანანა: ATLS პროგრამა იქნებოდა. ეს სასწავლო კურსი უკვე -608ე მეტ ქვეყანაში მოქმედებს. შეგიძლია იამაყო, საქართველოში ჩემ მიერ არის დანერგილი.

მამა: რა კურსია ასეთი?

მანანა:

წინაშე – იგივეა, რაც პირდაპირ ან წინ .
მიერ – დაერთვის მოქმედ პირს, საგანს.



3.6. წაიკითხეთ დიალოგი და დაასრულეთ:

მამა: ATLS ალბათ ექსტრემალური სიტუაციებისთვისაა გათვლილი, არა?!

მანანა: თავდაპირველად ასე იყო. ახლა კი ტრავმულ განცყოფილებაში შემოსული თითქმის ყველა პაციენტის გამოსაკვლევად გამოიყენება. ასეა მსოფლიოში. საქართველოში კი ჭერჭერობით ყველა ტრავმატოლოგი მას ვერ ფლობს.

მამა: რას ვერ ფლობენ?

მანანა: მაგალითად, ყველას არ შეუძლია სიცოცხლისათვის საშიში დაზიანებების გამოვლენა და რეანიმაციული ღონისძიებების ჩატარება.

მამა: მაშინ რატომაა ექიმი?

მანანა: შეიძლება ერთ რომელიმე დარგშიციყოს ძალიან კარგი სპეციალისტი და არა ყველაში. ATLS კი კომპლექსურ მიდგომას მოითხოვს და თავისი წესები აქვს.

მამა: აბა, ერთი რომელიმე მითხარი?

მანანა:



დაიმახსოვრეთ!

ზოგიერთ შემთხვევაში **ჭერ** სინონიმია სიტყვებისა
– პირველად, თავდაპირველად;
ჭერჭერობით კი ნიშნავს აქამდე, ან: **ჭერ კიდევ, ახლაც, ამ მომენტშიც.**

ჭერ

, მერე//შემდეგ//შემდგომ

მაგ., **ჭერ** ისწავლე მედიცინა და **მერე** გაიარე პრაქტიკა. **თავდაპირველად** უგონოდ მყოფ პაციენტს უნდა მიექცეს ყურადღება, **შემდეგ** კი იმას, ვისაც ლაპარაკი შეუძლია.

ჭერჭერობით

მაგ., **ჭერჭერობით** მზიამ ვერ ისწავლა კათეტერის ვენაში ჩადგმა.

3.7. მოცემული გამოყენების შეადგინეთ წინადადებები:

N	გუშინ	დღეს	ხვალ
1	შეიმუშავა	შეიმუშავებს	შეიმუშავებს
2	გამოიყენებოდა	გამოიყენება	გამოიყენება
3	გაეწია	ეწევა	გაეწევა
4	გამოვლინდა	ვლინდება	გამოვლინდება
5	ჩაიდგა	იდგმება	ჩაიდგმება
6	ჩაუტარდა	უტარდება	ჩაუტარდება



3.8. მოსმენა:

დიალოგი თემაზე: პაციენტის მშობლები საავადმყოფოში

3.9. მოისმინეთ ჩანაწერი, სწორი პასუხი აღნიშნეთ ✓ სიმბოლოთი:

პაციენტს ოპერაცია ჩაუტარდა და უკვე პალატაშია გადაყვანილი.	
პაციენტმა ბევრი სისხლი დაკარგა და სისხლი გადაუსხეს.	
პაციენტს ოპერაცია აღარ დასჭირდა.	
საავადმყოფოში პაციენტების უმრავლესობას მძიმე ტრავმული დაზიანებები აქვს.	

3.10. მოსმენილი მასალის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს:

- რა გვარია პაციენტი?
- დაახლოებით რამდენი პაციენტი შეჰქავთ ყოველდღიურად საავადმყოფოში?
- როდის შეიყვანეს პაციენტი ბერიძე საავადმყოფოში?
- როდის იქნება შესაძლებელი პაციენტის მამის ექიმთან შეხვედრა?

3.11. მოსმენილი მასალის მიხედვით დაასახელეთ სამი მნიშვნელოვანი ინფორმაცია:

- _____
- _____
- _____

3.12. საპრეზენტაციო თემა:

რამ შეიძლება გამოიწვიოს მძიმე ტრავაული დაზიანებები?

სიტყვა შეაწყვეტინა – საუბრის, ლაპარაკის დროს გააჩერა.
მაგ., ექიმმა ტრავმული დიზიანების მქონე პაციენტს სიტყვა
შეაწყვეტინა, რომ არ გადაღლილიყო.
სიტყვა ჩამოართვა – საუბრის დროს გააჩერა და ლაპარაკი თვითონ
გააგრძელა.
სიტყვა მოუჭრა – საუბარი სხარტი, მოქნილი პასუხით შეაწყვეტინა.
სიტყვა შეუბრუნა – შეეპასუხა; პასუხით წინააღმდეგობა გაუწია (მაგ.,
თავხედურად, უზრდელად...).

3.13. წერა:

იმსჯელეთ საკითხებე: მსურს თუ არა ATLS-ის შესწავლა? რატომ?



ეს საინტერესოა!

ATLS შეიქმნა ამერიკის შეერთებულ შტატებში 1976 წელს. ჯეიმს შტაინერი, ქირურგი-ორთოპედი, მართავდა რა მსუბუქ თვითმფრინავს, თავის ოჯახთან ერთად ჩამოვარდა ტრიალ მინდორზე ნებრასკას შტატში. მეუღლე ადგილზევე გარდაიცვალა. სამმა შვილმა მძიმე დაზიანება მიიღო, მეოთხე შვილმა მხოლოდ მხარი მოიტეხა. მამამ შვილებს ადგილზევე აღმოუჩინა პირველადი დახმარება. შემდეგ გზაზე მანქანა გააჩერა და მივიდა უახლოეს პოსპიტალში, რომელიც დაკეტილი აღმოჩნდა. მეორე პოსპიტალში ოჯახის წევრებს არასრულყოფილი დახმარება აღმოუჩინეს, რადგან სამედიცინო პერსონალი არ აღმოჩნდა სათანადოდ განსწავლული. ლინკოლნში დაბრუნების შემდეგ ჯეიმსმა დაიწყო ფიქრი იმაზე, თუ როგორ გაემჭობესებინა ტრავმული პაციენტების სამედიცინო დახმარება. მან

შეიმუშავა მოქმედების ალგორითმის სხვადასხვა მძიმე ტრავშული დაზიანების მქონე პაციენტებისათვის და ექიმ პოლ კოლიკომთან ერთად 1978 წელს წარმოადგინა ATLS-ის სასწავლო კურსი. 1980 წელს ამერიკის ქირურგიული კოლეჯის კომიტეტმა მიიღო პროგრამა და დაიწყო სამედიცინო პერსონალის განსწავლა მთელი აშშ-ის მასშტაბით. ამის შემდეგ ATLS გახდა დაზიანებულებისათვის დამარების აღმოჩენის სტანდარტი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

ლექსიკა:

ადეკვატურად — სრულიად შესაბამისად.

ალგორითმი — იმ მოქმედებათა აღწერა, რომელთა თანმიმდევრობით შესრულება განაპირობებს დასმული ამოცანის ამოხსნას.

არტერიული წნევა — ძალა, რომელიც არტერიის კედლებს აწვება.

განაკვეთი — აქ: ჭრილობა, გაკვეთა.

გაღიზიანება — ფიზიკური აღგზნების გამოწვევა.

გვირგვინოვანი (კორონალური) — არტერიების ტიპის სახელწოდება.

დარღვევა — აქ: მწყობრი რიტმის მოშლა, შეფერხება.

დეფიბრილაცია — გულის კუნთის ფიბრილაციის შეწყვეტა და ნორმალური რითმის აღდგენა.

ენდოტრაქეული — ენდო (ბერძ. შიგნით) — რთული სიტყვის შემადგენელი ნაწილი, აღნიშნავს შინაგანს; ტრაქეა — სასუნთქი ორგანოების ნაწილი, ქართულად — სასულე.

ექსპოზიცია — დათვალიერების მიზნით რაიმე საგნების განლაგება.

ექსტრემალური სიტუაცია — აქ: არაორდინალური, განსაკუთრებული (კომა, შოკი, კრუნჩხვა, გულის გაჩერება და ა.შ.).

ვერბალური — ზეპირი, სიტყვიერი.

ინექცია — შეშხაპუნება, სამკურნალო ხსნარის შეყვანა შპრიცით.

ინვაზიური — თავდასხმითი.

ინტრავენური — ინტრა — შიგა, შიგნითა; ვენის შიგნით.

ინტუბაცია — ხორხში სპეციალური მილის შეყვანა პირიდან ან ცხვირიდან.

იონი — ელექტრულად დამუხტული ატომი.

კათეტერი — მილი, რომელიც შეჰქავთ სხეულის არხებსა და ღრუებში.

კონიოტომია — ტრაქეაში მილის ჩადგმა მისი გაჩევლების გზით.

კრიტიკული მდგომარეობა — აქ: სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე მყოფობა.

მანუალური მეთოდი — ხელით (შეხებით) მკურნალობა.

მემბრანა — ქსოვილის ნაწილი.

მოვლითი ტკივილი — ღროის გარკვეულ პერიოდში განმეორებული შეტევითი ხასიათის ტკივილი.

მოხრჩობა — მოგუდვა, სუნთქვის შეწყვეტით გამოწვეული ფატალური შედევი.

პარკუჭი — აქ: გულის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი.

საძილე არტერია — ადამიანისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის წყვილი სისხლძარღვი.

სედატიური — დამაწყნარებელი, ფუნქციური აქტივობის დამაქვეითებელი.

სისხლის მიმოქცევა — ორგანიზმში სისხლის მოძრაობა სისხლძარღვების საშუალებით.

სისხლძარღვები — ადამიანისა და ცხოველის სხეულში ელასტიური მილები, რომლებშიც მოძრაობს სისხლი.

სტაბილიზაცია — რისამე მდგრად მდგომარეობაში მოყვანა, არაპროგნოზირებული სიტუაციის მინიმუმამდე დაყვანა.

სტატუსი — ნორმებით დადგენილი მდგომარეობა.

ტრაქეოსტომია — კისრის წინა ნაწილში განაკვეთის გაკეთება, ტრაქეაში მილის ჩადგმა და სუნთქვია

აღდგენა.

უნივერსალური — მრავალმხრივი, ყოვლისმომცველი.**ფიბრილაცია** — გულის ციმციმი, თრთოლა.**წევა** — ფიზიკური სიდიდე, ფართობის ერთეულზე მოქმედი ძალა.**წვილი** — ახლადდაბადებული, პატარა ბავშვი.**სახა** — პირის ღრუ უკანა ნაწილი.

8მნები:

N	ახლანდელი	წარსული	მომავალი	მომავალი + უნდა	თურმეობითი	საწყისი	
	რას შვრება?	რას შვრებოდა?	რა ქნა?	რა იჩამს?	რა უნდა ქნას?	რა უქნია?	რა?
1	აღინიშნება	აღინიშნებოდა	აღინიშნა	აღინიშნება	აღინიშნოს	აღინიშნულა	აღნიშნა
2	აწვება	აწვებოდა	დააწვა	დააწვება	დააწვეს	დასწოლილა	დაწოლა
3	გამოიყენება	გამოიყენებოდა	-----	გამოიყენება	გამოიყენოს	გამოყენებულა	გამოყენება
4	დგინდება	დგინდებოდა	დადგინდა	დადგინდება	დადგინდეს	დადგენილა	დადგენა
5	ეწევა	ეწეოდა	გაეწია	გაეწევა	გაეწიოს	გასწევია	გაწევა
6	ვლინდება	ვლინდებოდა	გამოვლინდა	გამოვლინდება	გამოვლინდეს	გამოვლინილა	გამოვლენა
7	თავსდება	თავსდებოდა	მოთავსდა	მოთავსდება	მოთავსდეს	მოთავსებულა	მოთავსება
8	იდგმება	იდგმებოდა	დაიდგა	დაიდგმება	დაიდგას	დადგმულა	დადგმა
9	იკუმშება	იკუმშებოდა	შეიკუმშა	შეიკუმშება	შეიკუმშოს	შეკუმშულა	შეკუმშვა
10	იმართება	იმართებოდა	გაიმართა	გაიმართება	გაიმართოს	გამართულა	გამართვა
11	სარგებლობს	სარგებლობდა	ისარგებლა	ისარგებლებს	ისარგებლოს	უსარგებლია	სარგებლობა
12	სჭირდება	სჭირდებოდა	დასჭირდა	დასჭირდება	დასჭირდეს	დასჭირვებია	დაჭირვება
13	უტარდება	უტარდებოდა	ჩაუტარდა	ჩაუტარდება	ჩაუტარდეს	ჩატარებია	ჩატარება
14	შეიმუშავებს	შეიმუშავებდა	შეიმუშავა	შეიმუშავებს	შეიმუშავოს	შემუშავებია	შემუშავება

VII თავი ავადმყოფის გამოკვლევა. კურორტები

I ნაწილი გამოკვლევის მეთოდები

1.1. მოსამზადებელი სამუშაო:



სურ. 1 ექიმი სთეტოსკოპის დახმარებით უსმენს ბავშვის მუცელს

სურ. 2 გასასინჯ ოთახში ექიმები ატარებენ გულმკერდის პერკუსიას და ყურის ინსპექციას.

• უპასუხეთ შემდეგ კითხვებს!

- რას ვხედავთ ილუსტრაციებზე?
- რა სახის სამედიცინო გამოკვლევები ჩაგიტარებიათ?

1.2. ტექსტი:

ავადმყოფის გამოკვლევა იწყება **ანამნეზის** შეკრებით და ფიზიკური კვლევის მეთოდების გამოყენებით. ანამნეზი არის ავადმყოფის ან მისი ახლობლების მიერ გადმოცემული ჩივილი და ავადმყოფობის ისტორია. ფიზიკური კვლევის მეთოდებს მიეკუთვნება: **ინსპექცია** — ავადმყოფის დათვალიერება, **პალპაცია** — ხელით გასინჯვა, **პერკუსია** — სხეულის სხვადასხვა ნაწილზე დაკაკუნებით მიღებული ბგერების ანალიზი, **აუსკულტაცია** — სხვადასხვა ორგანოს ფუნქციონირების დროს წარმოქმნილი ბგერების მოსმენა.

ანამნეზი და ფიზიკური კვლევის მეთოდები ერთ-ერთი მთავარი საშუალებებია დიაგნოზის დასადგენად. მათი მნიშვნელობა კიდევ უფრო დიდი იყო მედიცინაში თანამედროვე ტექნოლოგიების შემოჭრამდე. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე მედიცინა ფლობს დიაგნოსტიკის უნიკალურ მეთოდებს, რომლებიც საშუალებას გვაძლევს პაციენტი შევისწავლოთ **მოლეკულურ დონეზეც** კი, ფიზიკური კვლევის მეთოდები მრავალი კუთხით დღესაც შეუცვლელია. მე—19 საუკუნემდე ანამნეზი და ფიზიკური კვლევის მეთოდები იყო ერთადერთი **ინსტრუმენტი** ექიმის ხელში, რომლითაც შეიძლებოდა დიაგნოზის დადგენა და პაციენტის მკურნალობა. ამიტომ პაციენტის ბედი მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული ექიმის გამოცდილებაზე. ჯერ კიდევ 1890 წლამდეარ არასებობდა **რენტგენოლოგიური**, **ელექტროფიზიოლოგიური** და **მოლეკულურ-ბიოლოგიური** კვლევები, მაგრამ არც მათი გაჩენის შემდგომ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა პაციენტთან ექიმის უშუალო ურთიერთობას. ამ დროს ხდება არა მარტო დაავადების სავარაუდო დაგნოსტირება, არამედ მყარდება სულიერი კავშირი ექიმსა და ავადმყოფს შორის, რაც არანაკლებ მნიშვნელოვნაა, ვიდრე ბუსტი დიაგნოზი.

ანამნეზის შეკრებისა და ფიზიკური გამოკვლევის შემდეგ დგება ინსტრუმენტულ-ლაბორატორიული გამოკვლევების ჯერი. ამ სახის კვლევები მრავალნაირია და დამოკიდებულია ფიზიკური გამოკვლევის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე. იმისდა მიხედვით, თუ რომელი ორგანოს ან ორგანოთა სისტემების შესახებ სურს ექიმს ინფორმაციის მიღება, გამოკვლევის მეთოდები მოიცავს გულმკერდის რენტგენოლოგიურ კვლევას, ფილტვების ფუნქციურ ტესტირებას, აუდიომეტრიას, მთელი სხეულის სკანირებას კომპიუტერული ტომოგრაფიით, ელექტროკარდიოგრაფიას, სისხლძარღვების გამოკვლევას, ექოსკოპიას, კორონაროგრაფიას, მაგნიტურ-რეზონანსულ ტომოგრაფიას, სისხლის, შარდის, ნახველის ანალიზს და ა.შ. ჩამონათვალი შესაძლებელია უსასრულოდ გავაგრძელოთ, რადგან, როგორც ზემოთ აღინიშნა, თანამედროვე მედიცინა ფლობს გამოკვლევის მეთოდებს, რომლებიც საშუალებას გვაძლევს მოლეკულურ დონეზე შევისწავლოთ ადამიანის მთელი სხეული, ჩავატაროთ გენეტიკური ანალიზი და მათზე დაყრდნობით განვსაზღვროთ მკურნალობა.

ანამნეზის შეკრება

1.3. ლექსიკა:

ანამნეზი — მოგონება, ცნობები ავადმყოფის ცხოვრების შესახებ დაავადებამდე და ავადმყოფობის განვითარების ისტორია.

ინსპექცია — შემოწმება იმისათვის, რომ სათანადო შესრულდეს.

პალპაცია — ავადმყოფის ორგანოების ხელით გასინჯვის მეთოდი.

პერკუსია — ავადმყოფის გასინჯვა სხეულზე თითების ან სპეციალური ჩაქუჩის კაკუნით; გამოცემული ხმით ექიმი არკვევს შინაგანი ორგანოების მდგომარეობას.

აუსკულტაცია — მოსმენა; გამოკვლევის მეთოდი, ადამიანის ან ცხოველის შინაგან ორგანოებში (გული, ფილტვები და სხვ.) წარმოშობილი ხმების მოსმენა, მაგალითად, ფონენდოსკოპით ან შეუიარაღებელი ყურით.

მოლეკულა — ნივთიერების უმცირესი ნაწილაკი, რომელსაც აქვს ამ ნივთიერების ძირითადი ქიმიური თვისებები.

ინსტრუმენტი — რაიმე სამუშაოს შესასრულებელი იარაღი.

რენტგენოლოგიური გამოკვლევა — გამოკვლევა რენტგენის სხივებით, რომლებიც ქსოვილებში გავლისას შთაინთქმება და მიიღება გამოსახულება სპეციალურ ეკრანზე, შემდგომ კი აღიბეჭდება სურათზე.

ელექტროფიზიოლოგიური გამოკვლევა — გამოკვლევა, რომლის დროსაც შესაბამის ვენაში იდგმება ვათეტერი, ხდება ელექტროდების შეყვანა და ინფორმაციის ჩაწერა.

მოლეკულურ-ბიოლოგიური გამოკვლევა — სხვადასხვა ორგანოს ფუნქციის გამოკვლევა მოლეკულურ დონეზე.

აუდიომეტრია — სმენის გამოკვლევა.

სკანირება — სხივის ან რისამე სივრცობრივი გადაადგილებით გამოსახულების ეკრანზე აღბეჭდვა.

კომპიუტერული ტომოგრაფია — დიაგნოსტიკის მაღალინფორმაციული მეთოდი. მისი საშუალებით პირველად გახდა შესაძლებელი თავის ტვინის დანახვა. მისი საშუალებით შეიძლება იმ ფენის გადაღება, რომელიც საკვლევი ობიექტის გარკვეულ სიღრმეში მდებარეობს.

ელექტროკარდიოგრაფია — ელექტროკარდიოგრამის (გულის მუშაობის დროს გულის კუნთში აღძრული ელექტრული იმპულსების გრაფიკული გამოსახულება) გადაღება.

ექოსკოპია — ულტრაბგერითი სკანირება.

კორონაროგრაფია — გულის სისხლძარღვების გამოკვლევა.

მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია — ორგანიზმის ამა თუ იმ სტრუქტურის დანახვა მაგნიტისა

და რადიოტალღების გამოყენებით.

ნახველი — რაც ამოახველეს, ხველის შედეგად გამოყოფილი ლორწო.

გენეტიკა — შეისწავლის ორგანიზმის განვითარებასა და მემკვიდრეობითობას.

გენეტიკური ანალიზი — ანალიზი გენეტიკის დასადგენად.

1.4. ტექსტის გააზრება:

- როგორ იწყება ავადმყოფის გამოკვლევა?
- რა არის ანამნეზი?
- ფიზიკური კვლევის რა მეთოდებს იცნობთ?
- ინსტრუმენტულ-ლაბორატორიული გამოკვლევების რა მეთოდებს იცნობთ?
- რატომ არის მნიშვნელოვანი პაციენტთან ექიმის უშუალო ურთიერთობა?

სინონიმები	ანტონიმები
<p>ანამნეზი — მოგონება</p> <p>ჩივილი — წუწუნი</p> <p>ინსტრუმენტი — იარაღი</p> <p>სავარაუდო — შესაძლებელი</p> <p>ჯერი — რიგი</p> <p>უნიკალური — უიშვიათესი, განსაკუთრებული</p> <p>დიაგნოზის დადგენა — დიაგნოზის დასმა</p> <p>უსასრულოდ — მუდმივად</p> <p>შეკრება — შეგროვება</p> <p>სახე — ტიპი</p>	<p>მთავარი — არამთავარი</p> <p>მნიშვნელოვნად — უმნიშვნელოდ</p> <p>ახლობელი — შორებელი</p> <p>გუსტი (დიაგნოზი) — მცდარი, არასწორი</p> <p>უსასრულოდ — დასრულებულად</p> <p>დაყრდნობით — დაუყრდნობლად</p>

ა.

როგორი? სუსტი რა? სისუსტე

მაგ., ადადმყოფობის პირველი ნიშანია სისუსტე.
სუსტად ვარ.

ბ.

- კიბოს თავიდან ასაცილებლად გამოკვლევები ჩავიტაროთ ყოველწლიურად.
- კიბოს თავიდან ასაცილებლად გამოკვლევები უნდა ჩავიტაროთ ყოველწლიურად.

1.5. შეარჩიეთ და გამოტოვებულ ადგილას ჩასვით სიტყვები:

სიცხე	სიმნივე	სიმართლე	სიცოცხლეში	სიყვითლე	სისუსტე
-------	---------	----------	------------	----------	---------

მთელი დღის განმავლობაში ვგრძნობდი და ლოგინიდან ვერ ვდგებოდი. საღამოს ამტკივდა თავი და მომცა გამოვიძახე სასწრაფო დახმარება. ექიმმა ანამნეზი შეკრიბა. მან არაფრად ჩათვალა სისუსტე და სიცხე, მაგრამ არ მოეწონა ჩემი კანის

მედიცინა

და სისხლისა და შარდის ანალიზის გაკეთება მოითხოვა. გითხრათ, მეც შემეშინდა
და დავკარგე. დავემორჩილე თუ არა ექიმს, აღარ მახსოვს. მეგონა, ვკვდებოდი.
ამდენი წამალი ჩემს არ დამილევია.

8.

.....**თუ არა**

მითითება: გამოიყენეთ მაშინ, როცა დადებით მოქმედებას უპირისპირებთ
უარყოფით მოქმედებას.
მაგ., დავემორჩილე თუ არა ექიმს, აღარ მახსოვს.
იგივეა, რაც: დავემორჩილე თუ არ დავემორჩილე ექიმს, აღარ მახსოვს.

9.

რამდენი? ამდენი, მაგდენი, იმდენი.

მითითება: ისინი გამოხატავენ წონასა და ოდენობას.
მაგ., ამდენი წამალი ჩემს სიცოცხლეში არ დამილევია.

I	II	III
ამდენი	მაგდენი	იმდენი

სახ. ამდენი წამალი
მოთხ. ამდენმა წამალმა
მიც. ამდენ წამალს და სხვ.
მაგ., ამდენმა წამალმა ცუდად იმოქმედა ჩემზე.

1.6. წაიკითხეთ დიალოგი და დაასრულეთ:

ექიმი: აბა, რა გაწუხებთ? რა ჩივილები გაქვთ?

თამარი: თავს სუსტად ვგრძნობ და ყელიც მტკივა.

ექიმი: სიცხე თუ გაქვთ?

თამარი: ოცდაზოდმეტი და რვა.

ექიმი: ჩემი აზრით, ანგინა გექნებათ. ფილტვებს მაინც მოგისმენთ...., არა, ხიხინი არ ისმის.

თამარი: ექიმო, მუცელიც მტკივა და მეშინია, ბრმა ნაწლავი არ იყოს!

ექიმი: გაგსინჯვათ, აბა, დაწექით! პალპაცია ფიზიკური კვლევის საუკეთესო მეთოდია.

თამარი: პალპაცია რა არის?

ექიმი: არ შეგეშინდეთ, ხელით გასინჯვაა... მუცელი რბილი გაქვთ. ე.ი. ბრმა ნაწლავიც გამოირიცხა.

თამარი: სხვა გამოკვლევები თუ დამჭირდება?

ექიმი: მხოლოდ სისხლისა და შარდის ანალიზები. აქ სერიოზული არაფერია, დამატებითი გამოკვლევა არაა საჭირო. თქვენს შემთხვევაში დიაგნოზის დადგენა ანამნეზითა და გასინჯვით შეიძლება.

თამარი: ექიმო, თქვენი კეთილგანწყობა ჩემზე

1.7. მოცემული გმნების გამოყენებით შეადგინეთ წინადაღებები:

N	გუშინ	დღეს	ხვალ
1	შეკრიბა	კრებს	შეკრებს
2	დაათვალიერა	ათვალიერებს	დაათვალიერებს
3	დაადგინა	ადგენს	დაადგენს
4	გამოიკვლია	იკვლევს	გამოიკვლევს
5	დაეუფლა	ფლობს	დაეუფლება



1.8. მოსმენა:

დიალოგი თემაზე: ლუკას გული აწუხებს

1.9. მოისმინეთ ჩანაწერი, სწორი პასუხი აღნიშნეთ ✓ სიმბოლოთი:

ლუკას ბოლო ორი წელია გული ტკივა.	
ლუკას გამოკვლევას მთელი დღე დასჭირდება.	
ელექტროკარდიოგრაფია გულის კუნთს იკვლევს.	
გამოკვლევის შემდეგ ლუკას შეუძლია სამსახურში წავიდეს.	

1.10. მოსმენილი მასალის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს:

- როდის არის ლუკას გამოკვლევა დანიშნული?
- რამდენი სახის კვლევა უნდა ჩაიტაროს ლუკამ?
- რას იკვლევს კომპიუტერული ტომოგრაფია?
- რა დრო დასჭირდება გამოკვლევას?

1.11. მოსმენილი მასალის მიხედვით დაასახელეთ სამი მნიშვნელოვანი ინფორმაცია:

-
-
-

1.12. საპრეზენტაციო თემა:

გამოკვლევისა და გული დიაგნოზის დასმის მნიშვნელობა

მითითება: კითხვები **რატომ? რის გამო?** გამოიყენეთ მაშინ, როცა მოქმედების მიზეზი გაინტერესებთ.
კითხვას უპასუხეთ სიტყვებით: **იმიტომ, რომ.....**
იმის გამო, რომ.....
ან: ამიტომ//მაგიტომ
მაგ., **რატომ** მიმართეთ ექიმს? **იმიტომ, რომ** ავადმყოფობა გამირთულდა.



დაიმასსოვრეთ!

ჩემი აზრით

მითითება: გამოიყენეთ მაშინ, როცა თქვენს აზრს, შეხედულებას გამოთქვამთ.
ჩემი აზრით წინადაღებაში მძიმეებით გამოიყოფა.
მაგ., ჩემი აზრით, ეს დაავადება განკურნებადია.

1.13. წერა:

იმსჯელეთ საკითხებე: რატომ უნდა ჩავიტარო გამოკვლევები?




ეს საინტერესოა!

მეოცე საუკუნის – 90იანი წლებიდან ფართოდ გავრცელდა მტკიცებითი მედიცინა. ამ იდეის ავტორები იყვნენ კანადელი მეცნიერები „მაკ მასტერის“ უნივერსიტეტიდან. რა არის მტკიცებითი მედიცინა (ინგლ. evidence-based medicine)? ეს არის მტკიცებულებებზე დაფუძნებული სამედიცინო პრაქტიკა. მთელ მსოფლიოში არსებულ სამეცნიერო და პრაქტიკულ გამოცდილებაზე დაყრდნობით ხდება რეკომენდაციების ჩამოყალიბება. ამასთან მეცნიერულად ფასდება სხვადასხვა მეთოდის ეფექტურობა და უსაფრთხოება. ამგვარი მტკიცებულებების მოძიების, ერთმანეთთან შედარებისა და ფართოდ გავრცელების მიზანია პაციენტების ინტერესებისა და უფლებების დაცვა.

რამ განაპირობა მტკიცებითი მედიცინის გაჩენა? სამედიცინო პრაქტიკაში თანდათანობით გროვდებოდა იდეები, რომლებიც ამაღლებდნენ მკურნალობის ეფექტურობას. იმისათვის, რომ ყველა პაციენტისათვის ხელმისაწვდომი გამხდარიყო მსოფლიოში დაგროვილი გამოცდილება, მისი დიაგნოზის დადგენა და მკურნალობა არ ყოფილიყო დამოკიდებული მხოლოდ კონკრეტული ექიმის ცოდნასა და გამოცდილებაზე, შეიქმნა მტკიცებითი მედიცინა.

II ნაწილი სამედიცინო აღჭურვილობა

2.1. მოსამზადებელი სამუშა:



სურ.1 კომპიუტერული ტომოგრაფი

სურ.2 ნაყოფის ულტრაბგერითი გამოსახულება

სურ.3 ფუნქციური მაგნიტურ-რეზონანსული კვლევით მიღებული თავის ტვინის გამოსახულება

• უპასუხეთ შემდეგ კითხვებს!

1. რას ვხედავთ ილუსტრაციებზე?
2. გინახავთ თუ არა ეს აპარატურა? სად?
3. რა სახის გამოკვლევა ჩაგიტარებიათ სამედიცინო აპარატურით?

2.2. ტექსტი:

სამედიცინო აღჭურვილობის დანიშნულებაა, დაეხმაროს ექიმს დაავადების დიაგნოზის დადგენის, პაციენტზე დავვირვებისა და მკურნალობის საქმეში. განარჩევენ სამედიცინო აღჭურვილობის რამდენიმე ტიპს:

- სადიაგნოსტიკო აპარატურა, რომელიც მოიცავს სხეულის სხვადასვა ნაწილის ვიზუალიზაციის საშუალებებს. ასეთებია: რენტგენის, ულტრასონოგრაფიის, კომპიუტერული, მაგნიტურ-რეზონანსული და პოზიტრონულ-ემისიური ტომოგრაფიის აპარატები.
- სამკურნალო აპარატურა, რომელიც გამოიყენება დაავადების მკურნალობის პროცესში. მაგალითად, საინექციო ტუმბოები, თერაპიული ლაზერული აპარატები, სპეციალიზირებული ლაზერული დანადგარები თვალის ქირურგიისა და მხედველობის ლაზერული კორექციისათვის, ე.წ. „LASIK“.
- სასიცოცხლო ფუნქციების შემანარჩუნებელი აღჭურვილობაა: **ინკუბატორები**, სასუნთქი და **სანარკოზო** აპარატები, **გულ-ფილტვის ჩანაცვლებითი მოწყობილობები**, **სადიალიზო** აღჭურვილობა და სხვ. ამ აპარატურას იყენებენ **მანამ**, **სანამ** ავადმყოფის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება.
- მონიტორინგის აპარატები, რომლებიც საშუალებას აძლევს მედპერსონალს, მუდმივი დაკვირვება აწარმოოს პაციენტის ძირითად სასიცოცხლო მაჩვენებლებზე; ამასთანავე დააფიქსიროს ორგანიზმის მდგომარეობის სხვადასხვა მონაცემი, როგორებიცაა ელექტროკარდიოგრამა (ეკგ), ელექტროენცეფალოგრამა (ეეგ) და სისხლის წნევა.
- სამედიცინო ლაბორატორიული აპარატები, რომელთა დანიშნულებაა ავტომატურ რეჟიმში

გააკეთოსსისხლის, შარდის, **გენების** და ა.შ. ანალიზები, ან დაეხმაროს მედიცინული მათ აღებაში.

- სამედიცინო დიაგნოსტიკური აპარატურა, რომლის გამოყენება შეიძლება ბინაზეც. ასეთია გლუკომეტრი, რომელიც განსაზღვრავს სისხლში **გლუკოზის** დონეს.
- ფიზიკური თერაპიისათვის განკუთვნილი აღჭურვილობა, რომელიც საშუალებას აძლევს ხანგრძლივად მწოლიარე ავადმყოფებს, განახორციელონ მათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი ფიზიკური მოძრაობები.

სამედიცინო აღჭურვილობის სწორად მოხმარებაში ექიმებს ეხმარებიან ბიოსამედიცინო აპარატურის ინჟინრები. ყველა სამედიცინო აპარატი უნდა აკმაყოფილებდეს უსაფრთხოების განსაზღვრულ სტანდარტს, რომელიც განსხვავდება ერთმანეთისაგან ქვეყნების მიხედვით.

2.3. ლექსიკა:

აღჭურვილობა — სათანადო მოწყობილობები, დანადგარები

ვიზუალიზაცია — დანახვა.

ულტრასონოგრაფია — ექოსკოპია.

პოზიტონულ-ემისიური ტომოგრაფია — უახლესი ტექნოლოგია, რომელიც აღმოაჩენს სიმსივნეს მაშინაც კი, როცა ჯერ კიდევ არავითარი კლინიკური გამოვლინება არ შეინიშნება.

ტომოგრაფია — რენტგენოლოგიური გამოგვლევა; მისი საშუალებით შეიძლება იმ ფენის გადაღება, რომელიც გარკვეულ სიღრმეში მდებარეობს.

საინექციო ტუმბოები — საინექციო ხსნარის შემწოდი მოწყობილობა.

კორექცია — შესწორება, გასწორება.

ინკუბატორი — ხელოვნურად გამოსაჩეკი მოწყობილობა.

ნარკოზი — ხელოვნური საშუალებებით გამოწვეული ძილი.

გულ-ფილტვის ჩანაცვლებითი მოწყობილობები — გულისა და ფილტვების ხელოვნურად ასამუშავებელი აპარატები.

დიალიზი — ორგანიზმიდან ჭარბი სითხის ხელოვნურად მოშორება

ელექტროენცეფალოგრამა — სპეციალური ხელსაწყოს მიერ აღრიცხული თავის ტვინის ელექტრონული ტალღები.

გენი, გენები — ორგანიზმის მემკვიდრეობითობის ინფორმაციის მატარებელი.

გლუკოზი — ყურძნის შაქარი.

2.4. ტექსტის გააზრება:

1. რა არის სამედიცინო აღჭურვილობის დანიშნულება?
2. სამედიცინო აპარატურის რომელ ტიპებს განასხვავებენ?
3. რა მიზნით იყენებენ მონიტორინგის აპარატებს?
4. რომელია სასიცოცხლო ფუნქციების შემანარჩუნებელი აპარატები?
5. რომელი აპარატები გამოიყენება დიაგნოსტიკისათვის?
6. ვინ ეხმარება ექიმს სამედიცინო აპარატურის სწორად მოხმარებაში?

სინონიმები	ანტონიმები
აღჭურვილობა — ეკიპირება	მუდმივი — დროებითი
კორექცია — შესწორება	განსაზღვრული — განუსაზღვრელი
ვიზუალიზაცია — ხედვა, დანახვა	საფრთხე — უსაფრთხოება
გლუკოზა — შაქარი	მხედველობა — სიბრძმავე
განსაზღვრავს — ადგენს	განსაზღვება — მსგავსება
განსაზღვრული — დადგენილი	კრიაციულება — უკრიაციულობა
საფრთხე — საშიშროება	
მხედველობა — თვალის ჩინი, მზერა	
ემუქრება — აქ: ელის	

ა.

**რას იზამს? შეუნარჩუნებს როგორი? შემანარჩუნებელი
მაგ., ინკუბატორი სასიცოცხლო ფუნქციების
შემანარჩუნებელი აღჭურვილობაა.**



დაიმახსოვრეთ!

_____ მანამ, სანამ//ვიდ

რე

ასეთი წინადადებები მიუთითებენ დროზე. მანამ ნიშნავს რაღაც
დრომდე.

მაგ., სასიცოცხლო ფუნქციების შემანარჩუნებელ აპარატურას იყენებენ მანამ,
სანამ ავადმყოფის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება.

მანამ იყენებენ სასიცოცხლო ფუნქციების შემანარჩუნებელ აპარატურას,
ვიდრე ავადმყოფის სიცოცხლეს რაიმე საფრთხე ემუქრება.

ბ

მითითება: კითხვები რისთვის? რა მიზნით? გამოიყენეთ მაშინ, როცა
მოქმედების მიზანი გაინტერესებთ.

კითხვას უპასუხეთ სიტყვებით: **იმისთვის, რომ**

იმ მიზნით, რომ.....

ან: ამისთვის//მაგისთვის

მაგ., რა მიზნით იყენებენ მონიტორინგის აპარატებს?

იმისათვის, რომ მუდმივი დაკვირვება აწარმოონ პაციენტის
ძირითად სასიცოცხლო მაჩვენებლებზე.

2.5. შეარჩიეთ და გამოტოვებულ ადგილას ჩასვით სიტყვები:

ტომოგრაფია დიაგნოსტიკური კვლევა შეინიშნება გამოვლინება ადრეულდიფერენცირება

პოზიტონინგ-ემისიური ტომოგრაფია ეს არის დიაგნოსტიკური მის შედეგად მიიღება გამოსახულებები, რომლებშიც ბუსტადაა ასახული სხეულში არსებული ბიოქიმიურად აქტიური უბნები. პოზიტონინგ-ემისიური დაავადების ადრეულ სტადიაზე საშუალებას იძლევა და აღმოაჩენს სიმსივნეს მანამ, სანამ რაიმე კლინიკური გამოვლინება გარდა ამისა, აღნიშნული კვლევა იძლევა კეთილთვისებიანი და ავთვისებიანი სიმსივნების ბუსტად საშუალებას. შესაბამისად, უზრუნველყოფს მთელი რიგი დაავადებების ეტაპზე დიაგნოსტიკურებას და სწორ მკურნალობას. პოზიტონინგ-ემისიური ტომოგრაფია ყველაზე ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა ონკოლოგიური დაავადების გამოვლენისა და მისი სტადიის განსაზღვრისათვის. ამ მეთოდით შესაძლებელია ისეთი მცირე ზომის სიმსივნის დანახვაც კი, რომელიც 1 სმ-ს არ აღემატება და არც რაიმე იძლევა.

დაავადების ადრეულ სტადიაზე გამოვლენა, წარმოჩენა.
დაავადების გამოვლინება, რაიმე ნიშნით გამოხატვა.

2.6. წაიკითხეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს:

- რა დანიშნულება აქვს საავადმყოფოს მიერ შეძენილ აპარატებს?
- რისთვის იყენებენ უქოსკოპის აპარატს სამეანო საქმეში?

საავადმყოფომ სამი ულტრასონოგრაფიის აპარატი შეიძინა. ასეთი უახლესი მოდელით ჭერჭერობით მსოფლიოს მხოლოდ რამდენიმე წამყვანი კლინიკაა აღჭურვილი. უქოსკოპის ასეთი აპარატურა მსოფლიოში საუკეთესოდ მიიჩნევა. აპარატი გამოსახულების მკვეთრ ვიზუალიზაციას ახდენს, რაც მნიშვნელოვანია ნებისმიერი გამოკვლევისათვის; განსაკუთრებით გამოსაყენებელია სამეანო საქმეში, რადგან მისი მეშვეობით ნაყოფის შესწავლა მრავალმხრივად შესაძლებელი. ეს ერთიორად მნიშვნელოვანია ორსულობის პირველ პერიოდში, როდესაც უნდა შეფასდეს ნაყოფის ტვინის, კიდურების, თავის ქალისა და სახის კუნთების ჩამოყალიბების პროცესი.

ფერადი მონიტორი ხარისხიან გამოსახულებას იძლევა. აპარატს აქვს ნაყოფის გულის გამოკვლევის პროგრამაც. შეიძლება გამოსახულების როგორც ფირზე აღბეჭდვა, ასევე — დისკზე ჩაწერა. მშობლები თავიანთ პატარას იცნობენ მანამ, სანამ ის დაიბადება.

მხოლობითი

ვიცნობ მე მას	მიცნობს ის მე
იცნობ შენ მას	გიცნობს ის შენ
იცნობს ის მას	იცნობს ის მას

მრავლობითი

ვიცნობთ ჩვენ მას	გვიცნობს ის ჩვენ
იცნობთ თქვენ მას	გიცნობთ ის თქვენ
იცნობენ ისინი მას	იცნობს ის მათ

მაგ., მე ვიცნობ მას, ის კი მიცნობს მე.

2.7. მოცემული გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:

N	გუშინ	დღეს	ხვალ
1	განარჩია	არჩევს	განარჩევს
2	მისცა	აძლევს	მისცემს
3	განსაზღვრა	განსაზღვრავს	განსაზღვრავს



2.8. მოსმენა:

დიალოგი თემაზე: ინტერვიუ ჭანდაცვის მინისტრთან

2.9. მოისმინეთ ჩანაწერი, სწორი პასუხი აღნიშნეთ ✓ სიმბოლოთი:

სამინისტრო დაეხმარება საავადმყოფოებს უახლესი აპარატურის შეძენაში.	
უახლესი სამედიცინო აპარატურა ძვირი არ ღირს.	
მეორე ეტაპზე სამინისტრო მოელაპარაკება საავადმყოფოების დირექტორებს, თუ რა ტიპის აპარატურა დასჭირდებათ მათ.	
მოქალაქეებს ისევ მოუწევთ სამედიცინო მომსახურების მისაღებად სხვა ქვეყნებში სიარული.	

2.10. მოსმენილი მასალის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს:

- რამდენი ხანი გრძელდება ჭანდაცვის სამინისტროს პროგრამა?
- რომელ საავადმყოფოებს დაეხმარება სამინისტრო?
- რა ტიპის აპარატურაზე კეთდება განსაკუთრებული აქცენტი?
- როდის გაიმართა ჭანდაცვის სამინისტროს ახალი პროგრამის პრეზენტაცია?

2.11. მოსმენილი მასალის მიხედვით დაასახელეთ სამი მნიშვნელოვანი ინფორმაცია:

- _____
- _____
- _____

2.12. საპრეზენტაციო თემა:

უახლესი ტექნოლოგიების მნიშვნელოვანი სამედიცინო საქმეში



დაიგანვითონ!

შემდეგ – უკან, შემდგომ, მერე.

მაგ., ექიმის გასინჯვის შემდეგ ავადმყოფს ინსტრუმენტულ-ლაბორატორიული გამოკვლევები დაწინიშნა: გულმკერდის რენტგენი და სისხლის საერთო ანალიზი.

ჩემ შემდეგ	ჩვენ შემდეგ
შენ შემდეგ	თქვენ შემდეგ
[ი]მის შემდეგ	[ი]მათ შემდეგ
მაგრამ: ექიმის გასინჯვის შემდეგ	

2.13. წერა:

იმსჯელეთ საკითხებები: რატომ სურთ პოზიტიურულ-ემისიური ტომოგრაფიის გაკეთება?



ეს საინტერესოა!



სურ. 4 ლენეკის ხის სტეთოსკოპი



სურ. 5 თანამედროვე სტეთოსკოპი
(ფონენდოსკოპი)

ერთ-ერთი პირველი დამხმარეხელსაწყო, რომელიც გამოიყენეს მედიცინაში იყო სტეთოსკოპი. მისი დანიშნულებაა შინაგანი ორგანოების ფუნქციონირების დროს წარმოქმნილი ბგერების გაძლიერება მათი უკეთ მოსმენისა და შეფასების მიზნით. სტეთოსკოპი შექმნა და პირველმა გამოიყენა ფრანგმა ექიმმა რენე ლენეკმა 1816 წელს პარიზში. ლენეკს სტეთოსკოპის შექნის იდეა უკარნახა უხერხულმა სიტუაციამ. ქალის გულის ტონების მოსასმენად მას პაციენტის გულმკერდზე უნდა მიედო ყური. თავდაპირველად ლენეკმა გამოიყენა ქაღალდის დახვეული ფურცელი და შეამჩნია, რომ ამ გზით უკეთ შეიძლებოდა ბგერების მოსმენა. შემდგომში მან დაამზადებინა ხის ერთიანი ნაჭრისაგან მოსასმენი მილი, რომელსაც სტეთოსკოპი (გულმკერდზე დაკვირვება) უწოდა (სურ. 4). ბუნებრივია, რომ პირველმა სტეთოსკოპმა, რომელიც ერთი ყურისათვის იყო შექმნილი, ბიძგი მისცა მის მოდერნიზაციას. თანამედროვე სამედიცინო პრაქტიკაში დღეს სხვადასხვა ტიპის მოსასმენი აპარატები გამოიყენება.

III ნაწილი სამკურნალო კურორტები, სამკურნალო კროცედურები

3.1. მოსამზადებელი სამუშაო:



სურ.1 აბასთუმანი



სურ.2 ბორჯომი

უპასუხეთ შემდეგ კითხვებს!

1. ყოფილხართ თუ არა სამკურნალო კურორტზე?
2. რის მიხედვით აგირჩევიათ ესა თუ ის კურორტი?
3. რამდენად კმაყოფილი დარჩით თქვენ ან თქვენი ახლობელი კურორტზე ყოფნით?

3.2. ტექსტი:

კურორტი ეს არის ადგილი, სადაც არსებობს ბუნებრივი სამკურნალო საშუალებები (მინერალური წყალი, ტალახი, გამაჯანსაღებელი თვისებების მქონე ჰავა) და სამკურნალო-პროფილაქტიკური მიზნით მათ გამოსაყენებლად აუცილებელი პირობები. კურორტის პროფილს ერთი რომელიმე წამყვანი ბუნებრივი ფაქტორი განსაზღვრავს. განასხვავებენ კურორტების სამ ძირითად ჯგუფს: **კლიმატურს, ბალნეოლოგიურსა და ტალახით სამკურნალოს.** კლიმატური კურორტი თავის მხრივ შეიძლება იყოს მთის, ტყის, ველისა და ზღვის. ბალნეოლოგიური კურორტი არის როგორც სასმელი წყლის, ასევე — აბაზანებით სამკურნალო. შესაძლებელია კურორტზე ერთდროულად არსებობდეს რამდენიმე ბუნებრივი სამკურნალო საშუალება. ასეთი კურორტი შერეული პროფილისაა, მაგალითად, კლიმატურ-ბალნეოლოგიური, ბალნეოლოგიურ-ტალახისა, კლიმატურ-ტალახისა, კლიმატურ-ბალნეოლოგიურ-ტალახისა და სხვა. საქართველო გამორჩეულია თავისი სამკურნალო კურორტებით.

მის ძირითად საკურორტო ფაქტორს წარმოადგენს ჰავა, რაც გაპირობრებულია საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობით — ქვეყნის ტერიტორიაზე მთისა და ზღვის ჰაერის **თანაარსებობით.** ასევე მრავალფეროვანია საქართველოს **ჰესურების მიზანმიზნები.** ქვეყანაში მოიპოვება -2000ზე მეტი მინერალური წყალი, რომლებსაც განსხვავებული სამკურნალო თვისებები აქვს.

კურორტზე, **იმისდა მიხედვით,** თუ რომელ ჯგუფს განეკუთვნება ის, აუცილებლად ტარდება სხვადასხვა სახის სამკურნალო **პროცედურები.** ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სამკურნალო პროცედურაა აბაზანა. არსებობს წყლის, ჰაერის, ტალახის, მზის, რადიაქტიური (რადონის), ქვიშისა და სხვა ტიპის აბაზანები. ასევე სამკურნალო პროცედურებს მიეკუთვნება **ჰესურების მიზანმიზნები, შარკო,**

წყალქვეშა მასაჟი და დაჭიმვები, სამკურნალო წყლის დალევა, კუჭის-ნაწლავის **ამორეცხვა** მინერალური წყლით, **ჰიდროკოლონოთერაპია,** **სიფონური ოყნები** სამკურნალო წყლებით და სხვა. ეს პროცედურები **მოურჩენელ**, ქრონიკულ დაავადებებსაც კი ამსუბუქებს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამკურნალო პროცედურების მრავალფეროვნება დამოვიდებულია კურორტის ტიპსა და ექიმის მიერ განსაზღვრულ ჩვენებაზე, რომლის მიხედვითაც სრულდება სამკურნალო-პროფილაქტიკური პროცედურები. არ შეიძლება ექიმის დანიშნულების გარეშე სამკურნალო პროცედურების ჩატარება, რადგან ასეთ შემთხვევაში ისინი შეიძლება იყოს ჯანმრთელობის დამაზიანებელი.

3.3. ლექსიკა:

ფაქტორი – რაიმე მოვლენის განმსაზღვრელი ან პროცესის მამოძრავებელი ძალა.

კლიმატი – ამინდის ტიპი, რომელიც გარკვეულ ადგილებში წლიდან წლამდე მეორდება.

ბალნეოლოგია – მეცნიერების დარგი, რომელიც შეისწავლის მინერალურ წყლებსა და ტალახებს, მათ სამკურნალო თვისებებს.

პროცედურა – ექიმის მიერ მკურნალობის მიზნით დანიშნული ღონისძიება.

ჰიდრომინერალური რესურსები – მინერალური წყლები.

ჰიდრომასაჟი – სამკურნალო-პროფილაქტიკური პროცედურა, რომლის დროსაც ადამიანის სხეულზე ერთდროულად გემოქმედებენ თბილი წყლითა და მასაჟით.

შარკო – სამკურნალო შხაპი, მასაჟი წყლის ჭავლის წნევით.

დაჭიმვები – ხერხემლის დაჭიმვა სხვადასხვა მეთოდით.

ამორეცხვა – აქ: წყლით გასუფთავება (კუჭ-ნაწლავის).

ჰიდროკოლონოთერაპია – სპეციალური აპარატის მეშვეობით ნაწლავების გამორეცხვა წყლითა და წყალებსნარებით.

სიფონური ოყნა – ოყნის ნაირსახეობა, რომლითაც ნაწლავებში წყალი შეჰყავთ მრავალჯერ და რიტმულად.

3.4. ტექსტის გააზრება:

- რა არის კურორტი?
- რა და რა სახის კურორტები არსებობს?
- როგორი შეიძება იყოს კლიმატური კურორტი?
- რა სახის შერეული პროფილის კურორტები არსებობს?
- რაზე დამოკიდებული სამკურნალო პროცედურების მრავალფეროვნება?
- რატომ არ შეიძლება ექიმის გარეშე სამკურნალო პროცედურების ჩატარება?

სინონიმები	ანტონიმები
<p>კლიმატი – ჰავა</p> <p>რესურსი – აქ: მარაგი</p> <p>ადგილი – ტერიტორია</p> <p>შერევა – დიფუზია</p> <p>ჰიდრომასაჟი – წყლით მასაჟი</p> <p>დაჭიმვა – გაწელვა</p> <p>აბაზანა – ვანა</p>	<p>შერეული – შეურეველი</p> <p>ჩვენება – უკუჩვენება</p> <p>ერთდროულად – ცალ-ცალკე</p> <p>გამოსაყენებელი – გამოუსადეგარი,</p> <p>გამოუყენებელი</p> <p>ზღვა – ხმელეთი</p>



დაიმახსოვრეთ!

ბ.

თანა აღნიშნავს თანხლებას, ვიღაცასთან ერთად ყოფნას ან ვინმესთან ერთად რაიმეს ქონას.
მაგ., **თანაარსებობა** გულისხმობს ორი ან რამდენიმე პირის ერთად ყოფნას, ერთად არსებობას.
ასევეა მიღებული სიტყვა **თანამონაწილე**.

ბ.

რას იზამს? მოარჩენს
როგორი? მოურჩენელი
რა? მოურჩენლობა
 მაგ., ეს პროცედურები **მოურჩენელ** დაავადებებსაც კი ამსუბუქებს.
 ეს რა **მოურჩენლობა** დამემართა?

3.5. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით წყვილები:

ზღვის დონიდან მარადმწვანე ტყით მთის კლიმატური ჰაერის თანაარსებობა ბომიერად გრილი ლეგენდის თანახმად სამკურნალო თვისებები იქაურმა ჰაერმა

ბახმარო კურორტია. ის მდებარეობს -1926 2050 მეტრზე. ბახმაროს ჰავის თავისებურებებია: ზღვისა და მთის, უმეტესად ზრვიურიქარები, ზამთარი ზომიერად რბილი, ზაფხული ბახმაროს ტერიტორია გარშემორტყმულია ნაძვისა და სოჭის , კურორტის სახელი ულამაზეს თავადის ქალს, მაროს უკავშორდება. მარო თურქებმა მოიტაცეს და ხანჯლით მოკლეს ამ ადგილას; ქვაზე კი დააწერეს: „ბახ მარო“, ანუ „ნახეთ თქვენი მარო“.

ბახმაროს ჰაერის უნიკალური პირველად ამ მხარეში ბაფხულის საძოვრებები ამოსულმა მწყემსებმა აღმოაჩინეს, როცა ჭლექით დაავადებული ერთ-ერთი მწყემსი სასწაულებრივად გამოაჯანმრთელა.

3.6. დაავავშირეთ:

ჰიდრომინერალური	დაჭიმვა
სიფონური	ტიპი
კურორტის	მასაჟი
მინერალური	მკურნალობა
ტალახით	ოყნა
წყალქვეშა	წყალი
კუჭ-ნაწლავის	რესურსები
ექიმის	დანიშნულება
მოურჩენელი	ამორეცხვა
ხერხემლის	დაავადება

3.7. ხაზგასმული სიტყვები შეცვალეთ მათი სინონიმებით:

ლიკანი ბალნეოლოგიური კურორტია. ის მდიდარია მინერალურის წყლების რესურსებით. ლიკანის თბილ წყალს ახასიათებს მაგნიუმისა და კალციუმის განსაკუთრებული კომპინაცია და ბუნებრივი გაზის სიუხვე. ლიკანის კლიმატი ბომიერია: ზამთარში თბილი, ზაფხულში გრილი. ლიკანის პარკის ცენტრში დგას რომანოვების სასახლე, რომელიც რუსეთის დიდმა მთავარმა ნიკოლოზ მიხეილის ძემ თავისი ძმისთვის, რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე II-სათვის ააშენებინა. ლიკანში შესაძლებელია როგორც სამკურნალო წყლის დაღვევა, ასევე სხვა პროცედურების ჩატარებაც; მაგალითად, კუჭ-ნაწლავის ამორეცხვის, ინჰალაციის, წყლის მასაჟის, ხერხემლის გაწელვის და ა.შ. ლიკანში ხარობს იშვიათი ჯიშის ხეები, მათ შორის: ესპანური სოჭი, ყავისფერი წიფელი, ვერცხლისფერი ნაძვი და წითელი წაბლი.

3.8. მოცემული გმინების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:

N	გუშინ	დღეს	ხვალ
1	განასხვავა	ასხვავებს	განასხვავებს
2	იარსება	არსებობს	იარსებებს
3	ჩატარდა	ტარდება	ჩატარდება
4	იწარმოვა	წარმოებს	იწარმოებს



3.9. მოსმენა დიალოგი თემაზე: დასვენება კურორტებზე

3.10. მოისმინეთ ჩანაწერი, სწორი პასუხი აღნიშნეთ ან სიმბოლოთი:

კოტეს გული აწუხებს.	
აბასთუმანი მხოლოდ კლიმატური კურორტია.	
კოტეს ექიმმა მშვიდი დასვენება ურჩია.	
კოტეს შვილები და შვილიშვილები ზღვაზე მიდიან.	

3.11. მოსმენილი მასალის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს:

1. სად მიდის კოტე დასასვენებლად?
2. რამდენი ხანი რჩება კოტე კურორტზე?
3. რა აწუხებს კოტეს?
4. ვისთან ერთად მიდის კოტე დასასვენებლად?

3.12. მოსმენილი მასალის მიხედვით დაასახელეთ სამი მნიშვნელოვანი ინფორმაცია:

1. _____
2. _____
3. _____

3.13. საპრეზენტაციო თემა:

რათომ არის ჩვეულებრივ დასვენებაზე უკათხესი კურორტზე დასვენება?



დაიმახსოვრეთ!

მიხედვით — ვინმეს ან რაიმეს გათვალისწინებით, შესაბამისად.

მიუხედავად — რისამე ყურადღების მიუქცეველად, ანგარიშის გაუწევლად.

მაგ., პროფილის მიხედვით განასხვავებენ კურორტების სამ ძირითად ჭვეფს.

მკურნალობის მიუხედავად, ტკივილი მაინც მაწუხებს.

ამისდა მიხედვით, ან: ამისდა მიუხედავად...

ან: მიუხედავად ამისა, ...

ენა წაიგრძელა — ზედმეტს, ბევრს ლაპარაკობს, ყბედობს; იგივეა, რაც: გრძელი ენა აქვს, ენაგრძელია.

ენა წინ უსწრებს — უადგილოდ, დაუფიქრებლად ლაპარაკობს.

ენა მუცელში ჩაუვარდა — გაჩუმდა; ლაპარაკი, საუბარი შეწყვიტა.

ზურგი შეაქცია — უარყო; მიატოვა ვინმე ან რამე.

მაგარი ზურგი აქვს — იგივეა, რაც ძლიერი პატრონი, მფარველი ჰყავს.

3.14. წერა:

იმსჯელეთ საკითხებე: რომელ კურორტზე დავისვენებდი სიამოვნებით? რატომ?



ეს საინტერესოა!

აბასთუმანი და ბორჯომი საქართველოს ერთ-ერთი უძველესი კურორტებია. ბორჯომი ცნობილია სამკურნალო მინერალური წყლებით, რომლებიც გამოიყენება კუჭ-ნაწლავის, სანალვლე გზებისა და თირკმელების დაავადების სამკურნალოდ. ბორჯომის წყალი დედამიწის ზედაპირზე ამოდის 10-8 კილომეტრის სიღრმიდან. ბევრი სხვა წყლებისგან განსხვავებით, ვერ ასწრებს მიწის ქვეშ გაციებას და ზედაპირზე ამოდის თბილი სახით ($38-41^{\circ}\text{C}$). წყალი გამდირებულია კავკასიონის მთებში არსებული 60 სხვადასხვა მინერალით, რაც განაპირობებს ბორჯომის წყლის უნიკალურ სამკურნალო თვისებებს.

დაბა აბასთუმანი ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სამთობალნეოლოგიური კურორტია. ის აჭარა-იმერეთის უღელტეხილის ერთ-ერთ ნაწილში, მარადმწვანე ხეობაში მდებარეობს. ისტორიკოსი და გეოგრაფი ვახუშტი ბაგრატიონი წერდა, რომ ახლანდელი აბასთუმნის ადგილას ჭერ კიდევ XIV საუკუნეში ყოფილა მჭიდროდ დასახლებული ქალაქი ოძრხე, განთქმული სამკურნალო წყლებით. კურორტ აბასთუმანში ბომიერად მშრალი ჰავაა; ხეობა დაფარულია წიწვოვანი ტყით, რომელშიც

ფიჭვი დომინირებს. გაზაფხულზე ფიჭვი იწყებს ყვავილობას, რის შედეგადაც იგი გამოყოფს მტვერს, რომელიც მიმოიფარება ჰაერში; სუნთქვის დროს იგი ხვდება ფილტვებში. ფიჭვის მტვერი ერთ-ერთი საუკეთესო სამკურნალო საშუალებაა ფილტვის სხვადასხვა დაავადებისთვის, რომელთა რიცხვს განეკუთვნება ფილტვის ტუბერკულოზიც.

ლექსიკა:

ამორეცხვა — წყლით გასუფთავება (კუჭ-ნაწლავის).

ანამნეზი — მოგონება, ცნობები ავადმყოფის ცხოვრების შესახებ დაავადებამდე და ავადმყოფობის განვითარების ისტორია.

აუდიომეტრია — სმენის გამოკვლევა.

აუსკულტაცია — მოსმენა; გამოკვლევის მეთოდი, ადამიანის ან ცხოველის შინაგან ორგანოებში (გული, ფილტვები და სხვ.) წარმოშობილი ხმების მოსმენა, მაგალითად, ფონენდოსკოპით ან შეუიარაღებელი ყურით.

აღჭურვილობა — სათანადო მოწყობილობები, დანადგარები

ბალნეოლოგია — მეცნიერების დარგი, რომელიც შეისწავლის მინერალურ წყლებსა და ტალახებს, მათ სამკურნალო თვისებებს.

გენეტიკა — შეისწავლის ორგანიზმის განვითარებასა და მემკვიდრეობითობას.

გენეტიკური ანალიზი — ანალიზი გენეტიკის დასადგენად.

გენი, გენები — ორგანიზმის მემკვიდრეობითობის ინფორმაციის მატარებელი.

გლუკოზია — ყურძნის შაქარი.

გულ-ფილტვის ჩანაცვლებითი მოწყობილობები — გულისა და ფილტვების ხელოვნურად ასამუშავებელი აპარატები.

დაჭიმვები — ხერხემლის დაჭიმვა სხვადასხვა მეთოდით.

დიალიზი — ორგანიზმიდან ჭარბი სითხის ხელოვნურად მოშორება.

ელექტროენცეფალოგრამა — სპეციალური ხელსაწყოს მიერ აღრიცხული თავის ტვინის ელექტრონული ტალღები.

ელექტროგარდიოგრაფია — ელექტროგარდიოგრამის (გულის მუშაობის დროს გულის კუნთში აღძრული ელექტრული იმპულსების გრაფიკული გამოსახულება) გადაღება.

ელექტროფიზიოლოგიური გამოკვლევა — გამოკვლევა, რომლის დროსაც შესაბამის ვენაში იდგმება კათეტერი, ხდება ელექტროდების შეყვანა და ინფორმაციის ჩაწერა.

ექოსკოპია — ულტრაბგერითი სკანირება.

ვიზუალიზაცია — დანახვა.

კლიმატი — ამინდის ტიპი, რომელიც გარკვეულ ადგილებში წლიდან წლამდე მეორდება.

კორექცია — შესწორება, გასწორება.

ინკუბაციონი — ხელოვნურად გამოსაჩეკი მოწყობილობა.

ინსპექცია — შემოწმება იმისათვის, რომ სათანადოდ შესრულდეს.

ინსტრუმენტი — რამე სამუშაოს შესასრულებელი იარაღი.

კომპიუტერული ტომოგრაფია — დიაგნოსტიკის მაღალინფორმაციული მეთოდი. მისი საშუალებით პირველად გახდა შესაძლებელი თავის ტვინის დანახვა.

კორონაროგრაფია — გულის სისხლძარღვების გამოკვლევა.

მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია — ორგანიზმის ამა თუ იმ სტრუქტურის დანახვა მაგნიტისა და რადიოტალღების გამოყენებით.

მოლეკულა — ნივთიერების უმცირესი ნაწილაკი, რომელსაც აქვს ამ ნივთიერების ძირითადი ქიმიური თვისებები.

მოლეკულურ-ბიოლოგიური გამოკვლევა — სხვადასხვა ორგანოს ფუნქციის გამოკვლევა მოლეკულურ დონეზე.

ნარკოზი — ხელოვნური საშუალებებით გამოწვეული ძილი.

ნახველი — რაც ამოახველეს, ხველის შედეგად გამოყოფილი ლორწო.

პალპაცია — ავადმყოფის ორგანოების ხელით გასინჯვის მეთოდი.

პერკუსია — ავადმყოფის გასინჯვა სხეულზე თითების ან სპეციალური ჩაქუჩის კავუნით; გამოცემული სმით ექიმი არვევეს შინაგანი ორგანოების მდგომარეობას.

პოზიტონულ-ემისიური ტომოგრაფია — უახლესი ტექნოლოგია, რომელიც აღმოაჩენს სიმსივნეს მაშინაც კი, როცა ჭერ კიდევ არავითარი კლინიკური გამოვლინება არ შეინიშნება.

პროცედურა — ექიმის მიერ მკურნალობის მიზნით დანიშნული ღონისძიება.

რენტგენოლოგიური გამოკვლევა — გამოკვლევა რენტგენის სხივებით, რომლებიც ქსოვილებში გავლისას შთაინთქმება და მიიღება გამოსახულება სპეციალურ ეკრანზე, შემდგომ კი აღიბეჭდება სურათზე.

საინექციო ტუმბოები — საინექციო ხსნარის შემწოვი მოწყობილობა.

სიფონური ოყნა — ოყნის ნაირსახეობა, რომლითაც ნაწლავებში წყალი შეჰყავთ მრავალჯერ და რიტუალად.

სკანირება — სხივის ან რისამე სივრცობრივი გადაადგილებით გამოსახულების ეკრანზე აღბეჭდვა.

ტომოგრაფია — რენტგენოლოგიური გამოკვლევა; მისი საშუალებით შეიძლება იმ ფენის გადაღება, რომელიც გარკვეულ სიღრმეში მდებარეობს.

ულტრასონოგრაფია — ექსკოპია.

ფაქტორი — რაიმე მოვლენის განმსაზღვრელი ან პროცესის მამოძრავებელი ძალა.

შარკო — სამკურნალო შხაპი, მასაჟი წყლის ჭავლის წერვით.

ჰიდროკოლონოთერაპია — სპეციალური აპარატის მეშვეობით ნაწლავების გამორეცხვა წყლითა და წყალებსნარებით.

ჰიდრომასაჟი — სამკურნალო-პროფილაქტიკური პროცედურა, რომლის დროსაც ადამიანის სხეულზე ერთდროულად ზემოქმედებენ თბილი წყლითა და მასაჟით.

ჰიდრომინერალური რესურსები — მინერალური წყლები.

8მნები:

N	ახლანდელი	წარსული		მომავალი	მომავალი + უნდა	თურმეობითი	საწყისი
		რას შვრება?	რას შვრებოდა?	რა ქნა?	რა იგამს?	რა უნდა ქნა?	რა?
1.	ადგენს	ადგენდა	დაადგინა	დაადგენს	დაადგინოს	დაუდგენია	დადგენა
2.	ათვალიერებს	ათვალიერებდა	დაათვალიერა	დაათვალიერებს	დაათვალიეროს	დაუთვალიერებია	დათვალიერება
3.	არსებობს	არსებობდა	იარსება	იარსებებს	იარსებოს	უარსებია	არსებობა
4.	არჩევს	არჩევდა	აირჩია	აირჩევს	აირჩიოს	აურჩევია	არჩევა
5.	აძლევს	აძლევთა	მისუა	მისცემს	მისცეს	მიუცია	მიცემა
6.	განასხვავებს	განასხვავებდა	განასხვავა	განასხვავებს	განასხვაოს	განუსხვავებია	განსხვავება
7.	განსაზღვრავს	განსაზღვრავდა	განსაზღვრა	განსაზღვრავს	განსაზღვროს	განუსაზღვრავს	განსაზღვრა
8.	იგვლევს	იგვლევდა	გამოიგვლია	გამოიგვლევს	გამოიგვლიოს	გამოიუკვლევია	გამოკვლევა
9.	კრებს	კრებდა	შეკრიბა	შეკრებს	შეკრიბოს	შეეკრიბავს	შეკრება
10.	ტარდება	ტარდებოდა	ჩატარდა	ჩატარდება	ჩატარდეს	ჩატარებულა	ჩატარება
11.	ფლობს	ფლობდა	დაეფლო	დაეფლება	დაეფლოს	დაუფლებულა	დაუფლება
12.	წარმოებს	წარმოებდა	იწარმოვა	იწარმოებს	იწარმოს	წარმოებულა	წარმოება

VIII თავი ქართული ენა პროფესიულ ურთიერთობაში ქართული ენა და მედიცინა

I ნაწილი შემახამებელი გაკვეთილი

1.1. ტექსტი:

ნანა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელია, მაგრამ ყოველთვის უნდოდა ექიმი გამოსულიყო. მისი დედა, მამა და ძმები ექიმები არიან. ნანამ გადაწყვიტა პირველადი სამედიცინო დახმარების სპეციალური კურსი გაევლო, რომლის დაუფლებაც ყველა მოქალაქეს შეუძლია. მან ეს კურსისამედიცინო უნივერსიტეტში მოისმინა. ნანამ შეისწავლა: სასუნთქი გზების გამავლობის აღდგენა, ხელოვნური სუნთქვის ჩატარება, სისხლის ცირკულაციის აღდგენა გულის დახურული მასაჟით და სისხლდენის შეჩერება. ის ისეთ ნახვევს ადებს ავადმყოფს, რომ ექიმსაც კი შეშურდება. ნანამ შეძლო შეენარჩუნებინა მებობლის პატარა ბავშვისთვის სიცოცხლე. მან ბავშვის გულის არაპირდაპირი მასაჟი ერთი ხელით განახორციელა. ის ფრთხილობდა, რომ პატარისათვის **ნეკნი** არ მოეტება. ნანამ ბავშვს არაპირდაპირი მასაჟი და ხელოვნური სუნთქვა იქამდე ჩაუტარა, სანამ სასწრაფო დახმარება არ მოვიდა. სასწრაფოს ექიმმა მას მადლობა გადაუხადა ბავშვის გულ-ფილტვის რეანიმაციის გამო. გულის არაპირდაპირი მასაჟი იმდენად ეფექტურად იყო ჩატარებული, რომ ბავშვს სასწრაფოს მისვლისთვის უკვე აღდგენილი ჰქონდა ბულსაცია და თვალის გუგებიც რეაგირებდნენ.

ნანამ ხელოვნური სუნთქვა მანუალური მეთოდით ჩაატარა — პირიდან პირში, თუმცა გადაწყვიტა, აუცილებლად შეიძინოს სპეციალური ნიღაბიც. მექანიკური მეთოდებით ხელოვნური სუნთქვის ჩატარებას ნანა ჭერჭერობით ვერ ბედავს, მაგრამ ამბობს, რომ, თუ ადამიანს გაუჭირდა, უკან არ დაიხევს და კონიოტომიასაც მიმართავს, ტრაქეაში მემბრანის გაჩხვლეტით სასუნთქი მიღის შეყვანას. ნანას ნანასი აქვს, თუ როგორ გაუჭრა მამამისმა პაციენტს კისერი განაკვეთით და ტრაქეაში სპეციალური მიღი ჩაუდგა — ტრაქეოსტომია. მამამ აუხსნა, რომ ავადმყოფს დაზიანებული ჰქონდა ზემო სასუნთქი გზები და ჰაერი მისი ცხვირიდან ან პირიდან ფილტვებში ვეღარ მოხვდებოდა.

ნანამ თავისი პროფესია — ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლობა — კიდევ ერთი მიმართულებით განავითარა. ის ასწავლის საქართველოს **არაქართულენოვან მოსახლეობას** ქართულ ენას **პროფესიულ ურთიერთობაში**, კერძოდ, „ქართულ ენასა და მედიცინას“. ნანას აზრით, ადამიანის სიცოცხლის აზრი და უმაღლესი ლიტერატურება სხვისი დახმარებაა.

1.2. ლექსიკა:

დაუფლება — აქ: ცოდნის მიღება.

ნეკნი — წვრილი რკალისებური ძვალი, რომელიც ხერხემლიდან მიღის გულმკერდის ძვალთან.

არაქართულენოვანი მოსახლეობა — მოსახლეობა, რომლის მშობლიური ენა არ არის ქართული.

პროფესიული ურთიერთობა — პროფესიით დაკავშირებულ ადამიანებთან ურთიერთობა.

1.3. ტექსტის გააზრება:

1. ვინ არის ნანა?
2. რა სურვილი ჰქონდა ნანას ყოველთვის?
3. რა ნაბიჯი გადადგა ნანამ, რათა ადამიანებს დახმარებოდა?
4. რომელი სამედიცინო პროცედურების ჩატარება შეისწავლა ნანამ?

5. გამოიყენა თუ არა მან თავისი ცოდნა პრაქტიკულად?
6. რა შემთხვევაში უდგამენ პაციენტს ტრაქტეოსტომას?
7. რა მხრივ განავითარა ნანამ თავისი პროფესია?

როგორი?

ღირებული — დიდი ფასის მქონე, მნიშვნელოვანი
რა?

ღირებულება — რამის ფასი, მნიშვნელობა

- 1.4. ა) დიალოგის მიხედვით განსაზღვრეთ სისხლის ჭგუფი და რეზუსი მემკვიდრეობით გადადის თუ არა?
- ბ) შესაძლებელია თუ არა პირველი ჭგუფის რეზუს დადებითი სისხლი გადაესხას მეორე ჭგუფის რეზუს უარყოფითი სისხლის მქონეს?

გურა: რა ჭგუფის სისხლი გაქვს, იცი?

თამარი: როგორ არა, პირველი ჭგუფის.

გურა: და რეზუსი?

თამარი: რეზუს უარყოფითი.

გურა: ე.ი. შენ იშვიათი სისხლი გაქვს. როგორც ვიცი, მოსახლეობის უდიდეს ნაწილს აქვს რეზუსი, მხოლოდ 15 %-ია რეზუს უარყოფითი.

თამარი: ხო, ვიცი. რას ვიზამ? მამაჩემსაც რეზუს უარყოფითი აქვს და ჩემს დასაც, ორივეს — პირველი ჭგუფი.

გურა: ე.ი. სისხლის ჭგუფიცა და რეზუსიც მემკვიდრეობით გადადის?

თამარი: რა თქმა უნდა, მაგრამ შეიძლება ჩემს შვილს რეზუს დადებითი ჰქონდეს, ანუ მამის სისხლი და არა ჩემი.

გურა: მე ვიცი, რომ პირველი ჭგუფის სისხლის გადასხმა სხვა ყველა ჭგუფის სისხლის ადამიანისათვის შეიძლება რეზუსის გათვალისწინებით. უარყოფითი რეზუსის ადამიანებს რეზუს უარყოფითიანის სისხლი უნდა გადაესხას.

თამარი: ეს ადრე იყო, რომ პირველი ჭგუფის სისხლს ყველას უსხამდნენ. ახლა მხოლოდ თავისი ჭგუფი უნდა გადაესხას. ექსტრემალურ სიტუაციაში პირველი რეზუს უარყოფითი სხვა ჭგუფის რეზუს უარყოფითიანებსაც შეიძლება მიეწოდოს.

- 1.5. ა) დიალოგის მიხედვით განსაზღვრეთ, რომელი ხარისხის დამწვრობა აქვს თამარს?
- ბ) რა მოუვიდოდა თამარს III ბ ხარისხის დამწვრობა რომ ჰქონდა?

ლაშა: ხელზე რა გაქვს?

თამარი: ეს ლაქა დამწვრობისგან დამრჩა.

ლაშა: როგორ დაიწვი?

თამარი: მდუღარე საღილი გადამესხა.

ლაშა: მერე არ გეტკინა?

თამარი: როგორ არა. ძლიერი ტაიპილი მქონდა. ქარვისფერი სითხით სავსე ბუშტუკები გამიჩნდა.

ლაშა: რამდენი ხანი დასჭირდა დამწვრობის განკურნებას?

თამარი: ასე, 3-2 კვირა.

1.6. უპასუხეთ კითხვებს საპირისპირო სიტყვების გამოყენებით:

ნიმუში: — ღრმად დაგეწვა?

- არა, ზედაპირულად.
- ჭრილობა შეხორცებული აქვს?
- არა, შეუხორცებელი.

ა. — გასინჯვა უმტკივნეულო იყო?

- არა,

ბ. — ნაჭრილობევზე კანი რბილი გაქვს?

- არა,

გ. — როგორ ფიქრობ, ეს პაციენტი დაიღუპება?

- არა,

დ. — მუცლის არეში **ძლიერი** ტკივილები გაწუხებით?

- არა,

ე. — ეს ავადმყოფობა ადვილად გადააქვთ?

- არა, საკმაოდ

ვ. — თქვენს საავადმყოფოში **არაკვალიფიციური** ექთნები მუშაობენ?

- პირიქით, საკმაოდ

ზ. — პაციენტის მდგომარეობა **გაუარესდა**?

- რას ამბობ, პირიქით,

თ. — რაც დრო გადის, ამ დაავაფების გადადების რისკი **მცირდება**?

- როგორ გეკადრება,

ი. — ნინოს **მძიმე** ოპერაცია **ჩაუტარდა**?

- არა, მსუბუქი.

კ. — განკურნების ეს მეთოდი სამედიცინო სფეროში **დაუნერგავია**?

- ბევრგან უკვე

1.7. ა) აირჩიეთ ორი სიტყვა ან წყვილი, რომლებიც აზრობრივად შეესაბამება გამოყოფილ გმნებს:

ბ) მიღებული წყვილებით შეადგინეთ წინადადებები:

გასინჯა..... (ავადმყოფი, გაკვეთილი, საავადმყოფო, ნამცხვარი, მაკრატელი)

შეკრიბა..... (კანონები, ანამნეზი, ანალიზის პასუხები, თევზები, დამწვრობები)

იდგმება (კათეტერი, სისხლი, ანალიზი, მაგიდა, რეცეპტი)

აღენიშნება (მაღალი ტემპერატურა, თაფის ტკივილი, სახლის სახურავი, რეანიმაციის პალატა, ექთანი)

დაუდგინეს (სახლის აშენება, დიაგნოზი, ექიმის მოვალეობა, ფილტვების ანთება, საუბმის მომზადება)

იკუმშება (ავადმყოფის საწოლი, ექიმის ხელები, გული, ფილტვი, დაავადება)

ჩაუტარდა (პირღებინება, მომატებული მგრძნობელობა, სამედიცინო დახმარება, გამოკვლევები, ანამნეზი)



1.8. მოსმენა

დიალოგი თემაზე: ლუკამ სასწრაფო დახმარებაში დაიწყო მუშაობა.

1.9. მოისმინეთ ჩანაწერი, სწორი პასუხი აღნიშნეთ ឬ სიმბოლოთი:

ახალ სამსახურში ლუკას უფრო ცოტა საქმე აქვს.	
ზაფხულში სასწრაფოს ჩვეულებრივზე უფრო ხშირად იძახებენ.	
ზამთარში სასწრაფოს ძირითადად გულის შეტევის გამო იძახებენ.	
კვირაში ორჯერ ლუკა მორიგეა და მთელი ღამე მუშაობს.	

1.10. მოსმენილი მასალის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს:

1. სად მუშაობს ლუკა?
2. რამდენი ხანია, რაც ლუკა სასწრაფოში მუშაობს?
3. სად იყო ლუკა იმ დილით გამოძახებაზე?
4. რომელ დღეებშია ლუკა მორიგე?

1.11. მოსმენილი მასალის მიხედვით დაასახელეთ სამი მნიშვნელოვანი ინფორმაცია:

1. _____
2. _____
3. _____

1.12. საპრეზენტაციო თემა:

რატომ არის რთული სასწრაფოში მუშაობა?

1.13. წერა:

იმსჯელეთ საკითხზე: როგორ შემიძლია, რომ ავადმყოფს დავეხმარო?



ეს საინტერესოა!

რეცეპტი არის რისამე დამზადების წესი ან აფთიაქში წარსადგენად ექიმის მიერ შედგენილი ბარათი, რომელშიც აღნიშნულია წამლის შემადგენლობა, აგრეთვე მისი მიღების წესები. საქართველოში თაობიდან თაობას გადაეცემოდა სხვადასხვა სამედიცინო რეცეპტი. მაგალითად, დაწვრობის მაღამოს, თავის ტკივილის (შაკივის), კუჭ-ნაწლავის გაუვალობისა და სხვ. ყველაზე

მედიცინა

ცნობილი ექიმები ყოფილან თურმანიძეები. სპარსულად „თურმან“ მკურნალს ნიშნავს. თურმანიძეები საუკუნეთა განმავლობაში მეფის კარის მკურნალები იყვნენ. დღესაც ცნობილია მათი მალამო. ის არის ანტისეპტიკური, ანთების საწინააღმდეგო, ტკივილგამაყუჩებელი საშუალება. მალამო აცილებს ნეკროზულ ქსოვილებს, ასუფთავებს ჭრილობას და ხელს უწყობს ქსოვილის აღდგენას. გადმოცემით, რომ იტალიის ეროვნულ გამათავისუფლებელი მოძრაობის ბელადი — ჯუზეპე გარიბალდი — ფეხის ამპუტაციისგან სწორედ თურმანიძეების მალამომ იხსნა.

II ნაწილი შუალედური შემოწმების ტესტი

მოსასამენი დიალოგები

I თავი

I ნაწილი

დიალოგი: სკოლაში

მასწავლებელი: ნიკა, წელს სკოლას ამთავრებ. გადაწყვიტე, სად აბარებ?

ნიკა: ჯერ არა, ცოტა ხანი კიდევ მაქვს მოსაფიქრებლად.

მასწავლებელი: უფრო მეტად რა გაინტერესებს?

ნიკა: საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიმიღია, მაგრამ ალბათ სამედიცინოზე ჩავაბარებ.

მასწავლებელი: კარგი არჩევანია. რატომ გინდა მედიცინის შესწავლა?

ნიკა: დედაც ექიმი მყავს და მამაც, ამიტომ ამ სფეროში უფრო ვერკვევი. ამაზე კარგირა არის, ადამიანს ჯანმრთელობა და სიცოცხლე რომ შეუნარჩუნო.

მასწავლებელი: ნამდვილად კარგი საქმეა, სხვას რომ ეხმარები. თან მედიცინა ერთ-ერთი უძველესი პროფესიაა. ჯერ კიდევ ქრისტეს დაბადებამდე ასწავლიდნენ ძველ საბერძნეთში.

ნიკა: დიახ, მაგრამ რთული საქმეა, დიდ ხანს სწავლა მომიწევს. სამედიცინოს სტუდენტები 10 წელი მაინც სწავლობენ.

მასწავლებელი: კონკრეტულად რომელი დარგისკენ მიგიწევს გული?

ნიკა: მოსაფიქრებლად დიდი დრო მაქვს. ჯერ ზოგადი საგნები უნდა ვისწავლო. მერეუნდა გადავწყვიტო, რა სფეროში მინდა მუშაობა. მედიცინაში ბევრი მიმართულებაა.

მასწავლებელი: შენც ქირურგობა ხომ არ გინდა შენი მშობლებივით?

ნიკა: მე უფრო დიაგნოსტიკა მაინტერესებს. ადამიანმა უპირველესად ის უნდა გაარკვიოს, რა სჭირს და რა აწუხებს. ვფიქრობ, ეს ერთ-ერთი ყველაზე მთავარი პრობლემა მედიცინაში — სწორი დიაგნოზის დასმა.

მასწავლებელი: მეც გეთანხმები; ძნელ გზას ირჩევ. გეტყობა, რომ ჩემი მოსწავლე ხარ!

II ნაწილი

დიალოგი: მეგობრების შეხვედრა

გიორგი: რამდენი ხანია, არ მინახიხარ? სად დაიკარგე?

ანა: რა ვიცი! ბოლოს როდის შევხვდით, არც კი მახსოვს. ისეთი სამსახური მაქვს, საქართველოში ყოფნა იშვიათად მიწევს.

გიორგი: რა მაგარია, რას საქმიანობ?

ანა: უკვე სამი წელია, წითელ ჯვარში ვარ. ძალიან რთული სამუშაოა.

გიორგი: წითელი ჯვარი ჰქონის არაა! კი მაგრამ, ამდენი საქმე რატომ გაქვს?

ანა: წითელი ჯვარი უფრო მეტად იმ ქვეყნებს ეხმარება, რომელთაც ბევრი პრობლემა აქვს — ომი, სტიქიური უბედურებები. მეც, ძირითადად, ასეთ ქვეყნებში მიწევს მუშაობა. თითქმის წელიწადზე მეტია, აფრიკაში ვარ.

გიორგი: არ გიჭირს, ამდენი ხანი ოჯახს და მეგობრებს რომ ვერ ნახულობ?

ანა: ეს არის ჩემი არჩევანი და ეს საქმე მიყვარს. ექიმიც ამიტომ გავხდი, რომ სხვას დავეხმარო. წითელი ჯვარიც იქ გვაგზავნის, სადაც ადამიანებს დახმარება ყველაზე მეტად სჭირდებათ.

გიორგი: გასაგებია. ამიტომაც ატარებ ამდენ დროს აფრიკაში!

ანა: არა მარტო აფრიკაში, აზიის ქვეყნებშიც, სამხრეთ ამერიკაშიც. იმის გამო, რომ გაჭირვებულ სახელმწიფოებს არ შეუძლია საკუთარი მოსახლეობის დახმარება, ეს საქმე ჩვენ უნდა გავაკეთოთ.

გიორგი: რა თქმა უნდა, ჰქონის არა მოსახლეობის მიზანიც ხომ ეს არის!

ანა: წითელი ჯვრის გარდა სხვა ჰუმანიტარული ორგანიზაციებიც არსებობს, რომლებიც ადამიანებს ეხმარებიან. თუმცა ესეც არაა საკმარისი; გაჭირვეულ ქვეყნებში არც კარგი სავადმყოფოებია, არც საკმარისი მედიკამენტები და არც კარგი ექიმები ჰყავთ ... ერთი სიტყვით, პრობლემა ბევრია.

გიორგი: თბილისში როდემდე ხარ? გეცლება, რომ შევხვდეთ?

ანა: სამწუხაროდ, კვირას ისევ მივთრინავ. სამაგიეროდ ახალ წელს ჩამოვალ და ერთი თვე დავრჩები. შეგვიძლია მაშინ შევხვდეთ.

III ნაწილი

დიალოგი: სახლში

დედა: რა გაქვს ხვალისთვის ისტორიაში სასწავლი?

ნიკა: ისტორიაში? ჰიპოკრატეს ცხოვრება.

დედა: ისტორიაში რატომ სწავლობთ ჰიპოკრატეს ცხოვრებას? როგორც მახსოვს, ის ჰირველი იყო, ვინც მედიცინას მეცნიერულად სწავლობდა.

ნიკა: სწორად გახსოვს. ჰიპოკრატეს ძველი საბერძნეთის ისტორიაში ვსწავლობთ. წიგნში ერთი თავია, რომელშიც მედიცინის, გეოგრაფიის, ასტრონომიისა და სხვა დარგების ისტორიაა მოთხოვილი. ეს მეცნიერებები კი ძველი საბერძნეთიდან მოდის.

დედა: ძალიან მიხარია, რომ ამდენი იცი. ახლა გასაგებია, რატომაც სწავლობ ჰიპოკრატეს.

ნიკა: თან საინტერესოა, იცი?! ადრე მხოლოდ „ჰიპოკრატეს ფიცი“ მქონდა გაგებული და ვერ ვხვდებოდი, რას ნიშნავდა. ახლა ესეც ვიცი და სხვა რამეც.

დედა: „ჰიპოკრატეს ფიცს“ ყველა ექიმი დებს — ჰიპოკრატეს იძლევა, რომ კეთილსინდისიერად იმუშავებს. კიდევ რა ისწავლეთ ჰიპოკრატეზე?

ნიკა: მთელ ძველ სამყაროში რა დაავადებებებიც არსებობდა, თურმე ყველა ჰიპოკრატემ აღწერა. შენ წარმოიდგინე, იმ პერიოდის საქართველოზეც წერს.

დედა: ეს არ ვიცოდი. რა საინტერესოა! და რას წერს?

ნიკა: ამბობს, რომ დასავლეთ საქართველოში ნესტიანი ჰავა და ბევრი წყალია, რაც სხვადასხვა დაავადების წყაროა. გარდა ამისა, მოგვითხოვთ საქართველოს მოსახლეობაზეც.

დედა: რომელ საუკუნეში ცხოვრობდა ჰიპოკრატე?

ნიკა: ძ.წ. V საუკუნეში ან ცოტა უფრო გვიან. ძალიან კარგი წიგნი აქვს. სწორედ იქიდან ვიგებთ, იმ დროს რა ავადმყოფობები იყო გავრცელებული და როგორ ცხოვრობდა ხალხი.

დედა: ისტორიის გარდა კიდევ რა უნდა იმეცადინო?

ნიკა: მათემატიკა.

დედა: უკვე გვიანია, სჯობს, დაიძინო.

ნიკა: ვერ დავიძინებ, მათემატიკაც უნდა მოვამზადო. მკაცრი მასწავლებელი გვყავს, იმის გულს ვერაფრით მოიგებ. ერთი ამოცანაც რომ არ გავაკეთო, მაინც გაბრაზდება.

II თავი

I ნაწილი

დიალოგი: ნიკას შვილი ავად არის!

სალომე: ნიკა, სად მიდიხარ? ისე ჩქარობ, რომ ვერც შემამჩნიე.

ნიკა: სალომე, როგორ გამიხარდა შენი ნახვა. ბოდიში, მართლა ვერ დაგინახე.

სალომე: რამე პრობლემა ხომ არ გაქვს? აფორიაქებული ჩანხარ.

ნიკა: ჩემი შვილი ავად არის. უკვე ორი წელია. ახლა ავადმყოფობა გაურთულდა. მკურნალობა ძალიან ძვირი გვიჯდება. ყველაფერს ვაკეთებთ, მაგრამ არაფერი გამოდის.

სალომე: მერე არ უნდა დაგერეკა? ხომ იცი, რომ 3 წელი ჯანდაცვის სამინისტროში ვიმუშავე. ჩემზე უკეთ ვერავინ დაგეხმარება. მითხარი, რა პრობლემა გაქვს, იქნებ ერთად მოვაგვაროთ.

ნიკა: ჩემს ტასოს სისხლის დაავადება აქვს. მკურნალობა დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული. რომელიმე ევროპულ კლინიკაში თუ არ წავიყვანეთ, ვერ განიკურნება.

სალომე: საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში ხომ ხართ ჩართულები? სახელმწიფო არ გეხმარებათ? კანონით საქართველოს ყველა მოქალაქეს ეკუთვნის უფასო ჯანდაცვა.

ნიკა: ვიცი, ხალხი ძალიან მადლიერია ამ პროგრამის. ჩვენც გამოკვლევები უფასოდ გავიკეთეთ. უბრალოდ ამ იშვიათ დაავადებას ჯანდაცვის პროგრამა არ ფარავს.

სალომე: კერძო დაზღვევა თუ გაქვთ? იქნებ იქიდან დაფინანსდეთ?

ნიკა: პრობლემა ის არის, რომ რამდენიმე პროცედურა საქართველოს კლინიკებში საერთოდ არ კეთდება. უცხოეთში მკურნალობას კი კერძო დაზღვევაც არ აფინანსებს.

სალომე: ამ შემთხვევაში კიდევ ერთი გზა ვიცი. თბილისის მერიას აქვს სპეციალური ფონდი და პროგრამაც. ეხმარებიან სოციალურად დაუცველებს.

ნიკა: გამიგია ამ ფონდის შესახებ. ერთი პერიოდი გაუქმებული იყო.

სალომე: აღადგინეს.

ნიკა: მართლა? რას ამბობ? როდინდელი ამბავია?

სალომე: კაი ხნის. შარშანდელი. დღეს საღამოს დამირეკე, მერიაში გასაგზავნი წერილი და საბუთები ერთად მოვამზადოთ.

ნიკა: შენ გაიხარე! ეს რა კარგი ამბავი მითხარი. არაფრის იმედი აღარ მქონდა.

სალომე: სახელმწიფო დღეს რეალურად ეხმარება მძიმე ავადმყოფებს. დარწმუნებული ვარ, შენც დაგეხმარებიან.

II ნაწილი

დიალოგი: ინტერვიუ ჯანდაცვის მინისტრთან

ტელეწამყვანი: მოგესალმებით, ბატონო მინისტრო. გმადლობთ, რომ ჩვენს გადაცემას ეწვიეთ.

მინისტრი: პირიქით, მადლობელი მე ვარ, რომ მომიწვიეთ და საშუალება მომეცით, საზოგადოებას ჯანდაცვის სისტემის შესახებ ახალი ამბები მივაწოდო.

ტელეწამყვანი: სწორედ ამის შესახებ მინდოდა მეკითხა. რა ცვლილებებს გეგმავთ? როგორი ვითარებაა დღეს ჯანდაცვის სისტემაში?

მინისტრი: სიტუაცია ნორმალურია, თუმცა ჩვენ უფრო უკეთესი გვინდა. პირველ რიგში ინფრასტრუქტურას უნდა მივხედოთ, ახალი საავადმყოფოები აგაშენოთ და, რაც გვაქვს, ის გავარემონტოთ.

ტელეწამყვანი: გეთანხმებით, ეს აუცილებელია, კიდევ რას გეგმავთ?

მინისტრი: გარდა ამისა, ჩვენ დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ ექიმის განათლებას. თუ განათლებული ექიმები არ გვეყოლება, მაშინ რა აზრი აქვს საავადმყოფოების რემონტს?

ტელეწამყვანი: რას გულისხმობთ, უფრო კონკრეტულად რომ გვითხრათ?!

მინისტრი: თქვენ ალბათ იცით, რომ დღევანდელი ჯანდაცვის სისტემა განსხვავდება ძველისგან. მაგალითად, დღეს ჩვენ გვყავს ოჯახის ექიმები. თუ რამე გაწუხებთ, ჯერ მას უნდა მიმართოთ და შემდეგ ის გაგაგზავნით სპეციალისტან.

ტელეწამყვანი: დიახ, ნამდვილად ასეა. მეც ჯერ ოჯახის ექიმთან მიწევს ხოლმე მისვლა.

მინისტრი: ძალიან კარგი. მაშასადამე, კარგად გამიგებთ, რისი თქმა მინდა. ოჯახის ექიმთან ჩაწერაზე გიწევთ რიგში დგომა?

ტელეწამყვანი: ყოველთვის, ხშირად 4-3 დღე ველოდები.

მინისტრი: ეს არის სწორედ პრობლემაც, მოთხოვნა ძალიან დიდია. სანამ სპეციალიზირებულ

მედიცინა

საავადმყოფოში მივა პაციენტი, ჯერ ოჯახის ექიმმა უნდა გასინჯოს. ისინი კი საგმარისი რაოდენობით არ გვყავს და ხალხს რიგში დგომა უწევს.

ტელეწამყვანი: როგორ უნდა გადაიჭრას ეს პრობლემა?

მინისტრი: როგორც გითხარით, მედიცინის სფეროში განათლების დაფინანსებით. ჩვენ ფართო განათლების მქონე ოჯახის ექიმები გვჭირდება.

ტელეწამყვანი: და როდის გვეყოლება ასეთი ექიმები?

მინისტრი: რამდენიმე წელი მაინც დაგვჭირდება. დღესვე უნდა დავიწყოთ სამედიცინო განათლებაში ფულის ჩადება, რომ 10 წელში შედეგი გვქონდეს.

III ნაწილი

დიალოგი: ინტერვიუ ექთანთან

ჟურნალისტი: თქვენი საავადმყოფო ერთ-ერთი ყველაზე რეიტინგულია, რითი ახსნით ამას?

ექთანი: ჩვენი დარგის სპეციალისტები მაღალი კვალიფიკაციით გამოირჩევიან, ამავე დროს მზრუნველობასა და გულისხმიერებას არ აკლებენ პაციენტებს.

ჟურნალისტი: თანაგრძენობის გამოჩენა ყველაზე მეტად ალბათ ექთნებს გევალებათ, რადგან ყველაზე მეტ დროს თქვენ ატარებთ პაციენტებთან.

ექთანი: ჩვენი კლინიკის სლოგანია პაციენტის მიმართ მორალურ-ეთიკური დამოკიდებულება. აյ მომუშავე ყველა პერსონალი: როგორც ექიმი, ასევე ექთანი, ფარმაცევტი, რადიოლოგი, დამლაგებელიც კი, მაღალი ზნეობრივი პრინციპების უნდა იყოს.

ჟურნალისტი: როგორც ვიცი, თქვენ გყავთ მომაკვდავი პაციენტებიც, როგორ ზრუნავთ მათზე, თუ გაქვთ მათ მიმართ განსაკუთრებული მიღვომა?

ექთანი: დიახ, ჩვენთან არიან ისეთი პაციენტებიც, რომელთა სახლში მოვლა თითქმის შეუძლებელია. მათ აქ უტარდებათ ყველა სამედიცინო პროცედურა და იღებენ საჭირო მედიკამენტებს. ამავე დროს აქვთ -24სათიანი დაკვირვება და მზრუნველობა.

ჟურნალისტი: როგორია ასეთი ავადმყოფების განწყობა? როგორც ცნობილია, მათი განწყობა მდგომარეობის გაუმჯობესებას ან გაუარესებას იწვევს.

ექთანი: გეთანხმებით, ხშირ შემთხვევაში ასეცხდება. ამიტომ ჩვენ ყველა პაციენტთან ინდივიდუალური მიღვომა გვაქვს, მათი სურვილის წინააღმდეგ არასდროს მივდივართ, ვითვალისწინებთ ინტერესებს, ხელს ვუწყობთ ყველანაირად. ბოგვერ ამას სიურპრიზის სახითაც ვაკეთებთ.

ჟურნალისტი: დიახ, ეს მეც მსმენია. ვიცი, რომ აწყობთ განსაკუთრებულ ადამიანებთან შეხვედრას ან თავად მიგყავთ პაციენტი მისთვის მნიშვნელოვან ადგილას. ასეთი დამოკიდებულება იშვიათია და სამაგალითო. და ბოლოს, რას ურჩევდით თქვენს ყოფილ პაციენტებს ან უბრალოდ ხალხს?

ექთანი: იმას, რასაც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია ურჩევს — ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვას.

III თავი

I ნაწილი

დიალოგი: კლასელებს შორის

სანდრო: თიკო, როგორ ხარ? სკოლის დამთავრების შემდეგ საერთოდ არ მინახიხარ, სად დაიკარგე?

თიკო: მართალია, სანდრო, მთელი ბაფხული ვმეცადინეობ და სახლიდან იშვიათად გამოვდივარ.

სანდრო: შენ მე გამაგიქებ. რაღას მეცადინეობ? სკოლაში ყველაზე კარგად სწავლობდი, გამოცდებიც ძალიან კარგად ჩააბარე, მისაღებზეც პრობლემა არ გქონია და ახლა რაღას სწავლობ?

თიკო: მართალია, მაგრამ გამოცდები ხომ არ არის ყველაზე მთავარი. სექტემბერში სწავლა მეწყება და მინდა, უნივერსიტეტში მომზადებული მივიდე. ისედაც ბევრი რამის სწავლა მომიწევს.

სანდრო: გასაგებია შენი მონდომება, მაგრამ ზაფხულია, ყველა ისვენებს. შენ სამედიცინო ინსტიტუტში მოხვდი, არა?

თიკო: კი, სექტემბრიდან სწავლას სამედიცინო ინსტიტუტში დავიწყებ. მინდა კარგი ექიმი გავხდე და ამიტომაც ვიკლავ თავს მეცადინეობით.

სანდრო: მერედა გახდი კარგი ექიმი, ვინ გიშლის?

თიკო: ვერ გაგებინებ და ამიტომ გიხსნი, რომ თანამედროვე მედიცინა ინტერდისციპლინარული დარგია.

სანდრო: ეგ „ინტერდისციპლინარული“ რას ნიშნავს, ძალიან გთხოვ, მითხარი.

თიკო: ანუ სხვადასხვა დარგს აერთიანებს. კარგმა ექიმმა ბევრი რამე უნდა იცოდეს.

სანდრო: ბიოლოგია, ქიმია და მათემატიკა ხომ იცი, გამოცდებშიც უმაღლესი ქულები აიღე.

თიკო: შენ წარმოიდგინე, ექიმმა არა მარტო ბიოლოგია და ქიმია უნდა იცოდეს კარგად, ანატომიაც, ფიზიოლოგიაც და სხვა ყველა დარგი, რომელიც ადამიანს შეისწავლის. საჭიროა ფსიქოლოგიის კარგად ცოდნაც. ექიმს ხომ პაციენტებთან უწევს მუშაობა; ტექნიკას, კომპიუტერსაც კარგად უნდა ფლობდეს.

სანდრო: ხო, ეგ მართალია, მაგრამ ამ ყველაფერის სწავლა ამ ერთ ზაფხულში გინდა?

თიკო: არა, ამ ყველაფრის განხორციელებას წლები სჭირდება. ამიტომაც არის სამედიცინო ინსტიტუტში სწავლა ძალიან ხანგრძლივი. უბრალოდ, მინდა, წინ წავიგდო საქმე, თანაც ბევრი დასვენების შემდეგ ძნელია სწავლის დაწყება.

სანდრო: რისი ექიმი გინდა, გახდე?

თიკო: მინდა, ქირურგი ვიყო. აგვისტოს ბოლოს ერთ კვირას დავისვენებ და მაშინ მოვიფიქროთ რამე.

სანდრო: ქირურგობა?! ხმამაღალი განცხადებაა. მაგარია! რთული და რისკიანი პროფესიაა, თანაც კაცის საქმეა. ქალი ქირურგი არც კი გამიგია, მაგრამ ვიცი, შენ ყველაფერი გამოგივა. კარგი, აგვისტოს ბოლოს დაგირევაც.

II ნაწილი

დიალოგი: ვიზიტი გასტროენტეროლოგთან

ექიმი (ქალი): გამარჯობა, რამ შეგაწუხათ, რით შემიძლია დაგეხმაროთ?

პაციენტი (კაცი): გამარჯობა ექიმო, უკვე სამი თვეა პერიოდულად მუცელი მტკივა და ძალიან ვნერვიულობ.

ექიმი: ნუ ღელავთ, რა სიხშირით გაქვთ ტკივილები?

პაციენტი: კვირაში ერთხელ ან ორჯერ, მაგრამ ძალიან მაწუხებს. ყველაზე უფრო იმის მეშინია, საოპერაციო არ გავხდე. მგონი, ისე მტკივა, როგორც ჩემს დმას. იმასაც მუცლის არეში ჰქონდა შეტევები და ოპერაციის გავეთება მოუწია. ბრძანაწლავი ამოაჭრეს.

ექიმი: ტყუილად ღელავთ. მუცელი ადამიანს ბევრი მიზების გამო შეიძლება სტკიოდეს. მაჩვენეთ, თუ შეიძლება, თქვენი გამოკვლევის პასუხი. როგორც ვიცი, ექოსკოპიური კვლევა უკვე ჩაიტარეთ.

პაციენტი: დიახ, ამ ორი კვირის წინ ვიყავი დაზღვევის ექიმთან. თუმცა, ბუსტად რა მჭირს, ვერ მითხრა და თქვენთან გამომიშვა.

ექიმი: ანალიზების შედეგებიც თუ გაქვთ, მომეცით, გადაეხედავ.

პაციენტი: ანალიზებიც გავიკეთე. თუმცა უკვე თვეზე მეტია გასული. ხომ არ ჭობს ახალი ანალიზები ავიღოვ!

ექიმი: არა უშავს, ამ ორ თარიღს შორის არცთუ ისე დიდი დროა გასული. პირველ რიგში მინდა, რომ დაგამშვიდოთ — ოპერაცია არ დაგჭირდებათ. თქვენს პრობლემას თერაპიული მკურნალობით მოვაგვარებთ.

პაციენტი: როგორ?

მედიცინა

ექიმი: მედიკამენტებით. წამლებს დაგინიშნავთ, ასევე – დიეტას და ვარჯიშს. ქირურგებთან საქმე არ გექნებათ.

პაციენტი: ძალიან კარგი. დავიმახსოვრებ – თერაპევტთან თუ მოვხვდი, გამიმართლა, ქირურგთან თუ მოვხვდი, საქმე სერიოზულად არის.

ექიმი: მთლად ასეც ნუ იტყვით. თანამედროვე ტექნოლოგიებით ოპერაცია დიდ სირთულეს აღარ წარმოადგენს. თქვენ კუჭ-ნაწლავის პრობლემა გაქვთ და ამას მედიკამენტებით ვუმკურნალებთ.

პაციენტი: ახლა როგორ მოვიექცე?

ექიმი: დანიშნულებას დაგიწერთ. შემდეგ დაზღვევის ექიმს უნდა მიმართოთ. ის გამოგიწერთ რეცეპტებს, რომელთა საშუალებით მედიკამენტებს ფასდაკლებით შეიძენთ. დაახლოებით სამთვიანი მკურნალობა დაგჭირდებათ.

პაციენტი: დიდი მადლობა. მედიკამენტების მიღების, რა თქმა უნდა, არ მეშინია.

III ნაწილი

დიალოგი: ნიკა საავადმყოფოში

ნიკა: გამარჯობა, ვის შეიძლება მივმართო? მძიმედ ავადმყოფი ბაბუა მყავს და პალიატური მკურნალობა ესაჭიროება.

ადმინისტრატორი (ქალი): შეგიძლიათ, მე მითხრათ.

ნიკა: ჩემი ბაბუა უკვე ასაკშია და უკურნებელი დაავადება აწუხებს. სახლის პირობებში მასზე ზრუნვა ძალიან რთულია. მკურნალმა ექიმმა გვირჩია, ჰოსპიტში გადმოგვეყვანა.

ადმინისტრატორი: გასაგებია, გინდათ, რომ თქვენი ბაბუა ჩვენთან დააწვინოთ.

ნიკა: დიახ, სახლში ჩვენ სრულფასოვან მკურნალობას ვერ ვუტარებთ.

ადმინისტრატორი: რა აწუხებს თქვენს ბაბუას? რატომ ფიქრობთ, რომ მას აუცილებად პალიატური მკურნალობა სჭირდება?

ნიკა: თირკმელების პრობლემა აქვს. მუდამ სჭირდება სისხლის გადასხმა და ნემსის გაკეთება. ხშირად მედდას სახლში ვიძახებთ. ყოველ დღე ამის გაკეთება შეუძლებელია.

ადმინისტრატორი: გასაგებია. რთული სიტუაცია გაქვთ.

ნიკა: დიახ, თიქმის ყოველ დღე სჭირდება ანალიზების გაკეთებაც. ამისთვის ცალკე მოგვყავს ექთანი.

ადმინისტრატორი: გასაგებია. რამდენიმე საბუთი დაგვჭირდება თქვენი ბაბუის ჰოსპიტში გადმოსაყვანად.

ნიკა: გისმენთ. სწორედ ამისთვის მოვედი. მაინტერესებს, რა უნდა გავაკეთოთ.

ადმინისტრატორი: პირველ რიგში უნდა მოგვიტანოთ თქვენი მკურნალი ექიმის მიმართვა, რომელშიც იგი რეკომენდაციას უწევს თქვენს ბაბუას, რომ პალიატური მკურნალობა სჭირდება, ასევე – პაციენტის ავადმყოფობის ისტორია.

ნიკა: საბუთების მოტანიდან რამდენ ხანში შეგვიძლია მისი ჰოსპიტში გადმოყვანა?

ადმინისტრატორი: თუ სასწრაფო სიტუაციაა, მეორე დღესვე, თუ არადა სამი დღე მაინც მოგიწევთ ლოდინი, სანამ შესაბამის პროგრამაში ჩავსვამთ პაციენტს.

ნიკა: სანამ საბუთებს მოვიტან, ჰოსპიტის რომ შეივსოს და პროგრამაში ადგილი აღარ დარჩეს?

ადმინისტრატორი: ნუ ღელავთ, ჩვენთან ორი პალატა თითქმის ყოველთვის თავისუფალია. სათადარივო სიაში კი უკვე ჩავწერე.

ნიკა: დიდი მადლობა, სიხარულისგან ენაცვი დამება.

IV თავი

I ნაწილი

დიალოგი: სატელეფონო ზარი ოჯახის ექიმთან

პაციენტი (ქალი): გამარჯობა, ექიმო, თქვენი პაციენტი ვარ. ჩემს მეუღლესთან დაკავშირებით მინდა გვითხოთ.

ოჯახის ექიმი (კაცი): გისმენთ.

პაციენტი: ორი დღეა, ჩემს მეუღლეს ტკივილები აწუხებს გულის არეში. არ ვიცი, როგორ მოვიქცე: ჯერ თქვენთან ჩავწერო მიღებაზე და მერე კარდეოლოგთან გაუშვებთ, თუ პირდაპირ მას მივმართო? თანაც ტკივილი დღეს ძალიან მოემატა.

ოჯახის ექიმი: თუ გინდათ, რომ დაზღვევამ თქვენი ვიზიტი აანაბლაუროს, ოჯახის ექიმს უნდა მიმართოთ, თუნდაც მე; მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, გირჩევთ, სასწრაფო დახმარება გამოიძახოთ. გულთან ხუმრობა არ შეიძლება.

პაციენტი: შარშანაც ჰქონდა მსგავსი ტკივილები. გამოკვლევები ჩაიტარა, კარდეოგრამა გადაიღო, ექოსკოპიაც, მაგრამ სერიოზული არაფერი აღმოაჩნდა.

ოჯახის ექიმი: რა დიაგნოზი დაუსვეს?

პაციენტი: ნერვობი. ალბათ გადაიღოა, ინერვიულა და ტკივილიც ამის ბრალია, გული არ აწუხებსო.

ოჯახის ექიმი: რა მკურნალობა დაუნიშნეს?

პაციენტი: დამამშვიდებლები, სხვა არაფერი.

ოჯახის ექიმი: ახლაც შესაძლებელია იგივე სჭირდეს, მაგრამ ფრთხილად უნდა იყოთ. იქნებ გული აწუხებს და ხვალ უკვე გვიანი იყოს?! მე არ გაშინებთ, მაგრამ იცოდეთ, ყველაფერია შესაძლებელი.

პაციენტი: თქვენ როგორც მირჩევთ, ისე მოვიქცევი, ამიტომაც დაგირევეთ. ბოლომდე არ ვარ დარწმუნებული, რომ გულის შეტავა არ არის.

ოჯახის ექიმი: აუცილებლად დაზღვევის ცხელ ხაზზე დარევეთ და კარდეოლოგიურ სასწრაფოს გამოუძახეთ. გული უნდა გამოირიცხოს. თუ გული არ არის, ექიმი დამამშვიდებელს გაუკეთებს და ტკივილი მოეხსნება.

პაციენტი: გამოკვლევები არ ჩავუტაროთ?

ოჯახის ექიმი: სასწრაფო დახმარება კარდეოგრამასაც გადაუღებს და ექოსკოპიასაც. ხვალ შეგიძლიათ ჩემთანაც ჩაეწეროთ მიღებაზე. პაციენტს გავსინჯავ, წამლებს გამოგიწერთ და, თუ საჭიროა, სხვა სპეციალისტთანაც გაგზავნით.

პაციენტი: კარდეოლოგთან?

ექიმი: თუ გული გამოირიცხება, კარდეოლოგთან აღარ გაგიშვებთ. მსგავსი ტკივილისხვა დაავადებამაც იცის. მოდით, ნუ ვიმკითხავებთ.

პაციენტი: დიდი მადლობა, ექიმო, კიდევ კარგი, დაგირევეთ, თორემ ჩემი მეუღლე ხვალამდე ტკივილის მოთმენას აპირებდა.

ოჯახის ექიმი: არასდროს მოითმინოთ. თუ ჩემთან ვიზიტზე ვერ ჩაეწერებით, მორიგე ექიმი ყოველთვის გაგსინჯავთ, სასწრაფოსაც ყოველთვის შეგიძლიათ მიმართოთ.

პაციენტი: ჩვენ არ გვინდოდა ტყუილად გამოგვეძახა.

ოჯახის ექიმი: იცოდეთ, ჯანმრთელ ადამიანს ძლიერი ტკივილები და — თან ორი დღის განმავლობაში, არ შეაწუხებს. ყველა შემთხვევაში დახმარება სჭირდება.

პაციენტი: კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას, ახლავე დავრევავ.

ოჯახის ექიმი: ჯანმრთელობას გისურვებთ, ნახვამდის!

II ნაწილი

ტექსტი: საავადმყოფოს მთავარი ექიმი

ირაკლი თბილისის ერთ-ერთი დიდი საავადმყოფოს მთავარი ექიმია. ამის გამო მას ძალიან ბევრი საქმე აქვს. უკვე რვა წელია, ირაკლი ამ თანამდებობაზე მუშაობს. მთავარ ექიმს თავისი პროფესიული მოვალეობების გარდა, უწევს მთელი საავადმყოფოს ხელმძღვანელობა.

ირაკლის საავადმყოფოში ოთხი ძირითადი განყოფილებაა. ცალკეა სპორტული მედიცინა. ის ემსახურება სპორტსმენებსა და იმ პირებს, რომლებმაც სპორტული აქტივობების დროს ჭრავმა ან სხვა დაზიანება მიიღეს. პედიატრიულ განყოფილებაში ბავშვებს მკურნალობენ; კარდეოლოგიაში გულით დაავადებული პაციენტები წვანან. მეოთხე დიაგნოსტიკის განყოფილებაა. აქ ექიმები სხვადასხვა გამოკვლევის საფუძველზე პაციენტს დიაგნოზს უსვამენ და შესაბამის სპეციალისტთან აგზავნიან. თავად ირაკლი კარდეოლოგია, მაგრამ ის ყველა განყოფილებას აქცევს ყურადღებას. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი საქმე აქვს, თავადაც იღებს პაციენტებს. ირაკლის ეს არ ევალება, მაგრამ ძალიან უყვარს თავისი პროფესია და არ სურს, რომ მხოლოდ ორგანიზაციული საქმით იყოს დაკავებული. ამიტომაც კვირაში ერთხელ, სამშაბათობით, ირაკლის პაციენტების მიღების დღე აქვს. იგი კარდეოქირურგიაში მუშაობს, ამიტომ მასთან გულით დაავადებული, განსაკუთრებით მძიმე, პაციენტები მიდიან.

V თავი I ნაწილი

დიალოგი: სამოქალაქო განათლების გაკვეთილი სკოლაში

მასწავლებელი: როგორ ხართ, ბავშვებო? დღეს ჩვენ პირველადი სამედიცინო დახმარების შესახებ ვისაუბრებთ.

მოსწავლე: საინტერესო თემაა, მაგრამ ვერ ვხვდები, რატომ ვსწავლობთ სამედიცინო დახმარების საკითხებს? რა შეაშია ეს სამოქალაქო განათლებასთან?

მასწავლებელი: ნებისმიერმა მოქალაქემ უნდა იცოდეს, როგორ გაუწიოს სხვა ადამიანს სამედიცინო დახმარება. ამის ცოდნა ყველგან გამოგადგებათ. წარმოიდგინეთ, რომ ქუჩაში მიდიხართ და ვიღაც ცუდად გახდა, როგორ უნდა მოიქცეთ?

მოსწავლე: ნამდვილად არ ვიცი, როგორ უნდა მოვიქცე.

მასწავლებელი: განათლებულმა მოქალაქემ აუცილებლად უნდა იცოდეს, როგორ დაეხმაროს სხვას. ადამიანებს დახმარება ხშირად ქუჩაშიც სჭირდებათ. თქვენი აზრით, რა მიზეზებმა შეიძლება გამოიწვიოს ადამიანის ჯანმრთელობის მოულოდნელი გაუარესება?

მოსწავლე: შეიძლება გულმა შეაწეოს, ხშირად ზაფხულში დიდი სიცხის გამო ხდებიან ცუდად, შეიძლება ტემპერატურამ ან წნევამ აუწიოს.

მასწავლებელი: სწორია. თუ გინახავთ შემთხვევა, როდესაც ვინმეს პირველადი სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს?

მოსწავლე: დიახ, შარშან ზღვაზე ვიყავი და ჩემი ნაცნობი კინაღამ დაიხრჩო, ძლივს გამოიყვანეს და სანამ სასწრაფო მოვიდა, ხალხი ასულიერებდა. მე არ ვიცოდი, როგორ დავხმარებოდი. ბევრს უნდოდა მიშველება, მაგრამ არავინ იცოდა, რა უნდა გაეკეთებინა. ერთი კაცი ხელოვნური სუნთქვის ჩატარებას აპირებდა, მაგრამ გადაითიქრა, რამე არ დავეზიანოო.

მასწავლებელი: სწორად მოქცეულა. თუ არ იცი, როგორ აღმოუჩინო პირველადი დახმარება, სჯობს თავი დაანებო, რადგან შეიძლება რაიმე დაუშავო.

მოსწავლე: ალბათ, არც იმან იცოდა. ასეთ დროს როგორ უნდა მოვიქცეთ?

მასწავლებელი: პირველ რიგში მნიშვნელოვანია, რომ სუნთქვა აღუდგინოთ დაზარალებულს. ამიტომ უნდა გაუსუფთაოთ პირის ღრუ, რომ პარეტი მიეწოდოს. ამის შემდეგ შეიძლება ხელოვნური სუნთქვის ჩატარება. აუცილებელია, რომ სისხლის ცირკულაციასაც მიექცეს ყურადღება. სუნთქვა და სისხლის მოძრაობა ადამიანის სიცოცხლის შენარჩუნებისთვის გადამწყვეტია.

მოსწავლე: სასწრაფოსაც ხომ უნდა გამოვუძახოთ?

მასწავლებელი: აუცილებლად. პირველადი სამედიცინო დახმარების მიზანია, სასწრაფოს მოსვლამდე შეუმსუბუქოს ადამიანს მდგომარეობა და შეუნარჩუნოს სიცოცხლე. შემდეგ უკვე პროფესიონალები მიხედავენ.

მოსწავლე: რამდენ კვირას დავუთმობთ ამ თემას?

მასწავლებელი: ვფიქრობ, ორ კვირას. აუცილებელია პირველადი სამედიცინო დახმარების პრინციპები ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში ისწავლებოდეს. პატარები აღარ ხართ. როდესაც რამე უბედურება ხდება და ადამიანებს დახმარება სჭირდებათ, არ უნდა დაიბნეთ, უნდა შეგეძლოთ გადაწყვეტილების სწრაფად მიღება.

მოსწავლე: მე გაბედული ვარ, მაგრამ მთავარია, ვიცოდე, როგორ დავეხმარო გაჭირვებაში ჩავარდნილ ადამიანს.

II ნაწილი

დიალოგი: ინტერვიუ ექიმთან

ჟურნალისტი (კაცი): საკმაოდ რთული დასადგენია, აქვს თუ არა ადამიანს შინაგანი სისხლდენა. დღევანდელ გადაცემაში ამ საკითხებზე მინდა ვისაუბროთ. თქვენგან გვაინტერესებს კონკრეტული საკითხი – როგორ მივხვდეთ, რომ შინაგან სისხლდენასთან გვაქვს საქმე?

ექიმი (ქალი): სხვათაშორის, შინაგანი სისხლდენა არასპეციალისტებისთვის საკმაოდ რთული დასადგენია. ამიტომ ვიტყოდი, რომ უფრო სახითათოა, ვიდრე სისხლდენა, რომელიც გარეგნულადაა გამოხატული.

ჟურნალისტი: სწორედ ამისთვის მოგიწვიეთ ჩვენს გადაცემაში. რა გარეგნული ნიშნები ახასიათებს შინაგან სისხლდენას?

ექიმი: სანამ თქვენს შეკითხვას პასუხს გავცემ, უნდა გითხრათ, რომ არ აქვს მნიშვნელობა სისხლი გარეთ გამოედინება, თუ სხეულის შიგნით ჩაედინება. ორივე შემთხვევა საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას, რადგან სისხლი, რომელიც არ ცირკულირებს სისხლძარღვებში, არის დაკარგული სისხლი.

ჟურნალისტი: სისხლის დაკარგვას შეუძლია სიკვდილიც გამოიწვიოს?

ექიმი: რა თქმა უნდა. როგორც კი ადამიანის სხეულს, მის ქსოვილებსა და ორგანოებს სისხლი არ მიეწოდებათ, ადამიანი შოში ვარდება; განსაკუთრებით მაშინ, თუ დიდი რაოდენობით სისხლი დაკარგა.

ჟურნალისტი: და ეს რატომ ხდება?

ექიმი: სისხლს ხომ უანგბადი გადააქვს?! უანგბადის გარეშე კი ადამიანის სხეულს არსებობა არ შეუძლია.

ჟურნალისტი: რამდენი სისხლი უნდა დაკარგოს ადამიანმა, რომ შოში ჩავარდეს.

ექიმი: 700 მილიგრამი სისხლის დაკარგვის შემდეგ ადამიანის სიცოცხლე საფრთხეშია.

ჟურნალისტი: თავდაპირველ კითხვას დავუბრუნდეთ. რა გარეგნული ნიშნები გვატყობინებს შინაგანი სისხლდენის შესახებ?

ექიმი: სიფერმკრთალე. ადამიანი კარგავს ფერს – სახე თეთრი უხდება, ტუჩები ულურჯდება. ამ დროს სუნთქვაც გახშირებულია.

ჟურნალისტი: და ეს რატომ ხდება?

ექიმი: სისხლის დაკარგვის დროს ადამიანი ხშირად იწყებს სუნთქვას, რათა დაკარგული უანგბადი აინაზღაუროს.

ჟურნალისტი: რამ შეიძლება გამოიწვიოს შინაგანი სისხლდენა?

ექიმი: მიზები ბევრი რამ შეიძლება იყოს. მაგალითად, ისეთი შემთხვევა, როგორიცაა ავტოავარია, ხშირად იწვევს შინაგან სისხლდენას. სახითათოა რკინისგან ან ხისგან გაკეთებული საგნით მიღებული დარტყმაც. ამ დროს აუცილებელია, სასწრაფო დახმარებას გამოვუძახოთ.

ჟურნალისტი: დიდი მაღლობა. მოკლედ, თუ მსენელი ეჭვს შეიტანს, რომ სხვა ადამიანს შინაგანი სისხლდენა აქვს, აუცილებლად უნდა დარეკოს -1128ე და სასწრაფო დახმარებას გამოუძახოს.

III ნაწილი

დიალოგი: ინტერვიუ დამწვრობის ცენტრის დირექტორთან

ჟურნალისტი: მოგესალმებით, ზაფხული დადგა. ამ დროს თქვენს კლინიკაში პაციენტების რაოდენობა მატულობს. წელს რა სიტუაციაა?

დირექტორი: გამარჯობა, წლევანდელი წელიც არ არის გამონაკლისი. ზაფხულში პაციენტების რაოდენობა გაიზარდა — ორჯერ მეტია, ვიდრე წინა თვეებში.

ჟურნალისტი: რა არის ამის მიზები?

დირექტორი: ეს ძალიან მარტივი ასახსნელია: ტემპერატურა მატულობს, ბევრი ადამიანი მზებე იწვება, გარდა ამისა, ხანძრების რაოდენობაც იზრდება.

ჟურნალისტი: ყველაზე ხშირად რა მიზების გამო იღებენ ადამიანები დამწვრობას?

დირექტორი: გააჩნია სეზონს. ცივ თვეებში საყოფაცხოვრებო პრობლემების გამო შეიძლება ადამიანს ცხელი წყალი გადაესხას ან თუნდაც გამათბობელი საშუალებით მიიღოს დამწვრობა. საბედნიეროდ, ხანძრები ამ დროს იშვიათად ხდება.

ჟურნალისტი: ზაფხულში?

დირექტორი: ზაფხულში ყველაზე ხშირად გარუჭვის მსურველები გვაკითხავენ, რომელთაც მზისგან ძლიერი დამწვრობა მიიღეს. გარუჭვა უფრო ახალგაზრდებს უყვართ, ამიტომაც ძალიან ბევრი ახალგაზრდა პაციენტი გვყავს. ერთი განცხადება უნდა გავაკეთო, ხომ შეიძლება?

ჟურნალისტი: რა თქმა უნდა.

დირექტორი: როდესაც ტემპერატურა 30 გრადუსს აჭარბებს, შუადღის საათებში რუკის მიღება გარგი არ არის. დიდი შანსია, რომ დაიწვათ. საჭიროა, ყურადღებით ვიყოთ. ამ პრობლემაზე პირში წყალს ვერ ჩავიგუბებ.

ჟურნალისტი: როგორ შველით ასეთ პაციენტებს?

დირექტორი: საბედნიეროდ, ასეთ პაციენტებს უმეტეს შემთხვევაში პირველი ხარისხის დამწვრობა აქვთ. ეს უფრო ადვილად იკურნება: კანი წითლდება, პაციენტებს ტკივილი აქვთ, თუმცა 10-5 დღის შემდეგ ტკივილი გადის და დაზიანებული კანი აღვება.

ჟურნალისტი: სულ ოთხი ხარისხის დამწვრობა არსებობს, ხომ?

დირექტორი: დიახ, ყველაზე მძიმე მეოთხე ხარისხის დამწვრობაა. მისი მიღება ხანძრის დროსაა შესაძლებელი ან გავარვარებულ სხეულთან შეხებისას. მზებე მეოთხე ხარისხის დამწვრობას ვერ მიიღებთ. სხვათა შორის, დიდმა სიცივემაც შეიძლება დამწვრობა და კანის დაზიანება გამოიწვიოს.

ჟურნალისტი: ეს უკვე არ ვიცოდი. რამდენად ხშირია ასეთი შემთხვევები?

დირექტორი: თქვენ წარმოიდგინეთ, საერთო პაციენტების რაოდენობის 20 პროცენტი. სიცივეში ხალხი მეტ-ნაკლებად დაცულია თბილი ტანსაცმლით.

VI თავი

I ნაწილი

დიალოგი: რა სარგებლობა მოაქვს ვარჯიშს?

მეზობელი (ქალი): თემურ, ამ ბოლო დროს სულ ეზოში გხედავ. ძალიან აქტიური გახდი. რაშია საქმე? **მეზობელი (კაცი):** ვარჯიში დავიწყე. პენსიაზე გავედი და სამსახურიდანაც წამოვედი. სულ სახლში ვიჭექი და ტელევიზორს ვუყურებდი. უმოძრაობისაგან კინაღამ გავგიჯდი. ახლა დღეში ორჯერ პარკში გავდივარ, ვვარჯიშობ და უკეთესადაც ვარ.

ქალი: რა ყოჩაღი ხარ! მეც სულ მინდა ვარჯიშის დაწყება, მაგრამ ვერ ვახერხებ.

კაცი: აუცილებლად უნდა გამოძებნო დრო. ადრე მეც არ ვვარჯიშობდი, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს გული გამიჩერდა; ძლივს გადავრჩი. ექიმებმა მითხვეს, რომ მსუბუქი ვარჯიშის დაწყება აუცილებელი

იყო.

ქალი: რას მეუბნები? ეგ როდის მოგივიდა?

კაცი: შარშან. ძლივს გადამარჩინეს. კიდევ კარგი სახლში მარტო არ ვიყავი. ჩემი ძმიშვილი იქვე იყო. სანამ სასწრაფო მოვიდოდა, გულის მასაჟი გამიკეთა და სუნთქვა აღმიდგინა.

ქალი: ეგ ამბავი არ ვიცოდი. რის გამო დაგემართა? რა გითხრეს ექიმებმა?

კაცი: გულის გაჩერება თავისთავად არ ხდება, ცხოვრების არაჯანსაღი წესის შედეგია. ბევრს ვეწეოდი, არ ვმოძრაობდი—თითქმის სულ სახლში ვიჰექი, წონის პრობლემაც მქონდა და ეს ყველაფერი სისხლის მიმოქცევაზე აისახა.

ქალი: წონაშიც დაკლებული გაქვს, გეტყობა.

კაცი: ხო, დიეტაზე ვარ. თავიდან ძალიან ცუდად ვიყავი და საავადმყოფოში ვმკურნალობდი. ბევრი მედიკამენტი მივიღე. სიგარეტსაც აღარ ვეწევი. ვცდილობ, რომ ჭანმრთელად ვიკვებო და ბევრი ვიმოძრაო. ვარჯიში სისხლის მიმოქცევის გაუმჯობესებისთვის აუცილებელია.

ქალი: ყოველდღე ვარჯიშობ? შენთან ერთად მეც დიდი სიამოვნებით ვიგარჯიშებდი. ვაკის პარკში დადიხარ, არა?

კაცი: ხო, თანაც — დღეში ორჯერ. შაბათობით ვისვენებ ხოლმე. გირჩევ, თავიდან ცოტა ივარჯიშო, სანამ შენი სხეული მიეჩვევა. გულისათვის დიდი დატვირთვაც არ არის კარგი.

ქალი: მართალი ხარ. გამიგია, რომ სპორტსმენებს დიდი დატვირთვის გამო გული უჩერდებათ ხოლმე.

კაცი: უკეთესია, თავიდან ექიმთან მიხვიდე და ჰგითხო, შენი ორგანიზმისთვის როგორი ვარჯიში აჯობებს. მერე შენ თვითონ მიხვდები, რა ტიპის და რა ხანგრძლივობის ვარჯიშისთვის არის შენი სხეული მზად.

II ნაწილი

დიალოგი: ინტერვიუ მაშველთან

ჟურნალისტი (გოგო): როგორ მიდის წელს საზღვაო სეზონი? ბევრი საქმე გაქვთ?

მაშველი (ბიჭი): როგორც ყოველთვის, ზაფხულში დიდი დატვირთვით ვმუშაობთ. ძალიან ბევრი დამსვენებელია ჩამოსული. ხშირად წესრიგს არღვევენ და ჩვენს შენიშვნებსაც არ ითვალისწინებენ.

ჟურნალისტი: რას გულისხმობთ?

მაშველი: ზღვაში ცურვასა და ნაპირზე დროის გატარებას თავისი წესი და რიგი აქვს. ერთი მხრივ, მესმის, ადამიანებს დასვენება უნდათ, თუმცა, მეორე მხრივ, ჩვენიც უნდა გაიგონ. მაშველები მათზე ვზრუნვთ. არ შეიძლება ზღვის სიღრმეში შესვლა დამცავ ხას მიღმა, ან ბავშვების უმეთვალყურეოდ ნაპირზე დატოვება.

ჟურნალისტი: რა? იყო წელს ცუდი შემთხვევა?

მაშველი: აქციური სეზონი რაც დაიწყო, მარტო ჩვენს სანაპიროზე რამდენიმე ადამიანი დაშავდა, ერთიც დაიხრიო.

ჟურნალისტი: ყველაზე ხშირად რა იწვევს ასეთ ტრაგიკულ შედეგს?

მაშველი: ხშირად ალვოპოლურ სასმელებს იღებენ და ისე ბანაობენ. ეს ძალიან საშიშია. ყველაზე მთავარი პრობლემა კი ის არის, რომ მაშველები ცოტანი ვართ, დამსვენებლები — ბევრნი. მოქალაქეებს ხელოვნური სუნთქვის ჩატარებაც კი არ შეუძლიათ.

ჟურნალისტი: ანუ თქვენ ფიქრობთ, რომ ხელოვნური სუნთქვის ჩატარება ყველას უნდა შეეძლოს?

მაშველი: რათქმა უნდა. ასე ბევრ ადამიანს გადავარჩენდით. მემგონია, რომ ეს სკოლაში აუცილებლად უნდა ისწავლებოდეს. მით უმეტეს, რომ ე.წ. მანუალური მეთოდით ხელოვნური სუნთქვა რთული საერთოდ არ არის.

ჟურნალისტი: მანუალური მეთოდი რას ჰქია?

მაშველი: როდესაც ერთი ადამიანი მეორეს პირით პირში ან პირით ცხვირში უბერავს და ხელოვნურად

მედიცინა

შეჰქავს პაერი. ეს კინოში ხომ მაინც გვინახავს! გასაგებია, რომ მექანიკური მეთოდით ხელოვნური სუნთქვის ჩატარებისთვის სამედიცინო პერსონალია საჭირო, მაგრამ მანუალური მეთოდით ადამიანის დახმარება ყველას უნდა შეეძლოს!

ჟურნალისტი: ვფიქრობ, მაშველების რაოდენობაც უნდა გაიზარდოს, სეზონზე მაინც უნდა დაამატონ ამ საქმის მცოდნე თანამშრომლები.

მაშველი: გეთანხმებით, უფრო მეტი მაშველი გვჭირდება. ახლა ჩვენს სამსახურს სულ 32 მაშველი ჰყავს. თუმცა ყველგან და ყოველთვის მაშველი ვერ დაგეხმარება. პირველადი სამედიცინო დახმარება შენს გვერდით მყოფმა უნდა აღმოგიჩინოს.

III ნაწილი

დიალოგი: პაციენტის მშობლები საავადმყოფოში

პაციენტის მამა: გამარჯობა, ექიმო. სასწრაფოდ უნდა შეგვიშვათ, ჩვენს შვილს ავარია მოუვიდა. გვითხრეს, რომ აქ არის შემოყვანილი.

მორიგე ექიმი (ქალი): თუ შეიძლება, პაციენტის გვარი მითხარით და გადავამოწმებ.

პაციენტის მამა: ბერიძე. ზუსტად ვიცი, რომ თქვენთან არის.

მორიგე: გასაგებია, მაგრამ ჩვენთან დღეში -100ზე მეტი პაციენტი შემოჰყავთ. შეუძლებელია ყველა მახსოვდეს. ახლავე ვნახავ. დიახ, ბერიძე ამორისათის წინ მოიყვანეს მძიმე ტრავმული დაზიანებით. ერთი ოპერაცია უკვე ჩატარდა.

პაციენტის მამა: აუცილებლად უნდა შევიდეთ და ვნახოთ.

მორიგე: სამწუხაროდ, ეს შეუძლებელია. ამჟამად თქვენი შვილი რეანიმაციაშია. მხოლოდ მაშინ შეძლებთ მის ნახვას, როცა პალატაში გადაიყვანენ. ჯერჯერობით კი....

პაციენტის მამა: არა, ახლავე უნდა ვნახო, აუცილებლად. მთელი ოჯახი ძალიან ნერვიულობს, გესმით ჩემი?

მორიგე: ძალიან გთხოვთ, სიტყვას ნუ მაწყვეტინებთ. მესმის, რომ ძალიან ღელავთ, მაგრამ საავადმყოფოს თავისი წესები აქვს. როგორც გითხარით, ბევრი პაციენტი გვყავს, უმეტესობა მძიმე ტრავმული დაზიანებით; მათი ახლობლებიც თქვენსავით ღელავენ. ყველა რომ შევუშვათ, ექიმებს ხელი შეეშლებათ.

პაციენტის მამა: გასაგებია. ის მაინც გვითხარით, როგორ არის. გაქვთ ინფორმაცია?

მორიგე: რაც მთავარია, მის სიცოცხლეს ოპერაციის შემდეგ საფრთხე აღარ ემუქრება. ბევრი სისხლი დაკარგა, უგონოდ იყო და არ შეეძლო დამოუკიდებლად სუნთქვა. ამჟამად სუნთქვა აღუდგა, სისხლიც გადაუსხეს. უფრო დეტალური ინფორმაცია მხოლოდ მკურნალ ექიმს აქვს.

პაციენტის მამა: შესვლას როდის შევძლებთ, რომ ვნახოთ?

მორიგე: ახლა ყველაზე კრიტიკული სიტუაციაა და ექიმებსაც არ სცალიათ, რომ დაგელაპარაკონ. ცოტა ხანში ექიმთან სასაუბროდ შეგიშვებთ. პაციენტს კი მაშინ ნახავთ, როდესაც პალატაში გადაიყვანენ.

პაციენტის მამა: დიახ, ეს უკვე გვითხარით.

მორიგე: დაელოდეთ მისაღებში. როგორც კი რაიმე სიახლე იქნება, შეგატყობინებთ.

VII თავი

I ნაწილი

დიალოგი: ლუკას გული აწუხებს

ანი: სად მიდიხარ? კვირა დილაა და ასე რატომ ჩქარობ?

ლუკა: საგარჯიშოდ მივდივარ, მთელი კვირაა არ მივარჯიშია.

ანი: ბოლო ორი კვირა გული გტკივა და ვარჯიში ამ დროს არ შეიძლება. ხომ შევთანხმდით, რომ

გამოკვლევას ჩაიტარებდი და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყებდი ვარჯიშს?!

ლუკა: კარგი რა! ისეთი არაფერია. უბრალოდ ბევრი საქმე მქონდა და გადავიღალე.

ანი: მაინც გულის ტკივილი სერიოზული ამბავია და ხუმრობა არ შეიძლება. ერთი კვირაც მოიცადე, ძალიან გთხოვ. ორშაბათს გამოკვლევაზე ხარ ჩაწერილი.

ლუკა: ორშაბათს ექიმებისთვის არ მეცლება, ძალიან ბევრი საქმე მაქვს.

ანი: ბევრ დროს არ დავარგავ. მე უკვე ყველაფერი გავარკვიე. დიაგნოსტიკის ცენტრში მივალთ, სულ სამი სახის კვლევაა დანიშნული. 3-2 საათში ყველაფერს მოვრჩებით.

ლუკა: სამი სახის კვლევა რატომ? მხოლოდ გული მაწუხებს.

ანი: ვერ ელექტროგარდიოგრაფია უნდა ჩავიტაროთ, რომ გავარკვიოთ გული როგორ მუშაობს, უფრო ბუსტად — გულის კუნთი. შემდეგ კორონაროგრაფია გაქვს დანიშნული, გულის სისხლძარღვებს ამოწმებს.

ლუკა: ეგ ორი და მესამე რა პროცედურა?

ანა: მესამე კომპიუტერული ტომოგრაფია, თავის ტვინს იკვლევს.

ლუკა: თავი არ მაწუხებს და ტომოგრაფია რატომ უნდა ჩავიტარო?

ანი: იმიტომ, რომ ექიმმა ასე გვირჩია. თავი გტკივა ხოლმე და საერთოდ სუსტად ხარ. ჩემი აზრით, არც ტომოგრაფია არ გაწყებს. რადგან გამოკვლევაზე მივდივართ, ჭობია, ყველაფერი შევამოწმოთ.

ლუკა: კარგი, ამ ერთხელ წამოვალ, შენ რომ მშვიდად იყო. ვიცი, რომ არაფერი არ მჭირს. რომელ საათზე უნდა მივიდეთ?

ანი: დილას, ათზე ვართ ჩაწერილები. უცებ მოვრჩებით და მერე შეგიძლია სამსახურში წახვიდე.

ლუკა: კარგი, დაგიჯერებ. დღეს არ ვივარჯიშებ, ხვალ გამოკვლევაზე წავალ და იმედია, შენც დარწმუნდები, რომ არაფერი სერიოზული არ მჭირს. უბრალოდ გადაღლის ბრალია.

ანი: იმედი მაქვს. ისე მაინც ფრთხილად უნდა ვიყოთ.

II ნაწილი

დიალოგი: ინტერვიუ ჭანდაცვის მინისტრთან

ჟურნალისტი (ქალი): მოგესალმებით, ბატონო მინისტრო. დღეს დილას ჭანდაცვის სამინისტროს ახალი პროგრამის პრეზენტაცია იყო. გთხოვთ, გვითხრათ რამდენიმე სიტყვა.

მინისტრი (კაცი): მოგესალმებით. მოგახსენებთ. ჩვენ სპეციალისტებსა და საზოგადოებას ახალი პროგრამა გავაცანით. ვმადლობ, რომ ამ საკითხით დაინტერესდით.

ჟურნალისტი: რას ისახავს მიზნად ჭანდაცვის ახალი პროგრამა?

მინისტრი: პროგრამის ფარგლებში სამინისტრო ეხმარება საავადმყოფოებს უახლესი ტექნოლოგიის სამედიცინო აღჭურვილობის შეძენაში. განსაკუთრებული აქცენტი დიაგნოსტიკისათვის საჭირო აპარატურაზე კეთდება.

ჟურნალისტი: ყველა საავადმყოფოს ეხმარებით თუ მხოლოდ რამდენიმეს?

მინისტრი: ჩვენ დავეხმარებით ყველა სახელმწიფო საავადმყოფოს. კერძო საავადმყოფოებმა ამაზე თავად უნდა იზრუნონ.

ჟურნალისტი: საავადმყოფოებს ხომ აქვთ თავისი შემოსავალი, სამინისტრომ რატომ გადაწყვიტა მათი დახმარება?

მინისტრი: უახლესი სამედიცინო აპარატურა ძალიან ძვირი ღირს. ტექნოლოგიების სწრაფად ვითარდება — ჩვენ გვჭირდება ყველაზე მაღალი ხარისხის აპარატურა. თუკი საავადმყოფოები ამ აპარატურას მხოლოდ საკუთარი ფინანსებით შეიძენენ, მოუწევთ სამედიცინო მომსახურებაზე ფასების მომატება. ეს კი ცუდად აისახება მოსახლეობის ჭანმრთელობაზე.

ჟურნალისტი: რა ტიპის აპარატურის შეძენას გეგმავთ?

მინისტრი: დასაწყისისთვის ელექტრონულოგრამის, ტომოგრაფიისა და ულტრასონოგრაფიის

მედიცინა

აპარატებს.

ჟურნალისტი: ამის შემდეგ ეტაპზე?

მინისტრი: რა აპარატურის შეძენა დაგვჭირდება შემდეგი ეტაპისთვის ჯერ კიდევ არ ვიცით. საავადმყოფოების დირექტორებს უნდა მოველაპარაკოთ და მათთან ერთად გადავწყვიტოთ.

ჟურნალისტი: რამდენი ხანი გრძელდება პროგრამა?

მინისტრი: პროგრამა სამი წელი გაგრძელდება. ამ პერიოდში ჩვენ დავეხმარებით საავადმყოფოებს სამედიცინო აღჭურვილობის შეძენაში. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩვენს მოქალაქეებს აღარ უწევდეთ საზღვარგარეთ სიარული.

ჟურნალისტი: რას გულისხმობთ?

მინისტრი: ეშირად ჩვენს მოქალაქეებს უკეთესი სამედიცინო მომსახურების მისაღებად ევროპაში ან ამერიკაში უწევთ წასვლა. ძირითადი მიზები ის არის, რომ ჩვენ უახლესი აპარატურა არ გვაქვს: არც — სადიაგნოსტიკო და არც — საოპერაციო. სწორედ ამიტომაც გადავწყვიტეთ, საავადმყოფოებს დავეხმაროთ.

III ნაწილი

დიალოგი: დასვენება კურორტზე

მარი: კოტე, დასასვენელად როდის მიღიხარ?

კოტე: კვირის ბოლოს ვიღებ შვებულებას და ალბათ შაბათ დილასვე წავალთ.

მარი: სად აპირებ დასვენებას?

კოტე: აბასთუმანში გვინდა წასვლა. იქ ალბათ ორი კვირა დავრჩებით.

მარი: ყოველთის ზღვაზე დადიოდი ხოლმე და ახლა აბასთუმანი რატომ გადაწყვიტე?

კოტე: ახლა მარტო დასასვენებლად კი არა, სამკურნალოდაც მივდივარ. ექიმმა აბასთუმანი მირჩია.

მარი: აბასთუმანში რატომ? რა გჭირს? ხომ ყველაფერი კარგად არის?

კოტე: ჩემი სამსახურის გამო ძალიან გადაღლილი ვარ. მთელი დღე ოფისში კომპიუტერთან ვზივარ, ვერც ვმოძრაობ და ვერც სუფთა პარტს ვსუნქთავ. ფილტვები მაწუხებს, სუნთქვა მიჭირს და ექიმმაც კლიმატური კურორტი მირჩია.

მარი: აბასთუმანი ბალნეოლოგიური კურორტიც ხომ არის?

კოტე: კი, აბასთუმანი კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტია და ჩემთვის სწორედ თავისი კლიმატის გამოა სასარგებლო. მეც ექიმის რჩევის მიხედვით ვიქცევი, აბა, რა ვქნა?

მარი: ასევ უნდა იყოს. ექიმს აუცილებლად უნდა დაუკერო. თუ არა და, შენთვის იქნება ცუდი.

კოტე: თანაც მართლა ძალიან გადაღლილი ვარ. ცოტა ხანით დასვენება და სუფთა პარტი მჭირდება.

მარი: სწორი ხარ, ზღვაზე ბევრ ხალხს და ხმაურს, რა თქმა უნდა, სიწყნარე გირჩევია. პირველად აბასთუმანი რომ ვნახე, ენა ჩამივარდა, ისეთი სილამაზეა.

კოტე: ნამდვილად. ამანაც გადამაწყვეტინა აბასთუმანში წასვლა, თან დავისვენებ და თან ჯანმრთელობას მივხედავ.

მარი: ბავშვებიც მიგყავთ?

კოტე: არა, შვილები და შვილიშვილები ზღვაზე მიდიან, აბასთუმანში მარტო მე და ჩემი ცოლი. მშვიდად მინდა ვიყო. ასე მირჩია ექიმმა. ბავშვებთან ერთად კი სიმშვიდე არ გამოვა.

მარი: მართალია. ყველაფერი ისე აგიწონ-დაგიწონია, რაღა უნდა გითხრა?! ბედნიერი დასვენება.

VIII თავი

I ნაწილი

დიალოგი: ლუკამ სასწრაფო დახმარებაში დაიწყო მუშაობა

ანი: ლუკა, როგორ ხარ? რამდენი ხანია გირეკავ და როგორც იქნა, მიპასუხე. ხომ კარგად ხარ?

ლუკა: კი, კარგად ვარ. ზარი მესმოდა, მაგრამ ვერ გიპასუხე, ძალიან ბევრი საქმე მქონდა.

ანი: სამსახური ხომ არ გამოიცვალე?

ლუკა: არა, ისევ იმავე საავადმყოფოში ვმუშაობ, მაგრამ დამატებით სასწრაფო დახმარებაშიც ვარ.

ანი: შენ ადრეც ბევრს მუშაობდი.

ლუკა: კი, მაგრამ ადრე ვიცოდი, საქმეს როდის დავამთავრებდი და როდის ვიქნებოდი თავისუფალი.

ახლა, რაც სასწრაფოში ვმუშაობ, ერთი წუთიც არა მაქვს თავისუფალი. სულ დაძაბული ვარ და ვჩქარობ.

როცა გამოძახებაა, სასწრაფო ყველაზე პირველი უნდა მივიდეს ადგილზე.

ანი: მესმის შენი. აღმართ ბევრი სტრესიც გაქვს.

ლუკა: დაძაბულობა ყველაზე მეტად მღლის. დღეს, მაგალითად, დილას გამოძახება იყო თბილისის გარეუბნიდან. გულის შეტევა ჰქონდა ახალგაზრდა პაციენტს. სანამ საავადმყოფოში მივიყვანეთ, საკმაოდ სერიოზული დახმარება ჩავუტარეთ მედიკამენტებით. საავადმყოფოში ოპერაცია გაუკეთეს. ძალიან ვღელავდი, მინდოდა, როგორმე გადარჩენილიყო.

ანი: ცოტათი მაინც ვერ შეეჩვიე სასწრაფოში მუშაობას?

ლუკა: არა, ერთი თვეა, რაც აქ ვარ და ჭერ კიდევ ვერ შეეჩვიე ასეთ სწრაფ რიტმს. ვისაც დიდი გამოცდილება აქვს, ის მშვიდად არის. გუშინაც გულის შეტევით ერთი პაციენტი საავადმყოფოში მისვლამდე გარდაიცვალა. ამ ყველაფერს გულგრილად ვერ ვუყურებ.

ანა: ყველაზე ხშირად რის გამო იძახებენ ხოლმე სასწრაფოს?

ლუკა: ახლა ზაფხულია და ჩვეულებრივზე მეტი გამოძახებაა: ზოგი სიცხეზე ხდება ცუდად, ზოგს წნევა უწევს, ხშირია დამწვრობაც. როცა ძალიან ცხელა, უფრო მეტი გამოძახება გვაქვს. ზამთარში ყველაზე ხშირად გრიპისა და მაღალი სიცხის გამო მოგვმართავენ.

ანი: გავიგე რომ ძალიან დაგავებული ხარ, ამიტომ გვიან დაგირეკავ ხოლმე.

ლუკა: იციდე, კვირაში ორჯერ — სამშაბათსა და ხუთშაბათს — ვმორიგეობ და მთელი ღამე ვმუშაობ. დანარჩენ დღეებში კი საღამოობით მცალია.

ანი: კარგი, აბა დროებით.

ლუკა: კარგად, გამიხარდა, რომ დამირეკე.

II ნაწილი

ტექსტი: ლუკა სასწრაფო დახმარებაში მუშაობს

ლუკა უკვე ერთი წელია, სასწრაფოში მუშაობს. ეს ურთულესი საქმეა, რადგან ადამიანები სასწრაფოს მაშინ იძახებენ, როდესაც ძალიან უჭირთ. სასწრაფო დახმარების ბრიგადა მუდამ მზად უნდა იყოს. თითოეულ წუთს დიდი მნიშვნელობაა აქვს. ხშირადამიანის სიცოცხლესწორედ სასწრაფოს დროულად მისვლაზეა დამოკიდებული. სწორედ ამიტომ სასწრაფო დახმარების ბრიგადაში, გამოცდილი ექიმების გარდა, კარგი მძღოლიც სჭირდებათ, რომელიც ქალაქში მანქანას მოხერხებულად ატარებს და გზები იცის. სწრაფად გადაადგილება ყველაზე მეტად საღამოს საათებში ჭირს, როდესაც ხალხი სამსახურიდან ბრუნდება და ქუჩები სავსეა ავტომობილებით.

უსწრაფესად მაშინ არის მისვლა საჭირო, როდესაც ავტოავარია ან უმწვავესი შემთხვევა. ასეთ დროს ადამიანის სიცოცხლეს განსაკუთრებული საფრთხე ემუქრება და „სასწრაფო“ ვალდებულია რამდენიმე წუთში მივიდეს გამოძახების ადგილზე. სასწრაფოს ექიმმა ბევრი რამ უნდა იცოდეს. პაციენტებს განსხვავებული პრობლემები აქვთ ხოლმე. გამოძახებების მიზეზები იცვლება სეზონის მიხედვითაც. ზამთარში ხშირია გრიპის ეპიდემია და გაცივება; ზაფხულში კი ადამიანები, განსაკუთრებით ისინი, ვისაც წნევა აწებებთ, სიცხის გამო ხდებიან ცუდად. ზაფხულში მატულობს ხანძრების რაოდენობაც, ხშირია გარუკვის შედეგად მიღებული დამწვრობა და ასევე წყალში დახმარების შემთხვევები. სასწრაფოს ექიმს ყველა ამ სიტუაციაში სწორად რეაგირება უნდა შეეძლოს. ასეთია ლუკას ახალი სამსახური. იგი

დილის -98-ე იწყებს მუშაობას და საღამოს -88-ე ამთავრებს. ბევრი საქმე აქვს, მაგრამ ამაზე არ წუხს. მას თავისი პროფესია ძალიან უყვარს, რადგან ადამიანებს ყველაზე რთულ სიტუაციაში ეხმარება.

შუალედური შემოწმების ტესტები

IV თავი

II ნაწილი შუალედური შემოწმების ტესტი

1. გაიაზრეთ ტექსტი:

(6 ქულა)

ნინო ახალგაზრდა დედაა. არჩილი მისი პირველი შვილია. მთელ ოჯახს აქვს სამედიცინო დაზღვევა. ნინოს არჩილი ხშირად დაჰყავს ექიმთან შემოწმებაზე. ბავშვი სრულიად კანმრთელია. ერთ საღამოს არჩილს მაღალი სიცხე მისცა. ბავშვი მთლად გაწითლდა. ნინომ დაზღვევის ცხელ ხაზზე დარეკა. მას დაწვრილებით გამოჰკითხეს პაციენტის მდგომარეობა და ასაკი. დაზღვევამ ნინოსთან პედიატრიული სასწრაფო დახმარება გამოვგზავნა. პედიატრმა ბავშვს ფილტვები ფონენდოსკოპით გაუსინჯა, ყელში ჩახედა სპეციალური ხის ფირფიტით, შეუმოწმა ყურები, მუცლის ღრუ და დედა დაამშვიდა. ბავშვს სერიოზული არაფერი სჭირდა, ჰქონდა გრიპის ვირუსი, რომელიც რამდენიმე დღეში გაუვლიდა. ექიმმა ბავშვს მკურნალობა დაუნიშნა; დედას ურჩია, რომ გართულების შემთხვევაში კვლავ გამოეძახებინა ექიმი.

უპასუხეთ კითხვებს:

- რა სახის სამედიცინო უზრუნველყოფა აქვს ნინოს მთელ ოჯახს?
- რისთვის დაჰყავს ნინოს ექიმთან შვილი?
- რა სიმპტომები ჰქონდა არჩილს, როცა ავად გახდა?
- რა მოიმოქმედა დედამ შვილის დასახმარებლად?
- რატომ გამოიძახა დაზღვევამ ნინოსთან პედიატრი და არა სხვა ექიმი?
- როგორ გასინჯა პედიატრმა არჩილი?

2. თქვენ გაწევით გულის არეში მცირე ტკივილი (ჩხვლეტა). რას აკეთებთ? ჩამოთვლილთაგან აირჩიეთ 4 პასუხი:

(4 ქულა)

- ეწერებით გასტროენტერულოგთან ვიზიტებები.
- მიმართავთ ჭანდაცვის სამინისტროს.
- მიმართავთ კარდეოლოგ მეგობარს.
- იძახებთ სასწრაფო დახმარებას.
- ანასთეზეოლოგს სთხოვთ, რომ ტკივილი გაგიყუჩოთ.
- კონსულტაციას იღებთ ნეიროქირურგისაგან.
- მიდიხართ პირველადი დაზღვევის ექიმთან.

- თ. იძახებთ ბინაზე უროლოგს.
- ი. მიღიხართ კარდეოლოგთან.
- კ. მიღიხართ ალერგოლოგთან.
- ლ. დასახმარებლად ეძახით მეზობელს.
- მ. ხელშეკრულებას აფორმებთ ექიმთან, რომ მან პაციენტი ხშირად გასინჯოს.

3. უპასუხეთ კითხვებს ანტონიმების გამოყენებით:

(7 ქულა)

ნიმუში: ალერგიის მკურნალობა ძნელია? — არა, ადვილია..... .

1. — არჩილის დაავადება განკურნებადია? — არა,
2. — ნინო სპეციალიზირებულ საავადმყოფოში დააწვინეს? — არა, საავადმყოფოში.
3. — ასე რატომ აწვალებთ, უნდა დაუმძიმოთ ავადმყოფობა? — პირიქით, უნდა
4. — ასე ხელს არ უშლით მის გამოჯანმრთელებას? — პირიქით,
5. — ამ საავადმყოფოში სამედიცინო გუნდი შეთანხმებულად მუშაობს? — პირიქით, მგონია, რომ
6. — ლიას ჭანმრთელი ბავშვი შეეძინა? — არა,
7. — ვაჟას ტრადიციული მედიცინის მეთოდებით მკურნალობა? — პირიქით,

4. ჩასვით ფორმები: შესახებ, მიმართ, წინააღმდეგ, გამო, გარდა:

(8 ქულა)

1. საავადმყოფოს მთავარი ექიმის სასამართლოში საქმე აღძრეს.
2. — მამუკა ექიმო, ოპერაციის რამდენიმე კითხვა მინდა დაგისვათ.
3. ონკოლოგიური საავადმყოფოს უსიამოვნო განწყობა მეუფლება.
4. ქირურგთან ვიზიტზე ჩემს სამი პაციენტია ჩაწერილი.
5. ექიმის ავადმყოფობის ოპერაცია გადაიდო.
6. ამ პროფესორის სამედიცინო უურნალში დიდი წერილი გამოქვეყნდა.
7. ჩემი სურვილის გამოკვლევები მაინც ჩამიტარეს.
8. პაციენტს რენტგენის ექოსკოპიაც გაუკეთეს.

5. ჩასვით გმნები სწორი ფორმით:

(5 ქულა)

გამოყენება განკურნება გაცოცხლება დამზადება დამკვიდრება

ნიმუში: ექიმი პაციენტს სიცოცხლეს უხანგრძლივებს.

1. ჩვენი პედიატრი მკურნალობის პროცესში განსხვავებულ მეთოდებს
2. გერმანიაში საუკეთესო მედიკამენტები
3. ნინო სპორტული მედიცინის წყალობით სრულიად
4. რეანიმატოლოგმა თითქმის მკვდარი პაციენტი
5. პალიატიური მზრუნველობის ცენტრები ამ ბოლო დროს საქართველოშიც

6. შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

(5 ქულა)

თუ, მაშინ; მაშინ, თუ
ისე, როგორც; როგორც, ისე

1. გამოჩნდება შედეგი, მკურნალობა სწორად ჩატარდება.
2. ჯანდაცვის სამინისტრომ წარმოაჩინა საქმე, მისთვის იყო მისაღები.
3. პედიატრი გადაწყვეტს, უნდა იმოქმედო.
4. თერაპევტის მკურნალობამ არ გიშველა, ქირურგს უნდა მიმართო.
5. დაზღვევამ სრულად არ ამინაზღაურა მკურნალობა, ოპერაციას ვერ გავიკეთებ.

**7. მოსმენა****ტექსტი:** საავადმყოფოს მთავარი ექიმი**მოსმენილი ტექსტის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს:**

(8 ქულა)

1. ვინ არის ირაკლი? _____
2. რამდენი წელია, რაც ირაკლი ამ თანამდებობაზეა? _____
3. რამდენი განყოფილებაა მის სავადმყოფოში? _____
4. რომელია პირველი განყოფილება? _____
5. ვის მკურნალობენ მეორე განყოფილებაში? _____
6. რა ტიპის პაციენტები წვანან მესამე განყოფილებაში? _____
7. რას ნიშნავს დიაგნოსტიკა? _____
8. რომელ დღეს იღებს ირაკლი პაციენტებს? _____

შემოზახეთ სწორი პასუხი:

(2 ქულა)

1. რას აკეთებს მთავარი ექიმი ირაკლი პროფესიული მოვალეობის გარდა?
 - ა. აკეთებს ოპერაციებს.
 - ბ. მუშაობს სხვა სამსახურში.
 - გ. ეწევა სპორტულ ცხოვრებას.
 - დ. ორგანიზებას უწევს მთელი სავადმყოფოს მუშაობას.
2. ირაკლი მთავარია ექიმია, მაგრამ კვირაში ერთხელ პაციენტებს მაინც იღებს, რადგან
 - ა. მას ეს ევალება.
 - ბ. მას უყვარს თავისი პროფესია.
 - გ. სხვა ექიმები კარგად ვერ მკურნალობენ.
 - დ. მინისტრის დავალებაა.

კიდევ ერთხელ მოუსმინეთ ტექსტს და მოკლედ აღწერეთ ექიმის სამუშაო დღე
(გამოიყენეთ დაახლოებით 40-60 სიტყვა):

(10 ქულა)

VIII თავი**II ნაწილი შუალედური შემოწმების ტესტი****1. გაიაზრეთ ტექსტი:**

(6 ქულა)

საირმე ბალნეოლოგიური კურორტია. ის იმერეთში, ბაღდადის მუნიციპალიტეტში, ზღვის დონიდან 950 მ-ზე მდებარეობს. იქ ჰავა რბილია: იცის მცირეთოვლიანი ზამთარი და ზომიერად თბილი ზაფხული.

ცნობები საირმის შესახებ XIX საუკუნის -90-იანი წლებიდან გვხვდება. ირმების საყვარელი ადგილი პირველად მონადირეებს აღმოუჩენიათ. თურმე ირმის ჭოვები აქ მუავე წყალსა და მარილს ეტანებოდნენ. მონადირეებმა ირმების წყაროდან 3 კმ-ის მოშორებით კიდევ ერთი უცნაური ადგილი შენიშნეს, სადაც ბალახი მუდამ მწვანე იყო და თოვლის საფარს არ იჩერებდა. „ჯადოსნური“ ველის საიდუმლო გეოლოგებმა ახსნეს მე20-საუკუნის დასაწყისში, როცა მიწის სიღრმეშიც ცხელი მინერალური წყალი აღმოაჩინეს.

1930 წლიდან საირმეს კურორტის სტატუსი მიენიჭა; აშენდა პირველი სანატორიუმიც; გაიხსნა საკურორტო პოლიკლინიკაც. საირმეში მიწის სიღრმიდან ამოდის ბორჯომის ტიპის სამკურნალო წყალი, რომელიც კალციუმითა და ნატრიუმით არის მდიდარი. საირმის წყალი კურნავს კუჭ-ნაწლავისა და თირკმლის დაავადებებს, ნივთიერებათა ცვლის მოშლას და სხვა. საირმის თერმული წყალი, რომელიც დღეს საირმის აბანოშო მოედინება, გამოიყენება ჭარბწონიანობის, კანის, ცენტრალური ნერვული სისტემისა და ძვალ-სახსროვანი სისტემის დაავადებების დროს.

უპასუხეთ კითხვებს:

1. სად მდებარეობს საირმე?
2. როგორი ჰავაა საირმეში?
3. როგორ აღმოაჩინეს ეს კურორტი?
4. რა მინერალებით არის მდიდარი საირმის წყალი?
5. რა დაავადებებს კურნავს საირმის წყალი?
6. რა სახით გამოიყენება საირმის თერმული წყალი და რა დაავადებებს არჩენს?

2. გინდათ გაიგოთ, გაქვთ თუ არა მომატებული შაქარი? რას აკეთებთ?

ჩამოთვლილთაგან აირჩიეთ 4 პასუხი

(4 ქულა)

- ა. ვიღებ ელექტროგარაფიოგრამას.
- ბ. მივდივარ პოლიკლინიკის ლაბორატორიაში და ვიღებ სისხლის ანალიზს შაქარზე.
- გ. ვიღებ ფილტვების რენტგენს.
- დ. მივდივარ ექიმთან და ვიზომავ წნევას.
- ე. ვყიდულობ გლუკომეტრს.
- ვ. ვყიდულობ ლაბერის აბარატს.
- ზ. ლაბერის სპეციალური აპარატით ვიტარებ მხედველობის კორექციას.
- თ. გლუკომეტრით ვისინჯავ სისხლში გლუკოზის დონეს.
- ი. ვყიდულობ ინჰალაციის აბარატს.
- კ. ვიკეთებ შარდის საერთო ანალიზს.
- ლ. ვიტარებ პოზიტრონულ-ემისიურ ტომოგრაფიას.
- მ. კლინიკურ-დიაგნოსტიკურ ლაბორატორიაში ვიკეთებ გამოკვლევას — გლუკოზის განსაზღვრას შარდში.

3. უპასუხეთ კითხვებს ანტონიმების გამოყენებით:

(7 ქულა)

ნიმუში: — ეს დაავადება განუკურნებელია? — არა,განკურნებადი....

1. — ერთდროულად უნდა მიიღო ორივე წამალი? — არა,
2. — მკურნალობით კმაყოფილი დარჩა? — არა,
3. — ამ ვიტამინის მიღება განუსაზღვრელი რაოდენობით შეიძლება? — რა თქმა უნდა, არა. მკაცრად ოდენობით.
4. — მკურნალობის მეთოდებს შორის დიდი განსხვავებაა? — პირიქით,
5. — იმ კლინიკაში ბუსტი დიაგნოზი დაგისვეს? — პირიქით,
6. — მედდა შენი ახლობელი ნათესავია? — არა,
7. — ანალიზის პასუხი დადებითია? — არა,

4. ხაზგასმული სიტყვები შეცვალეთ სინონიმებით!

(8 ქულა)

1. მსგავსი მეთოდით კანადაშიც მკურნალობენ.
2. ავადმყოფი ადეკვატურად რეაგირებს ყველაფერზე.
3. მძიმე ტრავმული დაზიანების აღრეული მენეჯმენტი — ATLS — შექმნილია ამერიკელი ქირურგების მიერ.
4. ავადმყოფის მდგომარეობა მდგრადია.
5. ნინოს სედატური საშუალებები დაუნიშნეს.
6. გულწასულს დროულად ჩაუტარდა პირველადი სამედიცინო დახმარება.
7. თანამედროვე მედიცინა ფლობს დიაგნოსტიკის უნიკალურ მეთოდებს
8. ექიმს ოპერაციისთვის ინსტრუმენტები თან არ აღმოაჩნდა.

5. ჩასვით გმნები სწორი ფორმით! (5 ქულა)

დახმარება	შეკრება	არსებობა	ჩატარება	დაწყება
-----------	---------	----------	----------	---------

1. ზოგიერთ კურორტზე ერთდროულად რამდენიმე ბუნებრივი სამკურნალო საშუალება.
2. გულის გაჩერების შემთხვევაში დაუყოვნებლივ უნდა გულ-ფილტვის რეანიმაცია.
3. პირველადი დახმარების დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დროულად ხელოვნური სუნთქვა გულის დაუტურულ მასაჟთან ერთად.
4. ინსტრუმენტულ-ლაბორატორიული გამოკვლევების დანიშვნამდე ექიმი ანამნეზს.
5. სამედიცინო აღჭურვილობის სწორად მოხმარებაში ექიმებს ბიოსამედიცინო აპარატურის ინჟინრები.

6. გამოტოვებული ადგილას ჩასვით სიტყვები: შორის, წინაშე, მიხედვით, მიუხედავად.

(5 ქულა)

1. სამედიცინო პროცედურებს გარკვეული ინტერვალის დაცვაა საჭირო.
2. სხვადასხვა სახის სამკურნალო პროცედურები ტარდება იმისდა , თუ რომელ ჯგუფს განეკუთვნება კურორტი.

3. იმისა, რომ თანამედროვე სამედიცინო აპარატურას ყველანაირი დიაგნოზის დასმა შეუძლია, ექიმის უშუალო კავშირს ავადმყოფთან მისი განკურნებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.
4. ოპერაციის დროს ექიმი რთული არჩევანის დადგა.
5. ექიმს არჩევანი უნდა გაეკეთებინა დედასა და ბავშვს



7. მოსმენა

ტექსტი: ლუკა სასწრაფო დახმარებაში მუშაობს

მოსმენილი ტექსტის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს:

(8 ქულა)

1. სად მუშაობს ლუკა?
2. რამდენი ხანია, რაც ლუკა ამ სამსახურში მუშაობს?
3. კიდევ ვინ არის საჭირო სასწრაფო დახმარების ბრიგადაში, გამოცდილი ექიმების გარდა?
4. როდის არის ძნელი ქალაქში გადაადგილება?
5. რა შემთხვევაში უნდა მივიდეს შემთხვევის ადგილზე განსაკუთრებით სწრაფად სასწრაფო დახმარება?
6. რის გამო იძახებენ ყველაზე ხშირად „სასწრაფოს“ ზამთარში?
7. რის გამო იძახებენ ყველაზე ხშირად სასწრაფოს ზაფხულში?
8. როდის იწყებს და ამათვარებს ლუკა სამუშაოს?

შემოხაზეთ სწორი პასუხი:

(2 ქულა)

1. **საღამოს საათებში სასწრაფოს მანქანით გადაადგილება რთულია, რადგან**

- ა. ქალაქში ბევრი მანქანაა.
- ბ. მძღოლი დაღლილია.
- გ. განსაკუთრებით ბევრი გამოძახებაა.
- დ. გამოძახებები გარეუბნებიდან არის.

2. **ლუკას თავისი საქმე ძალიან უყვარს, რადგან ...**

- ა. მაღალი ხელფასი აქვს.
- ბ. კარგი სამუშაო პირობები აქვს.
- გ. ადამიანებს ეხმარება.
- დ. ბევრი მუშაობა არ უწევს.

კიდევ ერთხელ მოუსმინეთ ტექსტს და აღწერეთ

(გამოიყენეთ დახლოებით 60–40 სიტყვა) !

(10 ქულა)
